

თსუ არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტი

არნოლდ ჩიქობავას სახელობის
ენათმეცნიერების ინსტიტუტის

79-ე

სამეცნიერო სესია

მ ა ს ა ლ ე ბ ი

2020 წლის 22-24 დეკემბერი

თბილისი
2020

სამეცნიერო სესია გაიმართება ელექტრონულად, zoom-ის პლატფორმის გამოყენებით.

რ ე გ ლ ა მ ე ნ ტ ი

მომხსენებელს – 10 წუთი

მსჯელობაში მონაწილეს – 3 წუთი

რედაქტორი – ნანა მაჭავარიანი

© თსუ არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ISBN

მუშაობის გეგმა

22 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – ნანა მაჭავარიანი

ამირან ბასილაშვილი, ნინო რუხაძე – ევგენი ჯეირანიშვილი (დაბადებიდან 100 წლისთავი)

თეა ბურჭულაძე – მეთქი ნაწილაკის გამოყენების თავისებურებანი ზეპირ მეტყველებაში

გვანცა გვანცელაძე – „ნიკორწმიდის იადგარის“ ენობრივი თავისებურებანი

თეიმურაზ გვანცელაძე – აფხაზური ენის გავრცელების გეოგრაფიისა და ფუნქციონირების სფეროთა შემცირების საკითხისათვის

გიორგი გოგოლაშვილი – დიალექტიზმებისათვის ვაჟა-ფშაველას პროზაში

ქეთევან დათუკიშვილი – I და II პირის ნაცვალსახელთა პარადიგმები თანამედროვე ქართულში

თამარ ვაშაკიძე – მუხრან მაჭავარიანი – „მიეთ-მოეთი ტყემლის ჩეროში“

ოლეგ კაპანაძე, ნათია ფუტკარაძე, ნაკაპანაძე, ნინო ქიმერიძე, ქეთევან შეყილაძე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი) – I დიათეზის I ქვეჯგუფის ი-R-ებ-Ø სტრუქტურის ზმნათა უღლების თავისებურებანი კომპიუტერული ლინგვისტიკის თვალსაზრისით

მაკა ლაბარტყავა – სიტყვათქმნადობის ერთი სახეობისათვის ო. ჭილაძის პროზაში („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან...“)

ნანა ლოლაძე, მაია აბალაკი – „გულის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულ და რუსულ ლინგვოკულტურულ სივრცეში

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი – საერთო იბერიულ-კავკასიურ ძირ-
თა მქონე ლოკალური პრევერბები აფხაზურში

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე – „სამხარი“ - ცვალებადი ტემპორალო-
ბის ქრონონიმი ქართულ დისკურსში

მ ე დ ე ა ს ა ლ ი ა ნ ი – კვლავ ნასესხები რელიგიური ლექ-
სიკური ერთეულების სესხება-ადაპტაციისათვის სვანურში. III.

23 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – მედეა ლლონტი

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა – ლექსემა „ენის“ შემცველი იდიომები
აფხაზურსა და ქართველურ ენებში

ჭ ა ზ უ კ ი ქ ი რ ი ა – ერთი ფორმის გრამატიკულ-ორთოგრა-
ფიული სტატუსისათვის

მ ე დ ე ა ლ ლ ო ნ ტ ი – ძვ. ქართ. *ტყუ(ვ)ილის* ლექსიკურ-სე-
მანტიკური არჩევანი (ძვ. ქართ. მომატყუებელი „მომასწავებელი; მი-
ზეზი; მომნიჭებელი...“)

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ დ ა შ ვ ი ლ ი – პირის ნიშნის გამოხატვის თა-
ვისებურებანი მელანიას შემოქმედებაში

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა – მეგრული მორღოთ „ბლომად, მსხვი-
ლად“ სიტყვის წარმომავლობისათვის

ი ზ ა ჩ ა ნ ტ ლ ა ძ ე (თბილისი), ნ ა ნ ა ო დ ი შ ე ლ ი ძ ე
(იენა) – დაგვიანებული გამოხმაურება გერჰარდ დეეტერსის
ერთ-ერთ თვალსაზრისთან დაკავშირებით ქართველური ზმნის შე-
სახებ

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე – შოთა ნიშნიანიძის უცნობი ბელეტ-
რისტული პოემა „თავგის წელიწადი“ – მისტიკურ-რეალური რეფ-
ლექსიის ლინგვისტური გაცხადება

მ ე რ ა ბ ჩ უ ხ უ ა – კასტური ენის ადგილისათვის იბერი-
ულ-კავკასიურ ენათა ოჯახში

ნინო ციხიშვილი – კიდევ ერთხელ ტმესის შესახებ ქართულში

ნინელი ჭოხონელიძე – დაბოლოებით განსხვავებული ზოგი ომონიმის ისტორია

ნინო ჭუმბურიძე, მაია ლომია, ქეთევან მარგიანი – უარყოფითი ნაწილაკების ექსპრესიული ფუნქციით გამოყენების შემთხვევები ქართველურ ენებში

ნანა ხოჭოლავა – მაჭავარიანი, დავით ჭელიძე – ხემცენარეთა გვარ *Celtis L.*-ის ქართული სამეცნიერო სახელების დაზუსტების აუცილებლობა

ცირა ჯანჯღავა – მნიშვნელობის გადაწვევის შესახებ შვიდ ნასესხებ მეგრულ სიტყვაში

24 დეკემბერი, 11 საათი

თავმჯდომარე – ვაჟა შენგელია

პროექტი „არსებით სახელთა კომპოზიტიური წარმოება

კავკასიურ ენებში

(შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)“

(პროექტი (№FR-18-072) ხორციელდება შოთა რუსთაველის

საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური

მხარდაჭერით)

ლევან აზმაიფარაშვილი – ზოგი ნაწარმოები სიტყვის შედგენილობისათვის ხუნძური ენის დიალექტებში

ნოდარ არდოტელი – სომატონიმებიანი კომპოზიტების სემანტიკური ანალიზი ქართულში დიდოურ და ბეჟიტურ ენებთან შედარებით

მანანა ბუკია – რედუპლიცირებული კომპოზიტების წარმოებისათვის ავხაზურ და ადიღურ ენებში

დიანაკაკაშვილი – ეგზოცენტრული კომპოზიტები
ქართულ და ნახურ ენებში
რომანლოლა – შერთებითი კომპოზიტები (composita
copulativa) ლეზგიურ ენაში

პროექტი „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II.“
(პროექტი **NFR -18-3659** ხორციელდება შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური
მხარდაჭერით)

ნოდარ არდოტი – სესხების მიმართულებისა და
ლექსიკურ ნასესხობათა წარმომავლობისათვის ქართულ და დიდო-
ურ ენებში

დიანაკაკაშვილი – ქართულ-ნახური ლექსიკური პა-
რაღელები I

რომანლოლა – ძირეული და ნასესხები ლექსიკა ლეზ-
გიურ ენაში

ვაჟაშენგელია – ნასესხებ სიტყვათა ფონეტიკური ადაპ-
ტაციისათვის ყაზარდოულ ენაში

ამირან ბასილაშვილი, ნინო რუხაძე

ევგენი ჯეირანიშვილი (დაბადებიდან 100 წლისთავი)

„ყვარლის რაიონის სოფელ ოქტომბრის შუაგულში, ფართო შარაგზაზე ავტობუსი გაჩერდა და იქიდან მხოლოდ ერთი მგზავრი ჩამოვიდა. საშუალო ასაკს კარგახნის გადაცილებული ჩანდა, ბეჭებში ოდნავ მოხრილიყო.

ირგვლივ სიჩუმე იდგა. ადრიანი გაზაფხულის მომთენთავ შუადღეს რომ სჩვევია, ისეთი სიჩუმე.

მგზავრმა მიდამოს თვალი მოავლო, შუკის ბოლოს ძელსკამთან მივიდა და მოკალათდა. ერთხანს მზერა აღმოსავლეთისაკენ გაექცა, მერე თავი ხელეზუა ჩარგო და მიწას ჩააშტერდა.

– ასეა მუდამ, – ფიქრობდა იგი, – როგორც კი აქ ჩამოვჯდები, თვალწინ ის დღე მიდგება, ჩვენი ქარავანი რომ მოვიდა და დაბანაკდა. სად იყო მაშინ შარაგზა და სოფელი. მუხისა და მურყნის გაუვალ კორომებს შორის მიდიოდა ვიწრო საურმე გზა...“ (დ. გაბუნია, „თვალადთა და ახოვანთა“ შთამომავლები).

ეს მგზავრი ევგენი ჯეირანიშვილია, საქართველოში გადმოსახლებული პატარა ხალხის, უდიეების, წარმომადგენელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მშობლიური ენის დიდი მკვლევარი, უდიური ენის საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოს შემქმნელი, დედაქალაქიდან მშობლიურ სოფელში, ზინობიანში, მიბრუნებული.

საუკუნის წინ აზერბაიჯანიდან, სოფ. ვართაშენიდან, უდიეების ერთი ნაწილი, რომელიც დიოფიზიტურ ქრისტიანობას მისდევდა, საქართველოში გადმოსახლდა და ყვარლის რაიონის მიდამოებში დასახლდა. საქართველოში მოსულებს შავი ზღვის სანაპიროვ უნახავთ, მაგრამ, საბოლოოდ, არჩევანი ყვარლის რაიონში, ჩანტლისყურედ წოდებულ ადგილებზე შეუჩერებიათ. იქაური ალაგები ვართაშენს ჰგვანებია. ჩვენამდე მოღწეულია ფოტოსურათი, რომელზეც, სავარაუდოდ, საქართველოში – მეორე სამშობლოში ახლადგადმოსახლებული უდი მამაკაცები და ბავშვები არიან აღბეჭდილი შეთხელებული ტყის ფონზე. უდიებს თივის ზვინები წამოუმართავთ. კამეჩებმებმული ურემი ბალახით დაუტვირთავთ. ბავშვე-

ბი მიმოვანტულან, ერთი ურემზეც შემომხტარა. ხელში სახრემო-მარჯვებული მეურმე კოფოდან წამომდგარა. ერთი მამაკაცი თეთრ ცხენზე ამხედრებულა, მეორეს კი ორლულა თოფი კონდახით მიწაზე დაუბჯენია. ყველანი სასურათედ მომზადებულან. ნაწილს ფაფახები ახურავთ, ნაწილს კი – უკვე გაშინაურებული კახური ქუდები...

ევგენი ჯეირანიშვილი დაიბადა 1920 წელს ვართაშენში, ცნობილი სახალხო მასწავლებლის თევდორე ჯეირანიშვილის ოჯახში. სკოლის დასრულების შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო, რომელიც 1940 წელს დაამთავრა. 1943 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია „უდიური ერგატივის სტრუქტურა და ფუნქცია“. იმავე, 1943, წლიდან მუშაობას იწყებს კავკასიურ ენათა კათედრაზე უფროსი მასწავლებლის, შემდეგ კი დოცენტის თანამდებობაზე. 1968 წლიდან კავკასიურ ენათა კათედრის პროფესორია. უნივერსიტეტში კითხულობდა უდიური ენის (1943-44 სასწავლო წლიდან გარდაცვალებამდე), ქართული ენისა და სხვა სპეცკურსებს. მუშაობდა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ლექსიკოლოგიის განყოფილების უფროს მეცნიერ-თანამშრომლად და მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის რვატომეულის შედგენაში.

ევგენი ჯეირანიშვილი არის 100-მდე სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის მონოგრაფიების – „უდიური ენა (გრამატიკა. ქრესტომათია. ლექსიკონი)“, 1971 წ., „წახური და მუხადური (რუთულური) ენები, I, ფონეტიკა“, 1983 წ., „წახური და მუხადური (რუთულური) ენები, II, მორფოლოგია, 1983 წ. (სადოქტორო დისერტაციის „წახურ და მუხადურ (რუთულურ) ენათა ფონეტიკისა და მორფოლოგიის ძირითადი საკითხების“ ორტომიანი გამოცემა) – ავტორი. მისი სამეცნიერო ნაშრომების თემატიკა მრავალფეროვანია. ევგენი ჯეირანიშვილის კვლევის თვალსაწიერი იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ძირითად პრობლემებს, განსაკუთრებით კი ლეზგიური ქვეჯგუფის ენათა სტრუქტურის საკითხებს მოიცავს. მეცნიერმა მრავალი ნაშრომი მიუძღვნა მშობლიური ენის, უდიურის, სტრუქტურისა და ეტიმოლოგიის საკითხებს. მის მიერ შექმნილი ნაშრომი, პირველი ქართულენოვანი მონოგრაფია უდიური ენის გრამატიკის შესახებ, რომელმაც დღის სინათლე იხილა და დაინტერესებულ მკითხველამდე მიაღწია, დღესაც შეუცვლელი სახელმძღვანელოა უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის მიმართულების სტუდენტთათვის.

ევგენი ჯეირანიშვილმა არაერთი ნაშრომი მიუძღვნა უდიურ-ქართულ ლექსიკურ და მორფოლოგიურ შეხვედრებს. ამ კუთხით კვლევა წინამორბედი მეცნიერების მიერ დაწყებული იყო, მაგრამ ევგ. ჯეირანიშვილმა კვლევის ეს ხაზი გაააქტიურა, შეიძლება ითქვას, ახალ სიმაღლეზე აიყვანა და უდიურ-ქართული ეტიმოლოგიური ძიებანის პერსპექტივა და მნიშვნელობა წარმოაჩინა ზოგადად იბერიულ-კავკასიური ლექსიკოლოგიური და ეტიმოლოგიური კვლევებისთვის. სიცოცხლის ბოლო წლებში კავკასიის ხალხთა ეთნოგენეზისის პრობლემური საკითხებით იყო დაინტერესებული, კერძოდ კი თავმოყრილი ჰქონდა მრავალი საგულისხმო ცნობა კავკასიის ისტორიული ალბანეთის (ქართული წყაროების მიხედვით ჰერების, უდიების, უტიების თუ ოტენების) შესახებ.

ევგენი ჯეირანიშვილი გარდაიცვალა 1985 წელს. დაკრძალულია დიდმის ცენტრალურ სასაფლაოზე. რომაელებს უთქვამთ: scripta manent – ნაწერები რჩება. ევგენი ჯეირანიშვილის ნაწერებიც დარჩება, როგორც მშობლიური ხალხისა და ენის სიყვარულის ნაყოფი, პროფესიონალიზმისა და სამეცნიერო აღლოს უტყუარი ნიშანი.

თ ე ა ბ უ რ ჭ უ ლ ა ძ ე

-მეთქი ნაწილაკის გამოყენების თავისებურებანი ზეპირ მეტყველებაში

ქართულში პირდაპირ ნათქვამს ხშირად დაერთვის სიტყვასიტყვითი ნაწილაკები, რომლებიც გამოხატავენ სხვისი ან თავისივე წინანდელი ნათქვამის განმეორებას: **-მეთქი**, **-თქო** და **ო**. სხვათა სიტყვის გამოყენება ხშირია ზეპირსა თუ წერით მეტყველებაში, განსაკუთრებით დამახასიათებელია ის მხატვრული ლიტერატურის ენისათვის. ზოგ შემთხვევაში სპეციფიკურადაა გამოხატული ის მეტყველებაში და ზეპირი სინტაქსის თვალსაზრისით საინტერესო სურათს იძლევა.

ამ ბოლო დროს სასაუბრო მეტყველებისას ნიშანდობლივი გახდა **-მეთქი** ნაწილაკის დასმა არა მხლებელ სიტყვასთან, როგორც ეს

მას ზოგადად ახასიათებს, არამედ წინადადების თავში. აღსანიშნავია, რომ სწორედ მისით იწყება კონსტრუქცია: **მეთქი**, ამის გაკეთებას რა უნდა; **მეთქი**, რა უნდა? **მეთქი**, წყალი შეიწოვს და აღარაფერი დარჩება; **მეთქი**, მივალ და ყველაფერს თვითონ ავუხსნი; **მეთქი**, ამასღა გავაკეთებ და წავალ; **მეთქი**, აქ როგორ ავალ. შდრ.: ამის გაკეთებას რა უნდა-მეთქი; რა უნდა-მეთქი? წყალი შეიწოვს და აღარაფერი დარჩება-მეთქი; აქ როგორ ავალ-მეთქი. ამგვარი კონსტრუქციები უფრო ახალგაზრდების მეტყველებაში შეინიშნება.

ცნობილია, რომ **-მეთქი** აღნიშნავს პირველი პირის ნათქვამის (ან განზრახ-ნაფიქრალის) განმეორებას. ჩვენ მიერ მოხმობილ წინადადებებში, ვფიქრობთ, მას სხვა დატვირთვა აქვს. ჩანს, რომ ნათქვამის განმეორებითობა კი არა, უფრო იგულისხმება შინაარსი „ვიფიქრე“: ვიფიქრე, ამის გაკეთებას რა უნდა; ვიფიქრე, წყალი შეიწოვს და აღარაფერი დარჩება; ვიფიქრე, ამასღა გავაკეთებ და წავალ; ვიფიქრე, ამას როგორ ვერ შევძლებ. თუმცა შესაძლოა, წინადადების ბოლოსაც დაემატოს **-მეთქი** ნაწილაკი: ვიფიქრე, ამის გაკეთებას რა უნდა-მეთქი; ვიფიქრე, წყალი შეიწოვს და აღარაფერი დარჩება-მეთქი...

აქვე კიდევ ერთ ნიუანსზეც გავამახვილებთ ყურადღებას: **-მეთქი** ნაწილაკის ფუნქცია ხომ პირველი პირის ნათქვამის განმეორებაა. ჩვენ მიერ მოხმობილ წინადადებებში მას ეს დანიშნულება არ აქვს. ეს უფრო ენის აქტუალიზაციის კერძო შემთხვევას ჰგავს. ზეპირ მეტყველებას ახასიათებს აქტუალიზაცია, ანუ ენის მეტყველებაში გადაყვანა. ამის ერთ-ერთი საშუალებად გვხვდება სპეციალური ლექსიკური ერთეულები, ესე იგი ლექსიკური აქტუალიზატორები (მაგალითად, **არის, რომელია...**). ვფიქრობთ, სწორედ ამგვარი დატვირთვა აქვს **-მეთქი** ნაწილაკს მოყვანილ წინადადებებში, რადგან ის („**ვიფიქრობ**“ შინაარსით) გამოიყოფა, როგორც მოსაუბრის თვალსაზრისით საყურადღებო სიტყვა.

ზოგჯერ ის არც განმეორებითობის ფუნქციით არ გამოიყენება და არც საკუთარი სიტყვების დამოწმებისას: „განა, რა უნდა მოსწონებოდა დათა თუთაშხიას ამ ქალისა, მეთქი! „მე თქვენ გეკითხებით, მოცლილნო მკითხველნო, რა **ექნა-მეთქი**?“ „ესე იგი ჯერ მაშინ, როცა სწავლისა და მეცნიერების სიოც არ მიჰკარებოდა და ფეხიც არ დაედგა ცივილიზაციის გზაზე და ყოველმხრივ მოუმზადებელი იყო, ჯერ **მაშინ-მეთქი** – მოსამართლეს, თუ არ არჩევანით, სხვაფრივ არ განიწყესებდა“ (არცერთ წინადადებაში წინა კონტექსტითაც არ იგუ-

ლისხმება განმეორებითობა ან ნათქვამის დამოწმება). ამგვარ წინადადებებში **-მეთქი** ნაწილაკი უფრო სტილისტიკური დანიშნულებითაა გამოყენებული, ვიდრე სხვათა სიტყვის გადმოსაცემად.

გვანცა გვანცელაძე

„ნიკორწმიდის იადგარის“ ენობრივი თავისებურებანი

„ნიკორწმიდის იადგარი“ შედგენილია 1071-1080 წლებს შორის და ერთ-ერთ უძველეს იურიდიულ საბუთად მიიჩნევა. ეს სამართლებრივი დოკუმენტი მნიშვნელოვანი წყაროა ქართული სალიტერატურო ენის ისტორიისთვისაც. საბუთის ტექსტის ძირითადი ნაწილი დაწერილია კლასიკური ძველქართული ტექსტებისათვის დამახასიათებელი ენობრივი ნორმების დაცვით. მაგალითად წარმოდგენილია სიტყვა-ფორმათა მართლწერის ძველებური ფორმები: **ვეცხლისაჲ; ლომიანი** „ლომიანი, ლომის სახის მქონე“; **ცოლმან; კუართი; ნუშ** [პირსახელია] **შემოსწირა; გარდაეცდების; ჯუარისა; კვრიაკესა; მისთა ზედა, ჯინჭარაჲს ძე, რადცა, სამეგრეოჲ, ზროხაჲ, ვენაჯი, საწნეხელი // ყურძნისა საწნეხი, ცვლი, სახლი სამზარაულოჲ, მოვიგე** „შევიძინე“, **შემძლებელ ყოფილვარ** „შემძლებია, შემძლე ყოფილვარ“, **აგარასა შინა, იმერით** „გადაღმა“, **მუნვე** და მრავალი სხვა.

ამავე ტექსტში პარალელურად დასტურდება ფორმები: **კუბასტი // კობასტი**. მათგან მეორე ვარიანტი მომდინარეობს პირველისაგან: როგორც ცნობილია, IX საუკუნიდან, ჯერ კიდევ მხედრული ასოების წარმოქმნამდე, ასომთავრულ დამწერლობაში **უ** ხმოვნის გადმოსაცემად ორი გრაფემის (**ⴒⴓ**) გამოყენების წესის დარღვევის შედეგად **უ**-ს მნიშვნელობით საკმაოდ ხშირად გამოიყენებოდა მხოლოდ **ⴒ** ასო (ზ. სარჯველაძე, 1997, გვ. 16-17), რაც დროთა განმავლობაში გარკვეულ ტრადიციად ქცეულა და ასახულია საანალიზო ტექსტშიც. ასევე პარალელურ ფორმებად დასტურდება ამოსავალი **ზროხაჲ** და მეორეული **ძ[რო]ხაჲ**. განსახილველ ტექსტში საკმაოდ ხშირია სხვა სახის დარღვევებიც: საფლავთა მისთა ზედა [იგულის-

ხმება ერთი პირის საფლავი] - უნდა ყოფილიყო საფლავსა მისსა ზე-
და; დაგვდგენია; მოწამე არიან კაცნი...

იადგარში უკვე ცხადად ჩანს ახალი ქართული სასაუბრო მე-
ტყველების ელემენტებიც. მაგალითად: ვიყიდე (შდრ. უფრო ადრინ-
დელი მოვიყიდე), მოცეთი „წლის ფური“ (შდრ. საბა: მოცედი), ჭიმ-
კარი (< ბჭის კარი), ორმოცისა (< ორმოცისა), სამოცდათხუთმეტისა
(< სამმოცდათხუთმეტისა)...

საბუთში განსაკუთრებით ბევრია ონომასტიკური ერთეულე-
ბი, რომლებსაც დიდი მნიშვნელობა აქვთ ლექსიკის ამ დარგის ის-
ტორიისათვის. აქვე დავაზუსტებთ, რომ ტექსტში უპირატესად ასა-
ხულია ტოპონიმები, პირსახელები და პატრონიმ-გვარსახელები,
რომლებიც გავრცელებული ყოფილა უპირატესად რაჭაში, ზემო
იმერეთში, ოკრიბასა და ნაწილობრივ ლეჩხუმში. ზოგჯერ ჭირს
იმის უყოყმანოდ განცხადება, -ძე დაბოლოების მქონე ესა თუ ის სა-
ხელი პატრონიმია, თუ ნამდვილი გვარი.

რაჭის ტოპონიმიდან საბუთში სახელდება შემდეგი:

ბეთაბრელი, ველიშეული, ველიჭრული, ზახლეული, ზნაკუა,
კაჩაეთი, მეტეხარა, *ნავარმეთი: „და დავჰვალ შიგან ჭური ნავარძე-
ლი...“, ნიკოლაოსწმიდა // წმი[ნ]და ნიკოლაოსი - ნიკორწმინდა, სა-
მთაჯუარი, საჭიდი, ფუთი, ქუმელოანი, შომ[ი]ეთი, შქმერი, შხრო,
ცხილათი, ძირ[ა]გეული, ხოტევი, კევკმელი, ჳივში [ამჟ. ხიმში], ჯუ-
არისა (ჯვარისა დღეს სოფელია ამბროლაურის მუნიციპალიტეტში,
კომუნისტების დროს ერქვა შრომა), ჰერნეულის თავი.

საანალიზო საბუთში ასახულ რაჭის ტოპონიმთა შესახებ გ.
ბოჭორიძე წერდა: „...ზნაკუა, ჯვარისა, ნიკოლაოსწმიდა, იგივე ნი-
კორწმინდა, ხოტევი, აგარა, ძირგეული, იგივე ძირაგეული, ჳივში და
შქმერი დღესაც არსებობენ; შომეთი (შომიეთი?) თ. ჟორდანას მიერ
შეცდომით არის ამოკითხული; უნდა ყოფილიყო შომიეთი, რომე-
ლიც დღესაც ეწოდება ნიკორწმინდის დასავლეთ-ჩრდილოეთ განა-
პირას მდებარე ადგილს, ჭელიშისაკენ მიმავალ გზაზე, რომელზე-
დაც უბანი გაშენებულა ამ 60-80 წლის წინათ [ტექსტი დაწერილია
მე-20 საუკუნის 20-იან წლებში - გ. გ.]. კაჩაეთი ჰქვიან სოფელს ნი-
კორწმინდის ეკლესიის ჩრდილო-აღმოსავლეთით (მოზმულია ნი-
კორწმინდაზე); შხრო დღეს ჰქვიან ერთ წყაროს ნიკორწმინდაშივე,
რომელიც ხვდება ტყიბულიდან მიმავალ ადამიანს მარჯვენა მხარეს,
ე. ი. ნიკორწმინდის ეკლესიის დასავლეთით, მცირე უბანში (30 კომ-

ლი); ალბათ, ამ წყაროს გარშემო მდებარე ადგილსაც ძველად იგივე სახელი ერქვა. **ვევქმელიც** ადგილს ეწოდება ორგან: ერთი სოფ. ნიკორწმინდის ბოლოზე, დასავლეთით, მეორე კი ნიკორწმინდიდან დასავლეთით, მთაში, 3 ვერსზე; უფრო პირველი უნდა იყოს. არა ჩანს მდებარეობა: **მეტეხარასი, ბეთაბრელისა, ზახლეულისა, ქუმელოანისა, თერნეულისა** თუ **თერნეულისთავისა** და **საჯიდისა** [ი. დოლიძე **საკადს** კითხულობდა – გ. გ.]“.

ზემო იმერეთის ტოპონიმთან დასტურდება მხოლოდ **ჩიხა** და **[ზა]ჯითი**; ოკრიბას განეკუთვნება **ბობოთი, ოკრიბა, მუხურა** და **საწირე**; ლეჩხუმური ტოპონიმია მხოლოდ **საჩხეორი** (ამჟ. **საჩხეური** წყალტუბოს მუნიციპალიტეტში). იმერეთისა და ლეჩხუმის ტოპონიმთაგან ყველა არსებობს ამჟამადაც.

რაც შეეხება პირსახელებსა და პატრონიმ-გვარსახელებს, ისინი საკმაოდ ბევრია საბუთის ტექსტში.

რაჭაში მითითებულია შემდეგი პირსახელები, პატრონიმები და გვარები: **აბულათაისძე, აბულახტარი, აქშემოისძე, გაბოში** („ხოტევეს ვიყიდე გაბოშისაგან მიწად...“), **გუნაფაძე, დებორიანისძე, ეფრემ, ეფრემისძე** („და ვიყიდე სამთა ჯუართა იმერით ყანად ეფრემისძისაგან...“), **ვარაზ-ვაჩე, ვახტანგ, ზაზი** – ქალის სახელი, **ზოსქლედი, თავბრტყელი** – აშკარად მეტსახელია, რომელიც, როგორც ჩანს, ამ პიროვნებას სახელად შერჩა და მას სწორედ ამ მეტსახელით მოიხსენიებდა ყველა; **იალმაგი, იოანე, კასალისძე, კახაბერ, კეპოძისძე, *კლარჯ[ი]ენი**: „**კლარჯიეთ [კლარჯეთ BC]** შემოსწირეს შომიეთს ჩუენ თანა საზიაროდ ყანად...“, ეს სახელი პატრონიმი უნდა იყოს; **კოროფხისშვილი, ლიპარიტის[ძე], ლომსა** (შდრ. გვარსახელი **ლომსაძე**), **მიქელ, მღ[ი]ლა** (მეტსახელი ჩანს), **ნავარქაი, *ნეჩრელი**: „**ნეჩრელთაგან** ვიყიდე კაჩეთს ყანისა ნახევარი...“, **ნუშ** („**ნუშ** შემოსწირა კუბასტი...“ – ქალის სახელია), **ოტაბოძისძე, რუსისძე, სგოჯაძისძე, *სქელაენი** („კაჩეთს **სქელაეთგან** ავიღე ყანად ცხენისა საზღავად...“) – შტოგვარის სახელია, **ფარსმანისძე, ქველასძე, *შუბაენი** („**შუბაეთაგან** ვიყიდე კაჩეთს ყანად...“), **შუშანა, შქვლო, ჩაყრიფი // ჩაყრივი** („**ჩაყრიფისაგან [ჩაყრივისაგან BC]** ვიყიდე მიწად...“), **ცისკარაისძე, ან ცისკარაი** („**ცისკარაის ძისაგან** ვიყიდე მხროს ამომართებით ყანად“), **წირქუალელი**: „**წირქუალელისა** ძემან შემოსწირა გლეხი ზ...“, **წორბელი** ანდა **წურბელი, ჭარტლისძე, ხოტეველი**: „ეფრემ შემოსწირა ყანად ბ **ხოტეველისა** სულისათჳს...“ – აქ **ხოტეველ-ი** გვარსახელი

ჩანს, **კვდილიანი** (შდრ. ამჟამინდელი რაჭული გვარსახელი **ხვედელიანი**), **ხვკამსძე**, **ჯინჭარამსძე**, **ჯინჯინძე**.

იმერეთის პირსახელთაგან, პატრონიმთა და გვარსახელთაგან დოკუმენტში წარმოდგენილია შემდეგი: **ოკრიბაში ფეთა**, **წონელა**, ხოლო ზემო იმერეთში – **აჩეილი**, **ნასრა** და **წირქუალელისძე** (შდრ. რაჭული **წირქუალელი**).

ლეჩხუმში მითითებულია ერთადერთი ონომასტიკური ერთეული – **ლეითი**: „**ლეითის** ძ[რო]ხაჲ საჩხეორს სასკესა დაესხა და დაკოდნა...“

საყურადღებოა ტექსტის ის ნაწილი, სადაც იხსენიება ტერმინი **ქართველი**: „**ქართველნი** ხუცესნი მოვიყვანენით და და[ვა]კარგენით. მა ზედა გაგვემია დრაჰკანი კოსტანტინატი ნბ სააღვსებოდ“. ჩვენი აზრით, აქ სიტყვა **ქართველი** აღმოსავლეთ საქართველოს, ანუ **ქართლის მცხოვრებს** უნდა ნიშნავდეს.

თ ე ი მ უ რ ა ზ გ ვ ა ნ ც ე ლ ა ძ ე

აფხაზური ენის გავრცელების გეოგრაფიისა და ფუნქციონირების სფეროთა შემცირების საკითხისათვის

მოხსენება წარმოადგენს შოთა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის ნაწილს (პროექტის შიფრი: OTG-I-19-1128, პროექტის დასახელება: „თანამედროვე აფხაზური ენის ეკოლინგვისტური ანალიზი“)

ამჟამად აფხაზური ენა ძირითადად გავრცელებულია საქართველოში (აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკებში), თურქეთის რესპუბლიკაში, სირიის არაბთა რესპუბლიკაში მეტ-ნაკლები კომპაქტურობით მცხოვრებ აფხაზთა (აფსუათა) შორის.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ამ ენის გავრცელების გეოგრაფიული სივრცე სამი მთავარი ტერიტორიული ნაწილისაგან, სამი ზონისაგან შედგება:

1. **გუდაუთა-გაგრის ზონა**, სადაც **წილობრივად** ყველაზე მეტი აფხაზია წარმოდგენილი (აფხაზთა საერთო რაოდენობის დაახლოებით 35%);

2. ქალაქი სოხუმი (დაახლოებით 25%);

3. ოჩამჩირის ზონა (დაახლოებით 20%).

აფხაზეთის სხვა ნაწილებში აფხაზები ერთმანეთისაგან დაშორებულ მცირე-მცირე და დაფანტულ ჯგუფებად ცხოვრობენ.

აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში აფხაზურ ენას დღეს ყველგან უჭირს, ზემოთ დასახელებულ სამ ზონაშიც კი. მთავარი პრობლემები, რაც ხელს უშლის აფხაზური ენის ფუნქციონირებას აფხაზეთში, შემდეგია:

1. რუსული ენის მაღალი პრესტიჟი;

2. რუსული ენის ოფიციალურად აღიარება სახელმწიფო დაწესებულებათა სამუშაო ენად, რაც გარანტირებულია „კონსტიტუციით“;

3. აფხაზური ენის დაბალი პრესტიჟი და თვით აფხაზთა ნიჰილისტური დამოკიდებულება ამ ენის მომავლისადმი;

4. აფხაზთა ურბანიზაციის მზარდი ტემპები (მათი მეოთხედი ცხოვრობს ქალაქებში: სოხუმში, გაგრაში, ოჩამჩირეში, ახალ ათონში...);

5. აფხაზეთის 1992-1993 წლების ომის შემდგომ აფხაზური სოფლების მასობრივი დაცლა ახალგაზრდა და საშუალო თაობის მოსახლეობისაგან;

6. ე. წ. აფხაზური სკოლის ანტიაფხაზური შინაარსი: მეხუთე კლასიდან, როცა ბავშვმა აქტიურად უნდა დაიწყოს ფიქრი და აზროვნება დედაენაზე, აფხაზი მოსწავლეები დისციპლინათა აბსოლუტურ უმრავლესობას შეისწავლიან რუსულ ენაზე, აფხაზური ენისა და ლიტერატურის სწავლებას კი ფორმალური ხასიათი აქვს. შესაბამისად, მოსწავლე ინტენსიურად იწყებს მატერიალური და არამატერიალური სამყაროს შეცნობა-გააზრებას მხოლოდ სხვის ენაზე;

7. აფხაზური ენის მოუმზადებლობა არამცთუ სახელმწიფო ენად გამოყენებისათვის, არამედ სასკოლო განათლების ენადაც კი;

8. ამ ენაზე ნაკლებად იქმნება სამეცნიერო-ტექნიკური ტერმინოლოგია.

სამწუხაროდ, აფხაზური ენა ინტენსიურად კარგავს დედაენად გამოყენების პოზიციებს **აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაშიც.** აქ ენის ფუნქციონირების სფეროთა შევიწროებას განაპირობებენ შემდეგი მიზეზები:

1. აფხაზთა ძალზე მცირე რაოდენობა (დაახლოებით 1 600 კაცი);
2. ინტერეთნიკური ქორწინებების მაღალი წილი;
3. კომპაქტური მონოეთნიკური დასახლებების არარსებობა;
4. ირგვლივ არსებული სხვაენოვანი გარემო;
5. აფხაზურ ენაზე განათლების მიღების შეუძლებლობა, რაც აფხაზეთშიც კი მთავარი პრობლემაა;
6. აფხაზური ენის დაბალი პრესტიჟი.

ყველაზე მეტი აფხაზი (ჩვენი შეფასებით, დაახლოებით 250 000 კაცი) ცხოვრობს თურქეთის რესპუბლიკაში. აფხაზურ ენას იქაც სერიოზული პრობლემები აქვს:

1. თურქული ენის მაღალი პრესტიჟი;
2. მე-20 საუკუნის შუა ხანებში მიმდინარე თურქიზაციის პოლიტიკის განხორციელების დროს იმ სოფლებში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობდა არათურქულენოვანი მოსახლეობა აიკრძალა და სასტიკად ისჯებოდნენ არათურქულ ენებზე მეტყველი მოსწავლეები და მათი ოჯახის წევრები, რამაც იმდროინდელ მოსწავლეთა უმრავლესობა გადააჩვია დედაენაზე მეტყველებას;
3. აფხაზთა ურბანიზაციის მზარდი ტემპები (მათი დიდი ნაწილი ცხოვრობს მსხვილ და საშუალო სიდიდის ქალაქებში: ანკარაში, სტამბოლში, ბურსაში, ადაფაზარში...);
5. აფხაზური სოფლების მასობრივი დაცლა ახალგაზრდა და საშუალო თაობის მოსახლეობისაგან;
6. საერო განათლების ერთადერთი ენა თურქულია, რელიგიური განათლებისა კი - არაბული;
7. ქვეყნის მთელ მოსახლეობაში (80 მილიონზე მეტი კაცი) აფხაზთა უმცირესი წილი;
8. ინტერეთნიკური ურთიერთობის ენად მხოლოდ თურქული გამოიყენება.

სირიის არაბთა რესპუბლიკაში აფხაზთა მცირერიცხოვნობის გამო (დაახლოებით 3 000 კაცი) ძნელია დედაენის შენარჩუნება, რის გამოც იქაური აფხაზები უპირატესად იყენებენ **არაბულ ენას, რომელსაც უდიდესი პრესტიჟი აქვს**, განსაკუთრებით მორწმუნე მაჰმადიანთა შორის: მოციქული მუჰამედი ამ ენაზე ქადაგებდა, ყურანი ამ ენაზე დაიწერა, ღვთისმსახურებაც არაბულად სრულდება, მის საფუძველზე მიმდინარეობს ყოველგვარი საქმიანობა. ამჟამად სირია-

ში მიმდინარე ომის გამო აფხაზებიც დაიძრნენ სხვა ქვეყნებისაკენ, მათი დაფანტვა კი უპირველესად დედაენის პოზიციების უფრო ინტენსიურად დათმობას იწვევს.

აფხაზთა საკმაოდ დიდი რაოდენობა ცხოვრობს **რუსეთის ფედერაციის** მსხვილ ქალაქებშიც, მაგრამ მათ უმრავლესობას არა აქვს კონტაქტი საკუთარი ეროვნების პირებთან და ამის გამო ვერ იყენებენ დედაენას, ხოლო იქ შექმნილი შერეული ოჯახების ენა მხოლოდ რუსულია.

აფხაზური ენა მისი რეალურად მძიმე მდგომარეობის გამო **იუნესკოს** მიერ უკვე ოფიციალურად მოიხსენიება **საფრთხეში მყოფ ენად**, ხოლო ზოგი აფხაზი ენათმეცნიერი (მაგალითად, **ვიაჩესლავ ჩირიკვა**) ვარაუდობენ, რომ თუ აფხაზეთში სასწრაფოდ არ იქნება მიღებული გადამჭრელი ზომები, იგი ორიოდ ათეული წლის შემდეგ სრულიად შეწყვეტს არსებობას.

ჩვენი აზრით, აფხაზური ენის გადარჩენის გზაა მისი სასწრაფოდ დანერგვა სკოლამდელი, სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების ძირითად ენად, ოფიციალური საქმისწარმოების, კულტურისა და მეცნიერების ენად, სამეცნიერო და ტექნიკური ტერმინოლოგიის დამუშავება და გავრცელება...

გ ი ო რ გ ი გ ო გ ო ლ ა შ ვ ი ლ ი

დიალექტიზმებისათვის ვაჟა-ფშაველას პროზაში

ვაჟა-ფშაველას სამწერლო ასპარეზზე გამოსვლისთანავე შემუშავდა აზრი, რომ ვაჟა „თავის ლექსებსა და პოემებს ფშაურ კილოზე წერდა, ხოლო პროზაულ ნაწარმოებებს ლიტერატურულ ენაზე“ (შ. ძიძიგური).

ვაჟა-ფშაველას პირველმა კრიტიკოსმა პეტრე მირიანაშვილმა ვაჟას პოეზია ენობრივად დიმიტრი მაჩხანელის პროზის გვერდით დააყენა (1888 წ.): „ქიზიყური პროზისა და ფშაური პოეზიის მოვლინებამ ხომ მთლად არია ენის ტაძარიო“, – წერდა კრიტიკოსი... აკაკი წერეთლის „ენას გიწუნებ, ფშაველო“ გვახსოვს (1913); უფრო ადრე (1899) აკაკიმ მკაცრად გააკრიტიკა რა-

ზიკაშვილების პოეზიის ენა, თუმცა იქვე წერდა, რომ ვაჟას პროზა სანიმუშოაო; აკაკის ასეც უთქვამს: „**ვაჟა მეტად ნიჭიერი მწერალია. იგი შეუდარებელი ენით წერს პროზად, ლექსის ენა კი მიუღებელიაო**“ (დ. ფაღვა) ... ვაჟას პოეზიის ენას ყაზბეგის ბელეტრისტიკასაც კი უდარებდნენ დიალექტიზმების გამოყენების თვალაზრისით (გ. ყიფშიძე) ... ძალიან მკვეთრია მ. ჯავახიშვილის აზრი: „გავიხსენოთ თუნდაც სამი მწერალი – **ვაჟა-ფშაველა, ე. ნინოშვილი და დ. კლდიაშვილი. პირველი ფშაურ კილოზე წერდა** (თუმცა მისი პროზა დღესაც სანიმუშოდ ჩაითვლება), **მეორე გურულზე, მესამე ქვემო იმერულზე.** სამივე დიდი მწერალია, მაგრამ **დააჩნია რომელიმე მათგანის კუთხურმა კილომ შესამჩნევი კვალი** სალიტერატურო ქართულს?... არც ერთი ოდნავ მაინც გამოჩენილი ლიტერატორი აღარ სწერს ამ კილოთი.“

ფაქტია: როცა დ. მაჩხანელის, ა. ყაზბეგის, ე. ნინოშვილისა და დ. კლდიაშვილის შედარებას ახდენენ ვაჟა-ფშაველასთან, ვაჟას პოეზიის ენას გულისხმობენ და არა ვაჟას პროზას... ამთავითვე ვიტყვით: მცდარია ამგვარი მიდგომა...

მაგრამ არავის უცდია, გაეცა პასუხი კითხვაზე: **რატომ გვაქვს** (თუ გვაქვს) **ასეთი პრინციპული ხასიათის სხვაობა პროზისა და პოეზიის ენას შორის?** რით უნდა აიხსნას ვაჟა-ფშაველას ასეთი პრინციპული დამოკიდებულება ამ ორი ჟანრის ნაწარმოებთა ენის მიმართ? (ვიმეორებთ: თუკი, რა თქმა უნდა, ეს ასეა...)...

* * *

ვაჟა-ფშაველას პროზაზე საუბრისას უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ აქ დამოკიდებულება დიალექტიზმებისადმი ისეთივეა, როგორც ჩვეულებრივ XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში... გავიხსენოთ ილია ჭავჭავაძის პროზა; ერთი მხრივ, „მგზავრის წერილები“ და, მეორე მხრივ, „კაცია – ადამიანი?!“ დიალოგებში ერთ შემთხვევაში პერსონაჟი მხოლოდ დიალექტზე საუბრობს (ლელთ ღუნია), მეორე შემთხვევაში პერსონაჟი გზადაგზა გამოურევს დიალექტურ ფორმებს (ვთქვათ, ლუარსაბი, დარეჯანი...)... ეს პრინციპი უფრო თანმიმდევრულად და მხატვრული თვალაზრისით საინტერესოდ დავით კლდიაშვილთან იჩენს თავს... ისიც გავიხსენოთ, მიხეილ ჯავახიშვილი რომ წერ-

და, ვაჟა-ფშაველა მშობლიურ დიალექტზე წერდა ისევე, როგორც ეგნატე ნინოშვილი და დავით კლდიაშვილიო... მ. ჯავახიშვილიც ამ შემთხვევაში, ვაჟას პოეზიას გულისხმობდა... ვთქვით, ეს შედარება არ ჩანს გამართლებული – ერთი მხრივ, ვაჟას პოეზია და, მეორე მხრივ, ნინოშვილისა და კლდიაშვილის პროზა ვერ შეუდარდება ერთმანეთს... **ნინოშვილსა და კლდიაშვილთან ამ თვალსაზრისით ვაჟას პროზა უნდა შევადაროთ...**

დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: **ვაჟას პროზა დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით იმ კლასიკურ წესებს ექვემდებარება, რომელიც XIX საუკუნის პროზაშია დამკვიდრებული (ი. ჭავჭავაძე, ალ. ყაზბეგი, ე. ნინოშვილი, დ. კლდიაშვილი...).** ცხადია, ამ მწერლებს აქვთ ინდივიდუალური თავისებურებები ამ მხრივ, მაგრამ ზოგადი პრინციპი დიალექტიზმების გამოყენებისა მხატვრულ პროზაში საერთოა – მკვეთრად იმიჯნება ავტორისა და პერსონაჟის მეტყველება. ჩვენი ღრმა რწმენით, დიალექტიზმების საკითხი ვაჟა-ფშაველას პროზაში ისევე მნიშვნელოვანი და საინტერესოა, როგორც (ვთქვით უკვე ზემოთ) დავით კლდიაშვილის, ალექსანდრე ყაზბეგის და სხვა, მის თანამედროვე მწერალთა შემოქმედებაში... ვაჟა-ფშაველასთან ბევრი რამ არის გასათვალისწინებელი: თემატიკა, დანიშნულება (საბავშვო თუ „სადიდო“...), მიზანდასახულობა... ეს უბანი ვაჟას შემოქმედებისა საკმაოდ მრავლისმთქმელია... ვაჟა ამ შემთხვევაშიც უაღრესად ორიგინალური და საინტერესოა... და გვეჩვენება, რომ ძალზე თანმიმდევრულიც, კლასიკური ზომიერებით...

ვაჟა-ფშაველას მოთხრობათა დიდ უმრავლესობაში მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით არ ჩანს აუცილებელი დიალექტიზმების გამოყენება; აქ შეიძლება დავასახელოთ: – „შვლის ნუკრის ნაამბობი“, „ია“, „გოჩი“, „კურდღელი“, „მთის წყარო“, „შეყვარებული“ და მრავალი სხვა; მათ შორის არის ისეთებიც, რომლებშიც მრავლადაა დიალოგები: „ჩხიკვითა ქორწილი“, „მელა-კუდიგრძელია“, „სათაგური“, „მელია-სერეფენია“ და მისთანანი...

არის მეორე რიგი მოთხრობებისა, რომელთა თემატური თავისებურება სწორედ მხატვრულ-სტილისტური თვალსაზრისით დიალექტური ფორმების შემოტანის აუცილებლობას უკარნახებს ავტორს. მაგალითად, ვაჟას ერთ-ერთი პირველი მოთხრო-

ბა „სურათი ფშავლის ცხოვრებიდამ“ და სხვანი: „დარეჯანი“, „შთაბეჭდილებანი“, „ფშაველი და მისი წუთისოფელი“...

დიალექტიზმების გამოყენების თვალსაზრისით პროზაშიც ისეთივე ვითარებაა, როგორც პოეზიაში (პოეზიაში დიალექტიზმებზე ბევრი თქმულა). პოემებშიც ის დიალექტიზმები გამოიყენება, რაც პროზაში. მაგრამ არის ერთი არსებითი ხასიათის სხვაობა: პროზაში ვაჟა-ფშაველა ცალკეა და პერსონაჟები – ცალკე; ვაჟა სალიტერატურო ქართულით მეტყველებს; პერსონაჟები მიმართავენ დიალექტიზმებს (XIX ს-ის ტრადიციული „წესის“ მიხედვით)...

პოემებში ასე არ არის: ვაჟაც და პერსონაჟებიც ერთნაირად მეტყველებენ; ავტორიც „პერსონაჟია“ და მრავალი პოემა „გარემოს კარნახით“ (ანა კალანდაძის შემოტანილი ტერმინია) იწერება... ასეა ლექსებშიც: ფშაველი ჯარისკაცი იქნება („ფშაველი ჯარისკაცის წერილი“) თუ პოეტი, როგორც ლირიკული გმირი (მაგალითად „არაგვს“), ერთნაირ „გავლენას განიცდის“ „გარემოსაგან“...

აი, სწორედ ეს ეუცხოებათ კრიტიკოსებს; ამიტომაც, რომ პროზა არ იწვევს მათს გულისწყრომას (ვიმეორებთ, აქ ვაჟასთან ისეთივე ვითარებაა, როგორც მის თანამედროვე მწერლებთან – პროზაიკოსებთან), მეტიც, პროზა ვაჟას, როგორც პოეტის, საწინააღმდეგოდ მოჰყავთ... ვაჟა ვაჟას წინააღმდეგ...

ესეცაა მიზეზი იმისა, რომ ვაჟა, როგორც ენობრივი მოვლენა, ქართულ მწერლობაში, ჩვენი ღრმა რწმენით, ყველაზე მდიდარი, ყველაზე მრავალფეროვანი, ყველაზე ღრმა ფენომენია... ვფიქრობთ, კვლავაც ძალაშია კ. გამსახურდიას აზრი: „ვაჟა, როგორც ენობრივი მოვლენა, დღესაც შეუსწავლელია“... ვაჟა-ფშაველა ამ მხრივაც „მომავლის პოეტი“...

ქეთევან დათუკიშვილი

I და II პირის ნაცვალსახელთა პარადიგმები თანამედროვე ქართულში

წინასწარ უნდა აღვნიშნოთ, რომ სიტყვასთან შერწყმული თანდებულის აღსანიშნავად ვიყენებთ ტერმინს „თანდებულისი“.

ტრადიციულად მიღებულია, რომ პირის ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმაში ითვალისწინებენ თანდებულისიან (შერწყმული თანდებულის დართვით მიღებულ) ფორმებსაც. შესაბამისად, ნათესაობით ბრუნვაში ყოველთვის მიუთითებენ, რომ ამ ბრუნვის ფორმები გვხვდება მხოლოდ თანდებულისთან ერთად. წარმოვადგენთ ბრუნების პარადიგმის ფრაგმენტებს სხვადასხვა ავტორის ნაშრომებიდან:

ა. შანიძე:

ნათ. *ჩემ– *შენ *ჩვენ *თქვენ

ლ. კვაჭაძე:

ნათ. ჩემ– შენ- ჩვენ- თქვენ-

ჟ. ვეიქრიშვილი:

ნათ. ჩემ(თვის, კენ...) შენ(თვის) ჩვენ(თვის)
თქვენ(თვის)

ა. არაბული:

ნათ. ჩემ (+თანდ.) შენ (+თანდ.)

თ. ვაშაკიძეს თანდებულისიანი ფორმები დასახელებული აქვს აგრეთვე მიცემით და ვითარებით ბრუნვებთან, რაც სრულიად გამართლებულია, რადგან აზუსტებს პარადიგმას. ამასთან, თ. ვაშაკიძეს პირველი პირის ნაცვალსახელის პარადიგმაში მოცემული აქვს უთანდებულო მოქმედებითი ბრუნვის ფორმა (ჩემ-ით), რომელიც, ბუნებრივია, არის ამ პარადიგმის სრულუფლებიანი წევრი, მაგრამ სხვა ავტორთა პარადიგმებში იგი დასახელებული არ არის. ჩვენ ვიზიარებთ თ. ვაშაკიძის ამ მოსაზრებასაც. გარდა ამისა, პარადიგმაში წარმოვადგენთ აგრეთვე პირის ნაცვალსახელთა ვითარებითი ბრუნვის ფორმებსაც (ჩემ-ად, შენ-ად, ჩვენ-ად, თქვენ-ად), რომლებიც აქტიურად არ გამოიყენება, მაგრამ გარკვეულ კონტექსტებში მა-

ინც არის დადასტურებული: „ჩვენ ჩვენად არაფერს წარმოვადგენთ, არაფერნი ვართ“ (ვაჟა-ფშაველა); „დაბადებულა არავინ ჩემად, ვინ იცის კენტად რამდენი დადის..“ (ნ. მეფარიშვილი); „სალამი ღმერთო, შენ ტკივილი ისწავლე მაშინ, როცა ცოტა ხნით ჩვენად ყოფნა დაიხეპირე“ (google.com).

ნაცვალსახელთა პარადიგმის აღწერისას ჩვენ ვირჩევთ შემდეგი მეთოდოლოგიურ მიდგომას: ცალკე წარმოვადგენთ ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმას და ცალკე - თანდებულისიან ნაცვალსახელთა პარადიგმას. ამგვარი აღწერა მნიშვნელოვანია ენის მოდელირებისათვის, აგრეთვე სწავლებისას.

ჩვენ საშუალება გვქონდა წინა მოხსენებაში განგვიხილა არსებით სახელთა თანდებულისიანი ფორმების პარადიგმები ბრუნების ტიპების მიხედვით. იმავე პრინციპით ცალკე წარმოვადგენთ ნაცვალსახელთა ბრუნების და თანდებულისიან ნაცვალსახელთა პარადიგმებს.

I და II პირის ნაცვალსახელთა ბრუნების პარადიგმა

სახ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მოთხ.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
მიც.	მე	შენ	ჩვენ	თქვენ
ნათ.	–	–	–	–
მოქ.	ჩემ-ით	შენ-ით	ჩვენ-ით	თქვენ-ით
ვით.	ჩემ-ად	შენ-ად	ჩვენ-ად	თქვენ-ად
წოდ.	–	შენ (შე)	–	თქვენ (თქვე)

თანდებულისიან ნაცვალსახელთა (I და II პირის ნაცვალსახელების) პარადიგმა

ფუძესდართული:

ჩემ-თან	შენ-თან	ჩვენ-თან	თქვენ-თან
ჩემ-ზე	შენ-ზე	ჩვენ-ზე	თქვენ-ზე
ჩემ-ში	შენ-ში	ჩვენ-ში	თქვენ-ში
ჩემ-იდან	შენ-იდან	ჩვენ-იდან	თქვენ-იდან
ჩემ-ამდე	შენ-ამდე	ჩვენ-ამდე	თქვენ-ამდე
ჩემ-ამდის	შენ-ამდის	ჩვენ-ამდის	თქვენ-ამდის
ჩემ-თვის	შენ-თვის	ჩვენ-თვის	თქვენ-თვის
ჩემ-კენ	შენ-კენ	ჩვენ-კენ	თქვენ-კენ
ჩემ-გან	შენ-გან	ჩვენ-გან	თქვენ-გან
ჩემ-ებრ	შენ-ებრ	ჩვენ-ებრ	თქვენ-ებრ

მიცემითსდართული: ჩემ-ს-ა-ვით შენ-ს-ა-ვით ჩვენ-ს-ა-ვით თქვენ-ს-ა-ვით

ამავე პრინციპით განვიხილავთ მოხსენებაში I და II პირის კუთვნილებით ნაცვალსახელთა ბრუნებისა და თანდებულისიან ფორმათა პარადიგმებს.

თ ა მ ა რ ვ ა შ ა კ ი ძ ე

მუხრან მაჭავარიანი – „მიეთ-მოეთი ტყემლის ჩეროში“

მუხრან მაჭავარიანის შემოქმედებას – დიდსა და მრავალმხრივს – შეემატა ახალი კრებული „მიეთ-მოეთი ტყემლის ჩეროში“, რომელიც, ვფიქრობთ, ერთი უბადლო ნიმუშია იუმორისტული პოეზიისა (და არამხოლოდ მისი).

მუხრანისეული მხატვრულ-სტილისტიკური საღებავები რომ ამოუწურავია, ეს კარგად იცის ქართველმა მკითხველმა... და მაინც – ყოველ ჯერზე (ყოველი ახალი ლექსის წაკითხვისას) განსხვავებული შთაბეჭდილებით აღიქვამს შემოქმედის პოეტური ადლუმის მაგიურ ძალას.

მეტაფორა-შედარება-ეპითეტებითა თუ გაპიროვნება-ჰიპერბოლებით მდიდარ მუხრანის ლექსს, ბუნებრივია, ამშვენებს სხვა სახის გამომსახველობითი მახასიათებლებიც, რომელთაგანაც, უპირველეს ყოვლისა, დავასახელებდით ანჟამბემანს – როცა პოეტური მოზაიკა ემყარება აზრის გადანაწილებას თითოეულ სალექსო პწკარზე, რაც განსხვავებულ ელფერს სძენს სათქმელსაც და ლექსის რითმულ-რიტმულ სტრუქტურასაც.

ქვემოთ წარმოდგენილ პოეტურ ეპიზოდში სალექსო ტონალობას ქმნის **ლ** ბგერის ალიტერაციული ვარიაცია **ჯერ იე – ო**, შემდეგ კი **იე – ი** ხმოვნებთან ერთად, ხოლო სათქმელი – მუდმივი ტკივილი ამქვეყნიური ყოფისა – სულ ოცდარვა სამუსიკო მარცვალს მოიცავს მომაჯადოებელი დისონანსური ეფექტით, რასაც ზედ ერთვის საოცარი პოეტურობით დაშლილ-დარღვეული სიტყვათა რიგი (პირველ წინადადებაში):

„არავისია აქ იღბალი სახარბიელო, –
კაცი არაა,
ვისაც
ვინმე
იქ
არ
მიელის“.

კრებულში წარმოდგენილი ლექსების დიდი ნაწილი სალალ-ბოა და ეძღვნება ოჯახის წევრებსა თუ ნათესავ-მეგობრებს. ერთ-ერთი ამგვარი პოეტური ჩანახატი ყურადღებას იპყრობს იუმორისტულ ყალიბში მოქცეული რემინისცენციით, რომელიც ხალხური ლექსის მოტივზეა აგებული:

„ციცო და გივი შაიზნენ
როგორც ქორი და კაკაბი,
კინლამ გივის იმ ღამეს
გადაუხადეს ალაპი“.

„მით-მოეთი ტყემლის ჩეროში“ ძალიან ბევრ მინიატურულ ლექსს მოიცავს. ამათგან განსაკუთრებით თვალშისაცემია ერთი ტიპი – ორპწკარიანი პუანტები, რომლებსაც, შეიძლება ითქვას, ემყარება კიდევ მუხრანის ფილოსოფიური ლექსი.

ერთი ალაზნელი ლამაზმანის სიძულვილით შეპყრობილ ულამაზოთა წუხილს სულ ორი წინადადებითა და **ლ, ნ, ზ** თანხმოვანთა ალიტერაციული კომბინაციით ხატავს პოეტი:

„ალაზნის პირას ლამაზმანი ძროხებს ამოვებს,
ძულთ ალაზნელი ლამაზმანი ულამაზოებს“.

ყველა საუკუნეს ჰყავს თავისი „შავი ყორანი“, რომელიც, როგორც ჩანს, დიდ შემოქმედებს ერჩის განსაკუთრებით:

„შავი ყორანი საუკუნით მეჩვიდმეტეთი
საუკუნეში მეოცეში შემოლაზლახდა“.

სიხარულის მოსაპოვებლად მოდის ამქვეყნად ადამიანი – ტკივილით, წუხილით მოსაპოვებლად... ასე ეძებს მას მთელი ცხოვრება და – როცა იპოვის, ისევ თავიდან იწყებს ძიებას... ეს არის და ეს... იწურება წამებიც ამქვეყნიური ყოფისა და ყველამ იცის, რომ სამყარო ვერც კი შეამჩნევს მის სამუდამო წასვლას:

„ვით დღეს რბის, ასე ირბენს ეს ღელე, –
საფლავში ჩემი ჩაწოლის მერეც“.

ან კიდევ:

„გადის ამრიგად ჩემი ყოფნის ამქვეყნად ვადა.

ხან „ტოსკა“ მიდის ოპერაში, ხან „ტრავიატა!“

ძალიან დიდ „ხელოვანებას“ უნდა ფლობდებნ „მოშაირე“, ცხოვრების ფილოსოფია – თავისი „შავი ყორნითა“ თუ „საფლაგში ჩაწოლის მოლოდინით“ პუნტურ-იუმორისტულ პოეზიად რომ მოაქციოს.

სათქმელი სხვაც ბევრია.

ო ლ ე გ კ ა პ ა ნ ა ძ ე , ნ ა თ ი ა ფ უ ტ კ ა რ ა ძ ე ,
ნ ა ნ ა კ ა პ ა ნ ა ძ ე , ნ ი ნ ო ქ ი მ ე რ ი ძ ე , ქ ე თ ე ვ ა ნ
შ ე ყ ი ლ ა ძ ე (ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სა-
ხელმწიფო უნივერსიტეტი)

I დიათეზის I ქვეჯგუფის ი-R-ებ-Ø სტრუქტურის ზმნათა უღლების თავისებურებანი კომპიუტერული ლინგვისტიკის თვალსაზრისით

წინამდებარე კვლევაში **ი-R-ებ-Ø** სტრუქტურის ზმნები განხილულია კომპიუტერული ლინგვისტიკის პერსპექტივით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის „*ქართული ენის ტექსტის მეტყველების ნაწილებად თეგირება და სალექსიკონო ერთეულებად ლემირება*“ ფარგლებში, რომლის მიზანია ქართული ენის გრამატიკისა და ლექსიკის მარაგის შემცველი ლინგვისტურ-პროგრამული ხელსაწყო (lingware) შექმნა ტექსტის ლექსიკურ ერთეულთა მეტყველების ნაწილებად დახარისხებისა (POS tagging) და სალექსიკონო ერთეულებად წარმოდგენის (Lemmatizing) მიზნით; შესაბამისად, **ი-R-ებ-Ø** (და ყველა სხვა) სტრუქტურის ზმნური ფორმა გაანალიზებულია ფორმალური თვალსაზრისით სინტაქსური კონსტრუქციისა (Nom-Erg-Dat) და სემანტიკური ნიუანსების (მოცემულ პარადიგმაში, ძირითადად, ინხოატივის გამოხატვ.) გათვალისწინებით. კვლევა ეყრდნობა ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის ბაზაზე შემუშავებულ ქართული ზმნის უღლების სისტემის მორფოსინტაქსურ ანალიზს, რო-

მელიც წარმოდგენილია დამანა მელიქიშვილის ფუნდამენტურ ნაშრომში „ქართული ზმნის უღლების სისტემა“ (2001, აგრეთვე: მელიქიშვილი, 1978-79, 2014).

o-R-ებ-Ø სტრუქტურის ზმნათა ძირეული მორფემა, ძირითადად, ნასახელარია, „აწმყოს მოდელი რეფლექსივთა **o-R-ებ-Ø** სტრუქტურისა აქვს, ხოლო მყოფად-წყვეტილის ფორმები ზმნისწინით ეწარმოება: *o-ბანაკ-ებ-ს ის — და-o-ბანაკ-ებ-ს ის — და-o-ბანაკ-ა მან*; ფორმათა ნაწილს მესამე სერიაში თემის ნიშანი არ დაერთვის, თუმცა თუ აქტივის ფორმებთან დამთხვევა გამორიცხულია, შეიძლება დაერთოს *-ებ* თემის ნიშანიც“ (მელიქიშვილი, 2001:114), მაგ., აიკვირადლებს//აიკვირადალებს — აიკვირადლა — აუკვირადლებია. დასახელებულ ნაშრომში **o-R-ებ-Ø** სტრუქტურის ზმნათა პარადიგმაში სულ 34 ზმნური ფორმა ერთიანდება; მთლიანობაში კი, ქართული ზმნისთვის 66 ასეთი პარადიგმა გამოყოფილი.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი პროექტის ფარგლებში გაანალიზებული თითოეული ზმნური ფორმის საფუძველზე საგრძნობლად გაიზარდა პარადიგმათა საერთო რაოდენობა და უკვე 200-მდე აღწევს. მიზეზი პარადიგმის შიგნით გამოვლენილი უღლების თავისებურებებია ძირეული მორფემის გამარტივება-გართულების, მწკრივთა წარმოებისა და თემატური სუფიქსების დართვის ხარჯზე.

წარმოვადგენთ აღნიშნული სტრუქტურის ზმნათა ქვეტიპებს, რომელთა ერთიან ჯგუფში მოქცევაც შეუძლებელი აღმოჩნდა უღლებისას გამოვლენილი თავისებურებების გამო:

ა. I ქვეტიპი: o-R-ებ-Ø /prev.o-R-ებ-Ø /(prev)-o-R-ა /(prev)-უ-R-ებ-ი-ა:

მაგ., იმორცხვებს, იკალათებს, იზაფხულებს, იზამთრებს, ითენებ-ს, ივანებ-ს, იბუდებ-ს, იგემოვნებ-ს, იდარებ-ს, იკვირადლებ-ს, იმზიანებ-ს, იმინდვრებ-ს, იმუხლებ-ს, ისადგურებ-ს, ისავანებ-ს, იღამებ-ს, იქვეითებ-ს,

ბ. II ქვეტიპი: o-R-ებ -Ø / prev-o-R-ებ /(prev)-o-R-ა /(prev)-უ-R-ი-ა:

მაგ., იბოდიშებ-ს, იბუნაგებ-ს, იგვიანებ-ს, ივაკებ-ს, იმარჯვებ-ს, იმატებ-ს, იმწვანილებ-ს, ისვენებ-ს, იღვიძებ-ს, იჩოქებ-ს, იძინებ-ს.

ბ. 1. იკლავს ზმნური ფორმის ქვეპარადიგმა (<კელ> გახმოვანებული ძირით იქნება წარმოდგენილი წყვეტილის 1-ელ და მე-2 პირში: დავიკელი, დაიკელი).

ბ. 2. იმწუხრებ-ს ზმნური ფორმის ქვეპარადიგმა (<ხარ> გახმოვანებული ძირით იქნება წარმოდგენილი მესამე სერიის ფორმებში: მიმწუხარია, გიმწუხარია, უმწუხარია).

გ) III ქვეტიპი: ი-R-ებ-Ø / prev-ი-R-ებს / (prev)-ი-R-ა / (prev)-უ-R-ებ-ი-ა // (prev)-უ-R-ი-ა:

მაგ., იპრიანებს — მოუპრიანებია ან: მოუპრიანია, ითავქვევებს — გადაუთავქვევებია ან: გადაუთავქვევია, იბანაკებს — დაუბანაკებია ან დაუბანაკია, გაიარწივებს — გაუარწივია ან: გაუარწივია, იხანებს — დაუხანია ან: დაუხანებია.

მიუხედავად ზემოაღნიშნულ ზმნურ ფორმათა მსგავსი ძირითადი სტრუქტურისა, პროგრამული მოდულის აგებისას რიგ სირთულეებს წავაწყდით: ხსენებული ზოგადი ფორმალური მსგავსების გამო ტესტური ფაილების აგებისას მეორე და მესამე სერიაში თეორიულად დაუშვებელი ფორმები წარმოიქმნა (დაგენერირდა), შესაბამისად, აუცილებელი გახდა საუღლებელ ფორმათა დამატებითი, ქვეპარადიგმული კლასტერის შექმნა და შემდგომ უკვე გამოსავალი ვარიანტის გადამოწმება თითოეული მაგალითის შემთხვევაში.

მ ა კ ა ლ ა ბ ა რ ტ ყ ა ვ ა

სიტყვათქმნადობის ერთი სახეობისათვის ო. ჭილაძის პროზაში („ყოველმან ჩემმან მპოვნელმან...“)

გამორჩეულია ოთარ ჭილაძის პროზაული სამყარო. მკითხველის ყურადღების ცენტრში ექცევა მწერლისეული მეტაფორა-შედარებები, ეპითეტები, კომპოზიციური ფორმები, სტილური მახასიათებლები და მრავალი სხვა.

ო. ჭილაძე სიტყვათქმნადობის დიდოსტატია. მწერალმა რომანში – „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან...“, კომპოზიტების გამოყენე-

ბით განსაკუთრებული ექსპრესია შესძინა თითოეული გმირის მეტყველებასა თუ ხასიათს.

ნაწარმოებში საკმაოდ ხშირია არსებითი + მიმღეობა სტრუქტურის ოდენობები, რომელთა პირველი კომპონენტი ფუძის სახითაა წარმოდგენილი – **თავ-**, **თვალ-**, **პირ-**, **გულ-**, **ცხვირ-**, **სახე-** და სხვა. ისინი გამოიყენება როგორც მხოლოდითი, ისე მრავლობითი რიცხვის ფორმებით:

„ეზოებში თოვლისაგან **თავდაღწეული**, სისველისაგან გაშავებული ზვინები აბოლდნენ“ (ჭილაძე 2018: 275); „**თავგაქინდრული** იდგა, თითქოს მიწაში ელაპარაკებოდა ვიღაცას“ (იქვე: 251); „მაგრამ ისე იყო **თავზარდაცემული**, გაოგნებული და დამფრთხალი, თითქოს საკუთარ სახლში კი არა, ლაბირინთში გაღვიძებიაო“ (იქვე: 253); „**თავგამოცარიელებული** ალექსანდრე, ქურქის ჯიბიდან ბოთლს ამოიღებს და ურუქში გამოხდის არაყს ძმისა და რძლის საფლავებზე მოაპირქვევებს“ (იქვე: 423); „ხა, ხა, ხაო– ეცინებოდა ქაიხოსროს შიშისაგან **თვალდაჭყეტილი** თათრის წარმოდგენაზე“ (იქვე: 77); „იწვა თავისთვის, **თვალდახუჭული** და მოთმინებით ელოდებოდა, როდის იყიდდა ვინმე“ (იქვე: 161); „**თვალგაცეცებული** მიიკვლევდა ხალხში გზას და წარამარა ერთნაირ, ერთნაირსა და მოღუშულ სახეებს აწყდებოდა“ (იქვე: 357); „**პირმოკუმული** ზის, ფიქრიანი, ბიბლიურ ხესავით მშვიდი და ლამაზი“ (იქვე: 445); „ანას ხმა არ ამოუღია, **პირგამეხებული**, დამაბული იჯდა ტახტის კიდეზე“ (იქვე: 249); „ეცოდებოდა ის კაცი, როგორც სულელი ბავშვი, ცოფიან ძაღლთან რომ ჩაცუცქულა, **გულათრთოლებული** რომ ეფერება...“ (იქვე: 140); „იწვა მზის ცხელი ტერფით გადათელილ ბალახში, მოგონებებით გავსებულ ცას მიჩერებული, **გულაჩუყებული**“ (იქვე: 193); „ქაიხოსრომ ამ აივანზე ხუთი წლის ბიჭიც დაინახა, რიკულეებს შორის **ცხვირგამოყოფილი**“ (იქვე: 72); „...**ცხვირშეჭმუნული** შესცქეროდა, როგორ დაჩოჩავდა ბებიაძისი გომურის გარშემო“ (იქვე: 307); „**სახედაფორაჯებულმა**, სუნთქვაჩქარებულმა დორამ სახელოები ჩამოიშალა“ (იქვე: 167); „იდგა **სახეწამოჭარხლებული**, დაბნეული...“ (იქვე: 137)... „მიდიოდა, მიაშრიალებდა **ლოყებშეყინული** ქურქის გაფშეკილ კალთებს“ (იქვე: 417); „მერე ცაცხვების ძირას იჯდა, შალით **ფეხებშეფუთვნილი** და აქაც ყველაფერი ნაცნობი იყო“ (იქვე: 384); „...ისევე მარტო იყო, უსაშველოდ მარტო, ტახტზე გულადმა გადაწოლილი, **ნაწლავებგადმოყრილი**, სისხლის გუბეში **ფეხებჩაყოფილი**“

(იქვე: 244) „ლამპას მისჩერებოდა, **თვალბმოჭუტული, ქუთუთობ-დანაოჭებული**“ (იქვე: 297); „პირზე **ხელეზაფარებული** იცინოდა“ (იქვე: 325); „–შინ მინდა... სადა ხარ, კაცო, – ამოიგმინა **გუგებამოტ-რიალებულმა**“ (იქვე: 244); „შიშითა და სიბრაღულით კი არ შესცქე-როდა ჭრელი, **ქუსლებგამორღვეული** წინდებით...“ (იქვე: 334); „ეგ-დო უპატრონოდ, უცალოდ დარჩენილი, მტვრით გადათეთრებულ შარაზე, გაცვეთილი და **ქუსლებმობრეცილი**“ (იქვე: 128); „ქვეყანა დასახიჩრებული, ქვეყანა **კიდურებწაგლეჯილი** და ზეზეულად ლპება უმწეობისგან“ (იქვე: 436) და მრავალი სხვა.

ნაირგვარია მწერლის თვალთ დანახული – მდინარის, ვენა-ხის, ღილების, ყვრიმალების, „ყვავილის ანარეკლის“, „ლამფის სიმ-ხურვალისა“ თუ „ბოლის ფთილის“ ფერები, რომლებიც არსებითი + არსებითი სტრუქტურის ოდენობებით არის გამოხატული (პირველი კომპონენტი ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა წარმოდგენილი):

„მიდიოდა, მიირწეოდა უკიდევანო კალაპოტში მდორე და **ტალახისფერი** მდინარე“ (იქვე: 385); „**ბოლისფერი** ვენახებით შემო-საზღვრულ სივრცეში...“ (იქვე 193); „**ოქროსფერი** ღილები ალაგ-ალაგ გაცვეთილიყვნენ“ (იქვე: 287); „სიცხისაგან ოდნავ დანამგოდა მკვრივი და **ხორბლისფერი** ყვრიმალები“ (იქვე: 343); „ისევ გადაეფი-ნებოდა ეტლში მსხდომთა მოღუშულ სახეებს ბროწეულის ჭყეტელა ყვავილის **ალისფერი** ანარეკლი“ (იქვე: 175); „ქობის თავზე **ღრუბ-ლისფერი** ბოლის ფთილა გაშემებულიყო“ (იქვე:401); „თითქოს უჩი-ნარ კატას ეფერებაო, კატას კი არა, ლამფის **ბიისფერ** სიმხურვა-ლეს“ (იქვე: 299) და სხვა.

ნაწარმოებში გვხვდება ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები: „ესმით გზისკენ მაცქერალი დედაბრების **ბუტბუტი**“ (იქვე: 419); „თქვენ წარმოიდგინეთ, სირაჯებზე მართლა მოქმედებდა საათის **წიკწიკი**“ (იქვე:149); „ახლა უფრო გარკვევით ისმოდა შაშვის **ჭახჭა-ხი**“ (იქვე: 275) და სხვა.

დასტურდება ისეთი ფუძეგაორკეცებული კომპოზიტები, რომელთა ფუძეშიც ხმოვნითი ელემენტი იცვლება: „საკმეველის სუნით გაოგნებული სახედარი მუქად ინაკვთებოდა გასაყდრებული გომურის **ბინდბუნდში**“ (იქვე: 246); „ქვითვირის ნავიან წყაროებში მო-ჭყუმალავე **ბიჭბუჭები** თუ მხარზე კოკურაშედგმული შაოსანი ქა-ლები“ (იქვე: 174); „ამიტომ ანეტას **აბდაუბდა** ლაპარაკი უფრო აღელვებდა და აფრთხობდა“ (იქვე: 294) და სხვ.

მწერალი იყენებს ფუძის გაორკეცებით მიღებულ ზმნისართებს: „ორივეს **მაღლა-მაღლა** უყვარს ძრომიალი! –თქვა ზოსიმე მღვდელმა“ (იქვე: 286); „თავისუფლად შეეძლო დაეკლა, დაეკუწა და **ნაწილ-ნაწილ** ჩაეყარა ფეხსადგილის ორმოში“ (იქვე: 314); „ნიკო ციხეში, ისინი კი – **დუქან-დუქან**, ფაეტონებით, დამკვრელებით!“ (იქვე: 226); „შიძლევა კუზიანი იყოს და გიყვარდეს, სოფლის გიჟივით **შარა-შარა** დაწანწალებს“ (იქვე: 152)...

ხშირად დასტურდება არსებითი სახელი + ზმნისართი სტრუქტურის კომპოზიტები (არსებითი სახელი ფუძის სახითაა წარმოდგენილი): „ურუქელები გაცეხულნი უყურებდნენ ხეზე მიკიდულ მუნდირსაც, **წელზევით** შიშველ კაცსაც, საველე კარავსაც, რომელიც უკვე მოტიტვლებულ მიწაზე გაემართა ქაიხოსროს...“ (იქვე: 98); „მაგრამ მაიორმა ბეჭდიანი ხელი მწარედ ამოჰკრა **ნიკაპქვეშ** და დაუსისინა“ (ჭილაძე: 97); „გაურკვეველი, გამაოგნებელი, **ძირ-ფესვიანად** შემარყეველი იმედი ჩაესახა უცებ“ (იქვე: 234); „ის პეტრეს დედა სხვებისთვისაა. უცხო თვალისთვის, ვისაც **ყურმოკრლად** გაუგია მათი ამბავი“ (იქვე: 304); „ერთი დადამებამდე სარკმელთან იდგა, **ფეხმოუცვლელად** და მოუთმენლად“ (იქვე: 298); „ქალთან, შეიძლება საუკუნე იცხოვრო ერთ **ჭერქვეშ** და სამუდამოდ უცხო და უცნობი დარჩე მისთვის“ (იქვე: 317) და ა.შ.

ხშირად კი არსებითი სახელი ნათესაობითი ბრუნვის ფორმითაა შეზრდილი ზმნისართს: „ისეთი სიჩუმე ჩამოვარდა უცებ, გეგონებოდათ ცის ქვეშ, შარაგზაზე კი არა, **მიწისქვეშა** აკლდამაში ჩაულალავთ ხალხიც და საქონელიცო“ (იქვე: 134); „ეგონა, თავისთავად, **ხელისგაუნძრევლად**, მსხვერპლის გაურებლად გამოსწორდებოდა ყველაფერი“ (იქვე: 329); „**პერანგისამარამ**, ჩვეულებისამებრ, ბუხარს მიაშურა, ბუხრის წინ რომ გაეთბო გათოშილი სხეული“ (იქვე: 271) და სხვა.

რომანში სამკომპონენტის კომპოზიტებიც გვხვდება, რომელთა პირველი ორი კომპონენტი არსებითი სახელია, მესამე კი – მიმღეობა: „...მხოლოდ ერთი წამით გაირინდებოდა, უაზროდ მომღიმარი და ხორცის ნახარშით **გულმკერდჩამოწულული**“ (იქვე: 356); „ჯერ ისევ კოფოზე იჯდა, ახოვანი, მოღუშული, თეთრი მტვრით **გულმკერდგადაპენტილი**“ (იქვე: 320); „დიდ ქალბატონს, ბაბუცას ბებიას, ძალით დაუბანინებია **ცხვირპირგამურული** გოგო“ (იქვე:

146); „რადგან ბოლო წუთას ისეთი სისუსტე წამოუვლიდა ხოლმე, თავქუდმოგლეჯილი მოაჭენებდა ცხენს ურუქიდან“ (იქვე: 239);

ჭილაძე ხშირად მიმართავს შედარებებს, რითაც კიდევ უფრო მეტად იპყრობს მკითხველის ყურადღებას. შუალამისას ბნელ საქმეზე გამოსული ადამიანის წანწალი მარტის კატას შეადარა მწერალმა: „...ეს ვერც უნდა მიმხვდარიყო, რა ბნელ საქმეზე იყო გამოსული შინიდან, რა დააწანწალებდა ამ შუალამისას, **მარტის კატასავით**“ (იქვე: 380); წინდების გროვა კი მკვდარ ჭრელ ლეკვსაა შედარებული: „წამოდგა ალათია და წინდების გროვა ორივე ხელით ერთბაშად გადაიტანა ტახტზე, როგორც **მკვდარი, ჭრელი ლეკვი**“ (იქვე: 301); უხემ და ჯიუტ ქოჩორს ნაძვის რტოს ადარებს მწერალი, სიცელქე კი ჭინკებთან ასოცირდება: „ბიჭს ნაძვის **რტოსავით უხეში** და ჯიუტი ქოჩორი ჰქონდა და შავი, ჭინკებით სავსე თვალები“ (იქვე: 442)...

რომანში ვხვდებით ანდაზა-აფორიზმებს, ამონარიდებს სახარებიდან: „რაც მოგივა დავითაო, ყველა შენი თავითაო“ (იქვე: 305); „საცა არა სჯობს, გაცლა სჯობსო“ (იქვე:351), „არცა მამაი სჯის არავის, არამედ ყოველი სასჯელი მოსცა მესა“ (იქვე: 355) და მრავალი სხვა.

ნ ა ნ ა ლ ო ლ ა ძ ე, მ ა ი ა ა ბ ა ლ ა კ ი

„გულის“ შემცველი ფრაზეოლოგიზმები ქართულ და რუსულ ლინგვოკულტურულ სივრცეში

უკანასკნელ ხანს სულ უფრო დიდი ყურადღება ექცევა მულტიკულტურულ და მულტიენობრივ კვლევებს. ამ კონტექსტში მეტ აქტუალობას იძენს ფრაზეოლოგიზმების საკითხი. ამას განაპირობებს ის გარემოება, რომ ფრაზეოლოგიზმები უმნიშვნელოვანესი ინფორმაციის მატარებელია ლინგვისტური და არა მხოლოდ ლინგვისტური თვალსაზრისით.

კულტურათა შორის მსგავსება-განსხვავებათა გამოვლენის ეფექტური გზაა ენათა კვლევა შედარება-შეპირისპირების საფუძველზე. სხვადასხვა ენის ფრაზეოლოგიური ფონდის შესწავლა საშუ-

ალეხას გვაძლევს მივიღოთ სანდო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება აქვს სხვადასხვა ლინგვოკულტურული სივრცის წარმომადგენლებს სინამდვილისადმი.

ენებში უნივერსალური მოვლენა ჩანს ადამიანის შინაგანი სამყაროს აღნიშვნა, ფსიქიკური პროცესების გადმოცემა ფრაზეოლოგიზმებით, რომლებშიც სხეულის ნაწილებია გამოყენებული. ეს ბუნებრივიცაა, რადგანაც სომატური კოდი, რომელიც შეესაბამება ადამიანის არქეტიპულ წარმოდგენას საკუთარ თავსა და გარემომცველ სამყაროზე, ყველაზე ადრეულია. იმავდროულად, ამ ფრაზეოლოგიზმების შესწავლა საშუალებას გვაძლევს გამოვავლინოთ ცალკეული ეთნიკური ჯგუფის ცნობიერებაში არსებული ლინგვოკულტურული სტერეოტიპები.

როგორც ქართული, ისე რუსული ენობრივი სამყაროსათვის *გული, сердце* ემოციის კონცეპტუალიზაციის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია და ორივე ენაში ფართოდ არის წარმოდგენილი ფრაზეოლოგიზმები, რომლებიც ამ ლექსემებს შეიცავს. მათი შედარებითი კვლევის საფუძველზე გამოიკვეთა გარკვეული ტენდენციები და გამოიყო ფრაზეოლოგიზმების რამდენიმე ჯგუფი.

ამგვარი კვლევის შედეგებს თეორიულთან ერთად პრაქტიკული დანიშნულებაც აქვს. კერძოდ, იგი მნიშვნელოვანია თარგმანის თეორიისა და პრაქტიკისათვის, ასევე ხელს უწყობს ენის სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას.

ნ ა ნ ა მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი

საერთო იბერიულ-კავკასიურ ძირთა მქონე ლოკალური პრევერბები აფხაზურში

აფხაზურ ენას, ინკორპორაციული ბუნების გამო, უხვად მოეპოვება ე. წ. ლოკალური პრევერბები, რომლებიც ერთვიან ზმნას და ზოგჯერ სახელსაც და უცვლიან მას მნიშვნელობას, გამოხატავენ მძიმართულებას, ადგილმდებარეობას და სხვ.

როგორც ცნობილია, ლოკალური პრევერბები დამოუკიდებელ სიტყვათაგან მომდინარე მორფოლოგიური ოდენობებია, რომლებიც დროთა განმავლობაში, ზოგ შემთხვევაში, თავიანთ ამოსავალ მნიშვნელობას დაშორდნენ და მოდალურ ელემენტებად ჩამოყალიბდნენ.

ასეთ ენობრივ უბანში იბერიულ-კავკასიურ ენათა შორის არსებული ერთობა განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, რადგან ლოკალური თუ სხვა შინაარსის მქონე მოდალური ელემენტები ენის ლექსიკური ფონდის უძველეს ნაწილს წარმოადგენს.

მოხსენებაში განვიხილავთ რამდენიმე ლოკალურ პრევერბს, რომლებიც ჩვენი აზრით, საერთო იბერიულ-კავკასიური წარმომავლობისა უნდა იყოს:

ჯარა „შემოღობილ-შემოკავებულთან“, „სადგომთან“ ყოფნა-მოქმედებასთან დაკავშირებით. შდრ.: ქართ. **რაგვი, შემორაგვა**, მეგრ.: **გორაგუა, რაგუა**, სვან.: **რგუ** „დანგრევის პირას მისული (შენობა, გზა)“.

ძაა „სითხესთან, წყალთან დაკავშირებით“, შდრ. ქართ.: **ვეძა, ვეძისი, ვეჯა, ვეჯინის ხევი**.

ჩხენ - (**ჩხენჯ**-) „ცხენზე თან“, შდრ.: ქართ.: **ცხენი**, მეგრ.: **ცხენი**, სვან.: **ჩჷ**. ამ ლექსემასთან დაკავშირებით საგანგებოდ გვინდა გავამახვილოთ ყურადღება იმ გარემოებაზე, რომ ქართულსა და მეგრულს შორის არსებულ იდენტურ **ც / ც** შესატყვისობას, სვანურის მსგავსად, აფხაზურში **ც / ჩ** ბგერათშესატყვისობა შეესაბამება. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზურს „ცხენის“ აღსანიშნავად თავისი საკუთარი **აჩე** ლექსემა აქვს, აღნიშნულ ლოკალურ პრევერბში გვხვდება ქართველური **ცხენ** სიტყვის **ჩხენ - (ჩხენჯ)** შესატყვისი.

კჷა/გ „სახლის კუთხესთან“ დაკავშირებით, შდრ.: ქართ.: **კუნჭული**, მეგრ.: **კუჭული**...

კედ „ზედ, სიბრტყეზე“, შდრ.: ქართ.: **კედელი, კიდე, კედარო**, მეგრ.: **კიდა „კედელი“**, ჯებირი“, „ტიხარი“, სვან.: **კჷედ „კედელი“**.

მგა/გ „მიგნით“, („მუცელში“) შდრ.: ქართ.: **გულ-გვამი**, მეგრ.: **გვამი „მუცლის ღრუ“**, სვან.: **გუამ „მკერდი, გულმკერდი“**.

ფგრა / გ „წინ“ შდრ.: ქართ.: **ფერდი**.

ფა / გ „წინ, პირისპირ“, შდრ.: ქართ.: **გადაფარება**, მეგრ.: **ფორუა**, სვან. **ლიფრაუ**.

ღრა/გ „მუცელში“, „მიგ (სიღრმეში)“ შდრ.: ქართ.: **ღრუ /ღარი**, სვან.: **ღარი „მუცლის ღრუ“**.

ნყ“ „სივრცეში“ შდრ.: ქართ.: **ყენ**.

კვლა / გ „ჭუჭრუტანაში“, „გამჭოლ“ შდრ.: ქართ.: **კენ / სკნელ**.

ხა / გ „მალლა, თავთან დაკავშირებით“ შდრ.: ქართ.: **ხურ** /

ხურვა, ახურავს.

ლა / გ „შიგ, შორის“, შდრ.: ქართ.: **ლალვა / შელალა**.

ყა / გ „მჭიდროდ მიკრული“, შდრ.: ქართ.: **ყუნჭ / ყუნწ / ყუა**.

კნ / გ // **კვნ** „დაკიდება“, შდრ.: ქართ.: **სკნელ / კნელ**.

ჯვდ / გ „მკერდზე“, „გულის ფიცარზე“, სიბრტყეზე“, „ზედ“, შდრ.: ქართ.: **გული**, მეგრ. **გური**, სვან. **გუი**, **გუ**.

ვა / გ „გვერდით“, შდრ.: ქართ. **გვერდი**.

კ / გ „გარშემო“, „ირგვლივ“, შდრ.: ქართ. **ცე-კვ-ა**.

მლა / **ზლა** / გ „წელობე“, შდრ.: ქართ. **ჩა-ზლა-უჭება**.

ჟ „ზედ (გდებით, ცემით)“, შდრ.: ქართ. **ჟვავი, შვავი, ჟვეტა, შვეტა**, მეგრ.: **ზვე** „ზვავი, ზვავად მოსული (ბალახი, სარეველა), სვან.: **ჟი** „ზე, ზედ“.

მოხსენებაში წარმოვადგენთ სხვა იბერიულ-კავკასიურ ენათა შესაბამის მასალასაც.

ს ა ლ ო მ ე ო მ ი ა ძ ე

„სამხარი“ – ცვალებადი ტემპორალობის ქრონონიმი ქართულ დისკურსში

საკვების მიღების აღმნიშვნელი სიტყვები, გარდა კოგნიტიური მნიშვნელობისა, სადღეღამისო დროის დაყოფის ფუნქციასაც ასრულებენ, რაც მათ ქრონონიმთა რიგში ათავსებს. ტემპორალობა თითოეულის სემანტიკური კომპონენტია, თუმცა ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე ამ ლექსემათა შინაფორმაში შენახული დროითი მონაცემი რეალურ დროს არ თანხვდება, რაც მათი, როგორც ჯერის აღმნიშვნელი ერთეულების, ფუნქციონირების სხვადასხვაგვარ სურათს გვიჩვენებს.

ძველი ქართული ენის ლექსიკონში ილია აბულაძე „სამხარსა“ და „სადილს“ ერთმანეთის განსამარტავად იყენებს. ამავე ლექსიკონში დასტურდება „სამხარს“ და „სამხრის“, როგორც დროის ზმნისარ-

თები, რომლებსაც პარალელურ ტექსტებზე დაყრდნობით მიესადაგება „საშუალსა დღისასა“ ანუ „შუადღისას“. ზურაბ სარჯველაძე „ძველი ქართული ენის სიტყვის კონაში“, მართალია, ერთეულებს „სამხრის ყოფა“, „სამხრობა“ სადილობად განმარტავს და „სამხრის“ ფორმასაც „შუადღისას“ ზმნისართოს უსადაგებს, მაგრამ თავის კვლევაში („სამხარ-სიტყვის ეტიმოლოგიის ცდა“) აღნიშნავს, რომ „სამხრისათვის“ „სადილის“ გამოხატვა მეორეულია და „სამხარი“ დილის ჭამად უნდა გავიგოთ, რისი გათვალისწინებითაც იმავე ლექსიკონში ლექსემა სამხარს მიწერილი აქვს როგორც „სადილი“, ასევე „საუზმე“ და „საუზმის დრო“, სამხრება / სამხრობას კი – „სადილობა“, „საუზმობა“.

„სამხარი“ და „სადილი“ ერთი ჯერის სახელება იმ დროის ტექსტებში, როდესაც „საუზმე“ ჯერ არ არსებობდა (გაღვიძებისას არ ჭამდნენ, იმუშავებდნენ და მერე იღებდნენ საკვებს, რასაც სადილი (< სა-დილ-ე /სა-დილ-ო) ერქვა, როდესაც დაიწყეს განთიადისას მუშაობის წინ მცირე საზრდელის მიღება, ის გახდა პირველი ჯერი და ეწოდა საუზმე) და ისინი ორჯერად სისტემაში პირველ კვებას აღნიშნავდნენ. „სამხარი“ და „სადილი“ ერთი ჯერის სახელება სულხან-საბას მიერ დახასიათებულ ოთხ- ან ხუთჯერად კვების სისტემაშიც, ოღონდ ისინი უკვე მეორე კვებას აღნიშნავენ: „**სამხარი** (43,16 დაბად.) ჭამადთა ჟამთა სახელი არს, ვინათგან ორთა ჯერთა ჭამენ. შუადღე ჭამადი არს **სამხარი**, ხოლო მიმწუხრი ჭამადი – **სერობა** (სერი B); უკეთუ სამხარი არა შუადღე მიიღო და უადრესად ჭამა მესამე ანუ მეორე ჟამსა, უწოდენ **სადილსა** და არა სამხარსა; დილაზე მცირესა საჭმელსა ეწოდების **საუზმე** (საუზმარი B) და სამხრისა შემდგომად ჭამადსა – **ზარმელი** და უკეთუ სერობისა შემდგომად ჭამადი მიიღო, **სერის-კუდი** ეწოდების“.

სამხარი და **სადილი** ჯერ იმით განემსგავსნენ, რომ ერთი ჯერის სახელებმა საკვების მიღების სხვადასხვა დრო აღნიშნეს (უფრო ადრე მიღებისა – სადილმა, მოგვიანებით მიღებისა – სამხარმა), შემდეგ **სამხარს** სხვა დამოუკიდებელი ჯერის სახელდება დაეკისრა და იგი უკვე მესამე კვების აღმნიშვნელი გახდა (კვების დღიური განაწილების როგორც სამჯერად, ასევე ოთხჯერად თუ მეტჯერად სისტემათა ფარგლებში).

ამდენად, „სამხარი“ ენის განვითარების სხვადასხვა ეტაპზე აღნიშნავდა როგორც დილის კვებას (სამხარი = ახლანდელი საუზ-

მე), ასევე – შუადღისას (სამხარი = ახლანდელი სადილი), ასევე საღამოსას (ახლანდელი მნიშვნელობით – საკვების მიღება სადილსა და ვახშამს შორის). იმ ექსტრალინგვისტურმა ფაქტორმა, რომ კვების დღიური განაწესი იცვლებოდა წელიწადის დროისა თუ ადამიანთა საქმიანობის ტიპის მიხედვით, ლექსემა სამხარი ცვალებადი ტემპორალობის ქრონონიმალ აქცია.

მ ე დ ე ა ს ა ლ ლ ი ა ნ ი

კვლავ ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულების სესხება-ადაპტაციისათვის სვანურში. III.

სვანური ენის ლექსიკურ ფონდში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს უცხოენოვან რელიგიურ ლექსიკურ ერთეულებს, რომელთაც სესხების პროცესში მეტად საინტერესო ფონეტიკურ-ფონოლოგიური და სემანტიკური ადაპტაცია განუცდიათ. სწორედ სესხებისას მიმდინარე სხვადასხვა ფონეტიკურ პროცესთა გათვალისწინებითა და სვანური ენის დიალექტ-კილოკავთა მონაცემებზე დაყრდნობით შესაძლებლად ჩავთვალებთ აღნიშნული ლექსიკური ერთეულები შემდეგ ნაწილებად დაგვეჯგუფებინა: 1. **ფონეტიკურად სრულიად უცვლელი და ფონეტიკური ნიუანსებით სახეცვლილი ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულები**; 2. **აუსლაუტში თანხმოვანმოკვეცილი ძირები**; 3. **თანხმოვანთა ცვლილებები ნასესხებ რელიგიურ ლექსიკურ ერთეულთა აუსლაუტში**; 4. **გაუმლაუტებული ფუმეები**; 5. **ხმოვანთა სიგრძის მოვლენები**; 6. **ხმოვანთა რედუქცია**; 7. **თანხმოვანთა და ხმოვანთა ცვლილებები რაგვარობის მიხედვით** (*გამჟღერება, გაფშვინვიერება, ასიმილაცია, აფრიკატიზაცია-დეზაფრიკატიზაცია, თანხმოვანთა და ხმოვანთა მონაცვლეობა, ლ/მ/ნ/რ (სონორ) თანხმოვანთა მონაცვლეობა, ბგერათა ჩართვა-დაკარგვა, ხმოვანთა ფშვინვიერი შემართვა, მეტათეზისი...*); 8. **ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულების შემცველი კომპოზიტები**; 9. **ნასესხები ზმნური ძირების შემცველი რელიგიური ლექსიკური ერთეულები**; 10. **სვანური მორფოლოგიური ინვენტარით გა-**

ფორმებული ნასესხები რელიგიური ლექსიკა; 11. სემანტიკურად იგივეობრივი და სემანტიკური ნიუანსებით სახეცვლილი ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულები, რომელთაგანაც რამდენიმე საკითხზე უკვე გვქონდა მსჯელობა სხვადასხვა სამეცნიერო კრებულებსა და სესიის მასალებში გამოქვეყნებულ თუ დასაბეჭდად გაცემულ ნაშრომებში (იხ. ნასესხები რელიგიური ლექსიკური ერთეულების ფონეტიკურ-ფონოლოგიური ადაპტაციისათვის სვანურში. I, XL რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სამეცნიერო სესიის მასალები, თბ., 2020; რელიგიურ ლექსიკურ ერთეულთა სესხება-ადაპტაციისათვის სვანურში. II., იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, XLVIII, თბ., 2020...), ამჯერად კი ჩვენი მოხსენების ძირითად მიზანს წარმოადგენს რაგვარობის მიხედვით თანხმოვანთა და ხმოვანთა ცვლილებების შესწავლა ნასესხებ რელიგიურ ლექსიკურ ერთეულებში.

როგორც მასალაზე დაკვირვებამ აჩვენა, საანალიზო მასალაში ყველაზე მეტად იკვეთება შემდეგი ფონეტიკური პროცესები: *გამჟღერება* (მაგ.: ბაპ (ზს., ქს.)/პაპ (ბქ.) „მამაო, მღვდელი“ < მეგრ.-ლახ. პაპ-უ < ბერძნ. *πάππας*; ზანგლზგ (ბზ.) < ბქ. ზანდლზგ < *ზანზლზგ < *ზანზალზგ < *ზანზალზგ < *ზანზალზგ < *ქართ. ზან-ზალ-აკ-ი „ზარი“; შიშლზგ (ბზ.) < ქართ. ჩიჩილაკ-ი...), *გაფშვინვიერება* (მაგ.: *აფესკოპოზ* (ბზ.)/*აფესკოპოზ* (ლშხ.) < ქართ. ეპისკოპოს-ი < ბერძ. *ἐπίσκοπος*...), *ასიმილაცია* (მაგ.: *ჭობთრის* (ბზ., ქს.)/*ოხთრის* (ბქ.), შდრ. ბზ., ქს. *ჭობდრის* „სახსნილო (ყველისა, ხორცისა)“ < ქართ. (აჭარ.) უ-ხდურ-ი „რძე და რძის პროდუქტები“, ხევს., მოხ. უ-ჯდ-ურ-ი „ერბო, ყველი“; შაშშობ (ბზ.), შდრ. ბქ., ლნტ. *საშშობ*, ლშხ. *საშშობ* „ჭიაკოკონობა“ < ქართ. *სა-შიშ-ობ-ა...), *აფრიკატიზაცია* (მაგ.: *თარი[ნ]ქელ/თარიგქელ/თარიძელ* (ლშხ.), შდრ. ბზ., ლშხ. *თარი[ნ]გზელ/თარგნგზელ*, ზს. *თარგლეზერ*, ლშხ. *თარგლეზერ*, ლნტ. *თარიგზელ/თარიგზელ/თარიგლეზერ/თარიგლეზერ*, *თარგზელ/თარინგზელ/თარიზელ/თარზელ/-თარიგზელ* (ჩოლ.) < ძვ. ქართ. მ-თავ-არ-ანგელოზ-ი...), *დეზაფრიკატიზაცია* (მაგ.: *სასტაჟილ* (ჩოლ.) „გასაკვირი/არაჩვეულებრივი“ < ქართ. სასწაულ-ი; *ტაზროზ* (ბზ.) „საქონლის სიძლიერისა და გამრავლებისათვის განკუთვნილი დღესასწაული“ < ძვ. ქართ. ტადრ-ობ-ა-ე; *შიშლზგ* (ბზ.) < ქართ. ჩიჩილაკ-ი; *ძიარება* (უშგ.), შდრ. ზს. *ზირპბ*, ლშხ. *ზირებ/ზიარებ*, ლნტ. *ზირაბ* < ძვ. ქართ. ზიარება...), *თანხმოვანთა და ხმოვანთა მონაც-*

ვლეობა (მაგ.: **წარყუნა** (ჩოლ.) < ძვ. ქართ. წარღუნა, ახ. ქართ. წარღვნა; **გომიჯ** (ბზ., ლნტ.), შდრ. ბზ., ლნტ. **გომიჯ**, ლშხ. **გომინჯ** 1. „სეფისკვერი“, 2. „მრგვალი პური, კვერი“ < ქართ. (ლექხ., რაჭ., აჭ.) გომიჯ-ი; **კირუნ** (ზს., ლნტ., ჩოლ.)/**კირონ** (ლშხ., ლნტ.)/**კირენ** (ლნტ.) < ძვ. ქართ. კერეონ-ი, კერ-ოვან-ი „დიდი სანთელი ცვილისა“; **ყტილიერ** (ბქ.), შდრ. ბზ., ლშხ. **ყტილიერ**, ბზ. **ყტილიერ**, ლშხ. **ყტილიერ** < ქართ. ყველ-იერ-ი „დიდმარხვის წინა კვირა“...), *ლომინორ* (*სონორ*) *თანხმოვანთა მონაცვლეობა* (მაგ.: **ანღლაბ** (ზს.)/**ანღლაბ** (ლნტ.)/**ანღლებ** (ლშხ.) < ქართ. ა-მაღლ-ებ-ა; **ბარბლაშ** (ბზ., ლნტ.)/**ბარბულაშ**/**ბარბოლ** (ბქ.)/**ბარბლაშ** (ლშხ., ჩოლ.) „ბარბალობა ზედმიწ. _ **ბარბალე-ის-{ა}**“ < ქართ. წმ. ბარბარე < ბერძ. Βαρβάρα; **ნამპრობ** (ზს., ლშხ.), შდრ. ზს., ლშხ. **ლამპრობ** „რელიგიური დღესასწაული“ < ქართ. ლამპრ-ობ-ა; **სამთელ** (ლშხ.) < ქართ. სანთელ-ი; **სანება** (ჩოლ.) < ქართ. სამება; **ტანტაროზ** (ლშხ.) „ემმაკი, კუდიანი“ < ქართ. ტარტაროზ-ი „ჯოჯოხეთი“ < ბერძ. tartaros „შავეთი“; ქრისტიანულ წყაროებში _ ჯოჯოხეთი, ემმაკი; **უსურმან** (ზს.)/**უსურმან** (ლშხ.) < ქართ. მუსულმან-ი; **ჰიმკარობ** (ლნტ.)/**ჰიმკა-ობ**/**ჰიმკარობ** (ჩოლ.), შდრ. ლნტ. **ჰინკარობ** „ჰინკების მოსვლასთან დაკავშირებული დღესასწაული; ჰინკობის თვე“ < ქართ. ჰინკ-ობ-ა...), *ბგერთა ჩართვა-დაკარგვა* (მაგ.: **გომინჯ** (ლშხ.), ბზ., ლნტ. **გომიჯ**/**გომიჯ** 1. „სეფისკვერი“, 2. „მრგვალი პური, კვერი“ < ქართ. (ლექხ., რაჭ., აჭ.) გომიჯ-ი „უსაფუვრო და უმარილო მრგვალი პური, ნაღვერდალში გამომცხვარი“; **უსურმან** (ზს.)/**უსურმან** (ლშხ.) „ურჯულო“ < ქართ. მუსულმან-ი; **გარცამ** (ზს.)/**გარცამ** (ბქ.)/**გარცემ** (ლშხ.)/**გარცამ**/**გარცამ** (ლნტ.) „ხატზე გადაცემა/ხატზე დაფიცება“ < ძვ. ქართ. გარ-და-ც-ემ-ა „გადადინება, თავს გადასვლა, ავსება; ზემთ-გარდაცემა“, ახ. ქართ. გა-და-ც-ემ-ა; **კანდა** (ბქ.) < ქართ. (გურ.) კალანდა „ახალი წელი“ < ლათ. *calendae* „თვის პირველი დღეები“; **საკუთხეტელ** (ბზ.) < ქართ. საკურთხეველ-ი; **საცეცხტირ** (ლნტ.) < ქართ. საცეცხლურ-ი „სასაკმევლე“; **სეფსკ[ჷ]ერ** (ზს., ქს.)/**სეფისკვერ** (ბქ.) 1. „სეფისკვერი“, 2. *ბოტ.* „კიდობანა/ჩვეულებრივი ჰანჭყატა“ < ქართ. სეფისკვერ-ი „დიდებულთ კვერი“ (საბა); **ჯარ** (ჩოლ.), შდრ. ზს., ლნტ. **ჯჷპრ**, ლშხ., ჩოლ. **ჯჷპარ** < ქართ. ჯვარ-ი...; **სამრპკუ** (ზს., ლნტ.) < ***სამრპკუ** < ***სამრეკლუ** < ქართ. სა-მ-რეკ-ლ-ო; **შონდო** (ლშხ.) „საგალობელი, შენდობის სიმღერა“ < ქართ. შე-ნდ-ობ-ა; **წირ** (ზს., ქს.), შდრ. ბზ., ლშხ. **წირუ** < ძვ. ქართ. წირ-ვ-ა; **ჰნტი** (ბზ., ლშხ., ჩოლ.)/**ჰნტი** (ლნტ.)

„კორკოტი“ < ქართ. (ლექს., რაჭ.) ჭანტილა „წანდილი/კორკოტი“...), *ხმოვანთა შემართვა* (მაგ.: **უოლარ** (ლშხ.) < ქართ. ოლარ-ი „მღვდლის სამოსლის ნაწილი...“ < ბერძ. **ὄριον**; **უორმოც** (ბქ., ლნტ.)/**ორმოც** (ლშხ.) < ქართ. ორ-მ-ოც-ი...), *მეტათეზისი* (მაგ.: **პნგ[ტ]ლეზ** (ბზ., ლნტ.)/**პნგლეზ** (ბქ.)/**პნგტლეჯ** (ლნტ.)/**ანგტლეზ** (ჩოლ.), შდრ. ბზ., ლნტ. **პნგლრზ**, ბქ., ლშხ. **ანგლოზ**, ლნტ. **პნგელოზ** < ძვ. ქართ. ანგელოზ-ი < ბერძნ. **ἄγγελος** „მიკრივი, მაცნე; მოციქული...“; **მწლდიან** (ზს.), შდრ. ზს. **მწდლიან**, ლნტ. **მადლიან**, ლშხ. **მადლიან** < ქართ. მადლ-იან-ი; **ჯტრილ** (ბქ.)/**ჯრულ** (ლშხ.)/**ჯრულ[ი]** (უშგ.), შდრ. ბზ. **რჯტილ**, ბქ., ლშხ. **რჯულ** „რწმენა, რელიგია“ < ქართ. რჯულ-ი; **ხტწლმი** (ბზ.)/**ხტწლმი** (ბქ.) „ხველებისა და ყელის დაავადების დროს სალოცავი ღმერთი“ < ქართ. (ლექს.) ხვამლ-ი; **ხტწლმოზ** (ბზ.) „ყელის ტკივილისა და ხველების საწინააღმდეგო დღეობა“ < ქართ. (ლექს.) ხვამლ-ობ-ა...) და ა. შ.

მოხსენებაში ვრცლად ვისაუბრებთ თითოეული უცხოენოვანი რელიგიური ლექსიკური ერთეულის შესახებ-ადაპტაციაზე სვანური ენის როგორც ტრადიციულად ცნობილი დიალექტების (ბალსხემოურის, ბალსქვემოურის, ლაშხურის, ლენტეხურის), ასევე ჩოლურული მეტყველებისა და უშგულურ-ლახამულური კილოცავების მონაცემებზე დაყრდნობით.

ნ ა თ ი ა ფ ო ნ ი ა ვ ა

ლექსემა „ენის“ შემცველი იდიომები აფხაზურსა და ქართველურ ენებში

მოხსენება ეხება ერთნაირი ან მსგავსი სტრუქტურა-სემანტიკის მქონე აფხაზურ და ქართველურ (კერძოდ, ქართულ და მერულ-ლაზურ) ფრაზეოლოგიზმებს, რომელთა საყრდენი სიტყვაა ენა. საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ რამდენიმე ფრაზეოლოგიურ ერთეულს.

იდიომთა ნაწილს კომპონენტებიც საერთო აქვს და სემანტიკაც:

აფხ. იბზ დაჭოდტ, ქართ. ენა ექავება, მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) წინას აჩამუ, (ლაზ.) ნენა აჩამინს / ანჩამინენ „ზედმეტს ლაპარაკობს, ცდილობს ვინმეს საკინკლაოდ გამოწვევას“.

აფხ. უბზ აცჰა! ქართ. ენაზე იკბინე! მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) წინას ქაჩი! (ლაზ.) ნენას გააკიბინი! [ზედმიწ. „ენას უკბინე“] „გაჩუმდი, სისულელეს ნუ ამბობ!“

არის შემთხვევები, როცა ფრაზეოლოგიურ ერთეულთა შემადგენელი ნაწილები ოდნავ განსხვავებულია, მაგრამ სემანტიკა მსგავსია:

აფხ. იბზ დუტუბ [ზედმიწ. „მისი ენა დიდია“], ქართ. გრძელი ენა აქვს / ენაგრძელია, მეგრ.-ლაზ. (მეგრ.) გირძე (გინძე) წინა ულუ / წინაგირძე (წინაგინძე) რე, (ლაზ.) ნენა გინძე (გუნძე) ულუნ / ნენა გინძე (გუნძე) რენ (ონ) „ზედმეტს ლაპარაკობს, ლაქლაქაა, ენაგრძელია“.

გვაქვს ისეთი შემთხვევებიც, როცა აფხაზურის მსგავსი იდიომის დადასტურება ოდენ მეგრულში შევძელით:

აფხ. უბზ თაკვ! მეგრ. წინა ქიმლედეი! [ზედმიწ. „ენა ჩაიდე!“] „გაჩუმდი, ბევრს ნუ ლაპარაკობ!“

აფხ. იბზ აყაყა ფწოტუბ (ფწანგ დეყოტუბ) [ზედმიწ. „მისი ენის ზურგი გაწყვეტილია, გადატეხილია (გაწყდა, გადატყდა და არის)“], მეგრ. წინაქ აკუციუ (წინა აკოცემილი აფუ) [ზედმიწ. „ენამ დაეშალა (ენა დაშლილი აქვს)“] „თანმიმდევრულად ვერ ლაპარაკობს“. აფხაზურში ეს ითქმის მთვრალ ადამიანზე, მეგრულში იგივე შეიძლება არეულად მეტყველ ფხიზელ ადამიანზეც ითქვას.

ჭ ა ბ უ კ ი ქ ი რ ი ა

ერთი ფორმის გრამატიკულ-ორთოგრაფიული სტატუსისათვის

1. „ხედავს“ ზმნა ქეგლ-ში ასეა განმარტებული:

ხედავ-ს გრძმ. 1. (იყენ. დაინახა, დაუნახავს) 1. თვალით, მხედველობით აღიქვამს, _ უმზერს, უყურებს. კაცი დათვის ხედავდა და კვალს ემებ-

დაო (ანდაზა). უი, ამას ვის ვხედავ! – გაიოცა მზეხათუნმა (გ. წერეთ.). 2. ამჩნევს, იტყობს. ძმაო ირემავ, მეც ვხედავ, რომ აქ მოწყენითა ხარ (შ. არაგვ.). ◊ ხეირს ხედავს ხეირი აქვს, მოგებას ნახულობს, სარგებელი რჩება. ეს ამოდენა ხალხი მიდ-მოდოდა [მეფესთან] რაშებით. ხეირს ხედავდა ვაჭარი თუ ხელოსანი (გ. ბარნ.). 3. მიიჩნევს, ცნობს; თვლის, რაცხს. გლეხკაცი, მინამ სოფლის სასამართლოში შევა, ჯერ საჭიროდ ხედავს მაზრის უფროსთან გამოიქცეს და ბრძანება სთხოვოს, სოფლის სასამართლომ საქმე გამირჩიოსო (ილია). 2. (იყენ. ნახა, უნახავს) ხვდება, ნახულობს. დღეს მეორედ ვხედავთ ერთმანეთსა, – უთხრა თეიმურაზმა ბარბარეს (ლ. არდაზ.). ◊ სიზმარს ხედავს სიზმარშია, ესიზმრება. ღამე ხშირად ვხედავთ სიზმრებსა (ი. გოგებ.). ◊ მზე ხედავს მზე (მზის შუქი) ანათებს, მზის სხივი ეცემა. [წიფლის] მწვანე ფოთოლს მზე ხედავს, ზედ წვიმის ცვარი შრიალებს (ვაჟა). 3. (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) მხედველობის უნარი აქვს. ღამით დავჯები ცუდად ხედავენ (ი. გოგებ.).

მყოფადსა და მისგან ნაწარმოებ ნაკვეთებში, სხვა ფუძე გვაქვს: ერთი მხრივ: „და-ი-ნახ-ავ-ს“ – „და-ი-ნახ-ა“ (სადაც ზმნისწინი და საობიექტო ქცევის ი- პრეფიქსი დასტურდება); მეორე მხრივ, „ნახ-ა“, „უ-ნახ-ავ-ს“.

რა თქმა უნდა, ამ კონტექსტში გვერდს ვერ ავუვლით „ნახულობს“ ზმნას, რომელთანაც „ნახავს“ ზმნას აშკარად აქვს სემანტიკური, თუმცა არა ფორმოზრივი („ნახულობს“ ზმნას ფორმაწარმოება შეზღუდული აქვს) ბმა:

ნახულობს-ს (მხოლოდ ნაკვეთა აწმყოს წყებაში) გრდუვ. სტატ. 1. ვისიმე ან რისამე სანახავად დადის; ხვდება (ვისიმე). ხშირად ნახულობდენ ერთმანეთს ეთერი და მახარე (შ. არაგვ.). 2. კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც კ ო უ ლ ო ბ ს. ის, რამდენს მეტს აკვირდებოდა იქაურობას, იმდენ ახალ-ახალ ცვლილებებს ნახულობდა (რ. ვაჟა).

თოფურია-გიგინეიშვილის ორთოგრაფიულ ლექსიკონსა და სხვა ნორმატიულ გამოცემებში მართებულად არის ჩათვლილი ვინიანი ფორმები:

ანახვებს; ანახვებდა, ანახვებდეს; ანახვა, ანახვოს (ვანახვო, ანახვო); უნახვებია, ენახვებინა, ენახვებიბინოს. დაანახვებს; დაანახვავა (დავანახვე, დაანახვე); დაანახვოს (დავანახვო, დაანახვო); დაუნახვებია. ენახვება; ენახვებოდა; ენახვებოდეს. დაენახვება; დაენახვავა (დამენახვე); დაენახვოს (დამენახვოს, დაგენახვოს); დანახვებია

ქველ-ში დასაშვებად არის მიჩნეული ფორმები ვ-ს გარეშეც (აქ სატვრით ფორმად „(ნეტა) მანახა“ ჩანს, მაგრამ საილუსტრაციო მასალაში „მანახვა“ და „განახვა“ დასტურდება):

ანახ'ვებ-ს (ანახ'ვ'ა, უნახ'ვ'ებია) გრძმ. საშუალებას მისცემს ნახოს, – აჩვენებს; შეახედებს. წამოყე და განახვებ, სადაც არის! (ს. წვერ.). ისე გა- გიშვავთ, ავადმყოფი არ განახოთ? (ნ. წულუისკ.). || გაასინჯებს. პროფესორს ბიჭიკოვ ანახეს (რ. ჭეიშვილი). ◊ (ნეტა) მანახა ნატრ. «მთა-გორასავით არ წამომჯდარა ი... ღრუბე- ლი!» – «დალოცვილი სადა ჩნდება მაგოდენად? ნეტა კი მანახვა და!» (ს. მგალობ.). ნეტავი თვალთ განახვა, რა ამბავია! (ი. გუდუცა).

დაანახ'ვებ-ს (დაანახ'ვ'ა, დაუნახ'ვ'ებია) გრძმ. 1. საშუალებას მისცემს დაინახოს, – აჩვენებს, უჩვენებს, შეახედებს.

2. რომელი წარმოებაა სწორი?

„ნახავს“ ფორმიდან იწარმოება „ანახებს“. სწორედ ეს არის მარ- თებული წარმოება.

ეს არის კაუზატიური შინაარსის, მაგრამ არა ფორმის მქონე ზმნა.

ეს იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში სახელმძღვანელოდ არ გამოგვადგება ცნობილი წესი: თუ ზმნაში დასტურდება -ავ თემის ნიშანი, მაშინ ეს მორფემა რედუცირებული სახით (-ს გარეშე) თავს იჩენს კაუზატიურ ფორმაში: ხატ-ავ-ს – ახატ-ვ-ინ-ებს, ბარ-ავ-ს – აბარ-ვ-ინ-ებს, რეკ-ავ-ს – არეკ-ვ-ინ-ებს, რეცხ-ავ-ს – არეცხ-ვ-ინ-ებს...

„ანახებს“ ზმნა უნიკალური როდია წარმოების თვალსაზრი- სით, ამგვარივე მეორეული აქტივებია: აყლაპებს, ასუნთქებს, აყვინ- თებს, აკითხებს – ამათ პარალელურად კაუზატიური ვარიანტებიც უდასტურდებათ.

„პარალელურ ფორმათაგან აყლაპვინებს, ასუნთქვინებს, აყ- ვინთვინებს... ფორმებია ნორმად მიჩნეული, ხოლო აკითხებს – აკი- თხვინებს ფორმებს შორის სემანტიკური სხვაობაა და ისინი განსხვა- ვებულ სიტუაციებში გამოიყენება: აკითხებს (წერილს, წიგნს), მაგ- რამ აკითხვინებს (რადაცას ვილაცისთვის. აკითხვინა - შეკითხვა მია- ცემინა)“ [თ. ღვინაძე, ქსკს, 2].

საყურადღებოა, რომ აქ სწორედ აყლაპებს, ასუნთქებს, აყვინ- თებს, აკითხებს და არა აყლაპვებს, ასუნთქვებს, აყვინთვებს, აკი- თხვებს ფორმებზეა მსჯელობა.

ეს არის კაუზაციური შინაარსის ზმნები, რომელთაც სათანა- დო მორფოლოგიური მარკირება არა აქვთ, თუმცა ნათლად ჩანს, რომ ამოსავალი გარდაუვალი თუ გარდამავალი ფორმებისგან ახა- ლი ფორმები იწარმოება ა-ებ პრეფიქს-სუფიქსის საშუალებით.

ჩამოთვლილ ფორმებს შეიძლება დავუმატოთ:

შფოთავს > აშფოთებს, ბორგავს > აბორგებს, ბრწყინავს > აბრწყინებს, ფარავს > აფარებს, სინჯავს > ასინჯებს, ხედავს > ახედებს, ბოლავს > აბოლებს, ხრჩოლავს > ახრჩოლებს, ბოდავს > აბოდეხს...

პარალელურად შეიძლება ა- – -ავ-ებ წარმოებაც დადასტურდეს:

ცურავს > აცურებს / აცურავენს, გორავს > აგორებს/აგორავენს...

ან მხოლოდ ა- – -ავ-ებ წარმოება გვეკონდეს: **ჭორავს > აჭორავენს.**

3. ფაქტია, რომ ტრანსფორმაციის შედეგად არც ერთ შემთხვევაში არ გვაქვს ვინიანი ფორმა, გამონაკლისი მხოლოდ **ანახვებს** გამოდის, არადა, საფუძველი ამგვარი წარმოებისთვის არ ჩანს. აქედან გამომდინარე, უნდა გასწორდეს შესაბამისი პარადიგმა, გადაისინჯოს მისი ორთოგრაფიული სტატუსი და სწორ ფორმად სწორედ „**ანახებს**“ დამკვიდრდეს, – მით უმეტეს, რომ არც სტატისტიკური ანალიზი უწყობს ხელს **ანახვებს, ანახვა, ანახვო...** ფორმათა დამკვიდრებას.

ერთი სიტყვით, **ნახავს** ზმნისგან ნაწარმოები ვინიანი ფორმები ამოვარდნილია ფორმაწარმოების საერთო წესიდან და საჭიროა ამის გათვალისწინება ანალიზისას.

ვფიქრობთ, საჭიროა სათანადო კორექტივების შეტანა ნორმატიულ გამოცემებში და იმის ილუსტრირება, რომ მართებულია: **ანახებს, ანახა, ანახოს...**

მედეა ლლონტი

ძვ. ქართ. **ტყუ(ვ)ილის** ლექსიკურ-სემანტიკური არჩევანი
(ძვ. ქართ. მომატყუებელი „მომასწავებელი; მიზეზი;
მომნიჭებელი...“)

ძვ. ქართ. **ტყუ(ვ)ილის** ლექსიკურ-სემანტიკურ ბუდეს შეადგენს ნეგატიური და პოზიტიური კონოტაციის შემცველი ორი მკვეთრად დაპირისპირებული სემანტიკური ველი, შდრ.:

1) ძვ. ქართ.: **ტყუ(ვ)ილი, ტყუვება** „ტყუობა; ცრუობა, სიცრუე“; „ტყუილი; ეჭვი“, „მოტყუება“, **ტყუილითი** „ცრუ“, **მატყუებელი** „მომატყუებელი; შემცდენი“, **მატყუებლობა** „შემცდენა“;

შეტყუ(ვ)ება, შეტყუებით „მოტყუება; მოტყუებით“, **შეტყუ(ვ)ილი, შეტყუ(ვ)ილით** „მოტყუება; (შე)ცდენა; მოტყუებით“ და სხვ.;

2) ძვ. ქართ.: **ტყუება** „საბაბის მიცემა; ალაპარაკება“, **მატყუებელი** „საბაბი“, **მოტყუება** „მოსწავება (დამართება); შეძენა, მოგება; მიცემა; ვარაუდი“, **მომატყუებელი** მომასწავებელი; საბაბი; მიზეზი, მიზეზის მომცემი; შემძენელი; შუამავალი; მომყოლი“,

შეტყუება „ნუგეშისცემა“, **შეტყუება** „შეტყობა; მიხვედრა; მხილება; შედარება; შეფერება; გატოლება; საერთო; შესაფერისობა; გარეგნობა“, **თანა-შეტყუება** „თანასწორობა; თანაფარდობა; შეფარდება; შესაბამისობა; შესატყვისობა“, **თანა-შეტყუებისაებრ** „შესატყვისობის, შესაბამისობის მიხედვით“, **შეტყუებული** „შესატყვისი; შეზავებული“, **შეტყუებულად** „შესაფერისად“, **თანა-შეტყუებული** „შეერთებული“;

შემატყუებელი „მცოდნე“, **თანა-შესატყუებელი** „შესაფერისი“ და სხვ. (სულხან-საბა, ილია აბულაძე, ივანე იმნაიშვილი, ზურაბ სარჯველაძე და სხვ.).

ეკლესიის წმიდა მამათა თარგმანების გათვალისწინებით, პოზიტიური კონოტაციის შემცველთაგან საგანგებოდ განიხილება პოლისემიურობით გამორჩეული ძვ.ქართ. **მომატყუებელი**, რომელიც მრავალჯანროვან საეკლესიო ლიტერატურაში ლექსიკურ-სემანტიკურ გადმონაშთადაა შთენილი, ვითარცა ქრისტესი და მისი რჯულის აღმნიშვნელი სახელდებითი ცნება, აღბეჭდილი სემანტემებით

– „მომასწავებელი; განმაპირობებელი; მომნიჭებელი; მომპოვებელი; შემძენელი; მომცემი; ნუგეში, ნუგეშისცემა; ნუგეშისცემელი“, მაგალითად :

* „მომასწავებელი“: „ვითარ-იგი ლოცვითა თვსითა გზა-უყო ლოცვათა ჩუნთა და ტაძარ ღმრთისა წოდებითა ჯორცთა ჩუნთათა – ტაძარ ღმრთის-ყოფად **მომატყუებელ** გუექმნა ჩუნ“ („თაგმანებად –1 ტიმთეს მიმართ 3,16“);

* „ამისთვის თავს-იდვა განკაცებად და ჩუნ მოგუცა მადლით მოტევებად პირველ ქმნულთა ბრალთად, რათა მაცხოვრნეს ჩუნ ცხორებისათა საუკუნოთა, რომლისა **მომატყუებელ** არს მორჩილებად მოძღურებათა და მცნებათა მისთად“ („თაგმანებად – ტიტეს მიმართ 2, 11);

* „მომნიჭებელი; მომპოვებელი; შემძენელი; მომცემი“: „[მისი – ქრისტეს] ნათლის-ღებად... არს ეტლი ცად მიმართ **მომატყუებელი** სასუფეველისად“ (წმიდა ბასილი დიდი, „წმიდისა ნათლისღებისათვს“), შდრ.: „ადღგენ ქრისტე-**მტყუვარნი** და **ცრუ**-წინაწარმეტყუელნი“ (მათე 24, 24; მარკოზი 13, 22).

ძვ. ქართ. **ტყუ(ვ)ილის** ლექსიკურ-სემანტიკური ბუდის წარმოდგენილი ანალიზიდან გამომდინარე, სათანადო საღვთისმეტყველო-კატეხიზისური განმარტების საფუძველზე („არა ცილი სწამო მოყუასსა შენსა ზედა წამებითა ცრუთა“ – გამოსლვა 20,16), ასევე განიხილება ძველ ქართულ სინონიმთა – ნეგატიური კონოტაციის მიმღეობური **ტყუ(ვ)ილისა** და **ცრუ(ვ)ის** – ისტორიული დიფერენცირების საკითხი (კერძოდ, მათი ლექსიკურ-სემანტიკური ფუნქციური გადანაწილების მოტივაცია).

ხ ა თ უ ნ ა ყ ა ნ და შ ვ ი ლ ი

პირის ნიშნის გამოხატვის თავისებურებანი მელანიას შემოქმედებაში

მელანია (---) მე-19 საუკუნის მეორე ნახევრის მწერალია. ის კახეთიდანაა, სოფელ მელაანიდან და მისი ფსევდონიმიც აქედან

მომდინარეობს. მელანიას შემოქმედებაში გვხვდება კახური დიალექტისთვის დამახასიათებელი ფორმები; ჩვენ ამ შემთხვევაში გვინტერესებს მეორე სუბიექტური პირისა და მესამე ობიექტური პირის ნიშნები.

მელანიას შემოქმედებაში ვხვდებით კახურისთვის დამახასიათებელ თავისებურებებს პირის ნიშანთა ხმარებაში. მეორე სუბიექტური პირის გამოსახატავად ავტორი ხშირად იყენებს -ჰ პრეფიქსს:

„ხომ არ იცით რა, რატომ თქვენთვის არა **ჰყრიხართ?**“ („ბნელო“, გვ. 21)

„ე შენ კიდე სუ **შაჰმოსილხარ**“ („ბნელო“, 28)

მეორე სუბიექტური პირის გადმოსაცემად არ იყენებს კახურისთვის დამახასიათებელ -ა პრეფიქსს და მის ნაცვლად გვხვდება ყველგან -ჰ. ის ფაქტი, რომ ავტორი საერთოდ არ იყენებს ცოცხალი მეტყველებისათვის დამახასიათებელ -ა პირის ნიშნებს, უნდა აიხსნას იმით, რომ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში სამწერლობო ქართულში აღარ გამოიყენებოდა -ა და, როგორც ჩანს, ავტორი ანგარიშს უწევს ამ ფაქტს. მესამე ობიექტურ პირთანაც ა-ის არგამოყენების შემთხვევებიც შესაძლოა სწორედ ამ ფაქტით იყოს განპირობებული. ეს ეხება როგორც პირდაპირ ობიექტს, ასევე ირიბ ობიექტს; მაგალითად, პირდაპირი ობიექტის გამოიხატება -ჰ მაწარმოებლით: „**ჰნახამდი**“, „**ჰწერამს**“, „**გაჰბედავს**“, ირიბი ობიექტიც გადმოიცემა ზმნაში -ჰ პრეფიქსით ზოგჯერ მოსალოდნელი -ს-ს ნაცვლად: „**მიჰცეს**“. ამ ზმნებს ხელოვნური წარმოების ელფერი დაჰკრავს და ცხადად დასტურება, რომ ავტორი მიზანმიმართულად არიდებს თავს ა-ის გამოყენებას. კახურისთვის ბუნებრივია: „**ანახამდი**“, „**აწერამს**“, „**გაამბედამს**“, „**მიამცეს**“. მელანია რომ შეგნებულად თავს არიდებს ა-ს გამოყენებას, ამას უფრო ცხადყოფს ზმნათა ისეთი დაბოლოება, რომლებშიც უცილობლად უნდა იყოს ა, თუმცა მწერალს სრულ ი-ს ჩაანაცვლებს, მაგალითად: „ებეი!.. თუკი იგეთი კაცი მაინდომებს, როგორც ი ბლალაჩნია, რო შაგრთოის თავისი ქალი, აცა!“ აქ საინტერესოა ავტორის თავისებური მიდგომა პირის ნიშნის გამოყენებისას, მესამე სუბიექტური პირის ნიშანს -ა-ს -ის არაბუნებრივი მაწარმოებლით ცვლის. დიალექტის ნორმის მიხედვით, უნდა იყოს **შაგრთოა** და არა **შაგრთოის**. შესაძლოა აკუსტიკურად ამგვარი ხელოვნური დაბოლოება მან მიამსგავსა დიალექტურ ფორმას. არის

სხვა შემთხვევაც: „საიდანღა რა უნდა მოვიდეს, რო ყველას გასწვდებ?“

-ჰ პრეფიქსი მოსალოდნელი -ს-ს ნაცვლად დასტურდება მეორე სუბიექტურ პირშიც:

„- რა სიზმარი გინახამ, რო ემაგრე უარზე ჰდგებარ?“ ამგვარი წარმოება კახურისთვის უცხოა. დიალექტური ნორმის მიხედვით უნდა იყოს **ადგეხარ** ან **სდგეხარ**. სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ კახურში პირის ნიშანს -ჰს პრეფიქსები ერთდროულად გამოხატავდნენ. ამ შემთხვევაში შესაძლოა, რომ მრჩობლი ჰს-ს ნაცვლად ავტორმა მხოლოდ ჰ პრეფიქსით გადმოსცა პირი. ეს ეხება მესამე ობიექტურ პირსაც, მაგალითად:

„ხილს რო პირი ჰქონდეს, თავისთავს თითონ შეჰჰამს“ ;

არის შემთხვევები, როდესაც ერთსა და იმავე ზმნასთან -ს-ც და სტურდება და -ჰ მაწარმოებელიც, მაგალითად:

„მაშინვე სთქვა, მორიელის ნაკბენიაო“ ;

„-ეგე, შენი პირითვე ჰთქვი!“ ;

-ჰ პრეფიქსი ასევე შეგზვდა ერთპირიან ზმნებთანაც, მაგალითად:

„ნატრის თვალიც გაჰქრა“ ;

ესეც სასაუბრო მეტყველების ფაქტის ასახვა ჩანს.

ე თ ე რ შ ე ნ გ ე ლ ი ა

მეგრული მორლოთ „ბლომად, მსხვილად“ სიტყვის წარმომავლობისათვის

მეგრ. **მორლოთ** (მო-რღ-ო-თ) (ზმნზ.) „ბლომად, მსხვილად“. სტორს ირფელი მორლოთ გილაძედუ „მაგიდაზე ყველაფერი ბლომად იდო“ (ქაჯაია). ეს ფუძე გაორკეცებული ფორმითაც გვხვდება: **მორლო-მორლოთ** (მო-რღ-ო – მო-რღ-ო-თ) „ბლომ-ბლომად, მსხვილ-მსხვილად“. ოკკომალი მორლო-მორლოთ მეუღლედეს - „საჭმელი ბლომ-ბლომად მიჰქონდათ“; ხორცი ვადოწკაპულუა, მორლო-მო-

რლთ დოჭკირი! – „ხორცი არ დაქუცმაცო/დააქუცმაცო, მსხვილ-მსხვილად დაჭერი!“ (ქაჯაია).

მოცემული ფუძე სიმრავლეს აღნიშნავს. ამავე შინაარს შეიცავს: 1. **მორღას** (მო-რღ-ა-ს) (ზმნზ.): მორღას უღუდეს იფრელი „ხვავიანად, ბარაქიანად, ზლომად ჰქონდათ ყველაფერი; 2. **მორღო** (მო-რღ-ო) (ზედ.) „ბევრი“. ქვირი მორღო რე „ფქვილი ბევრია“. ეს ფორმები ლექსიკონებში ვერ დავადასტურეთ.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნულ ფუძეები – **მორღოთ** (მო-რღ-ოთ) ← ***მო-რღვ-ოთ, მორღო-მორღოთ** (მო-რღ-ო – მო-რღ-ოთ) ← ***მო-რღვ-ო – მო-რღვ-ოთ, მორღას** (მო-რღ-ას) ← ***მო-რღვ-ას, მორღო** (მო-რღ-ო) ← ***მო-რღვ-ო** დაკავშირებული იყოს ამ ზმნურ ძირთან: **რღ-** (**რღვ-აფ-ა || ღვ-აფ-ა**) || ← ***რღვ-** – 1. {გადა}ყრა, რღვევა, ნგრევა (ნაგებობისა); 2. თევზის მიერ ქვირითის {და}ყრა (ქაჯაია); **რღვაფა** (**რღვ-აფ-ა**) ყრა, ცვენა, მისევა; კარგვა, ფანტვა (ქობალია).

როგორც **რღ-** (**რღვ-აფ-ა || ღვ-აფ-ა**) სიტყვათა განმარტებიდან ჩანს, ეს ფუძე სიმრავლის, მრავალ ნაწილად დაშლის შინაარსს შეიცავს, ეს გვამღვეს აღნიშნული ვარაუდის გამოთქმის შესაძლებლობას.

სამეცნიერო ლიტერატურის მიხედვით: მეგრ. **რღვ-** || **ღვ-** (ვ-ორღვ-ან-ქ „ვშლი, ვყრი“; **რღვ-აფ-ა || ღვ-აფ-ა** „ყრა, ჩაცვენა“; **რღვ-აფ-ილ-ი** „გადაგდებულო“, **ო-რღვ-აფ-ალ-ი** „ჩასაყრელი“ და სხვ. დაკავშირებულია: ქართ. **რღუ-** || **რღ...** (და-**რღუ-ევ-ა**; მ-**რღუ-ი-ე**, რღუ-ნ-ა...); სვან. **რედ...** || **რიდ...** || **რღ...** (**რ'ღ...**-ე „ვარღვევ“, **რიდ...**-ე „არღვევს“, **რედ...**-ნ-ი „ირღვევა“; ლი-**რღ...**-ე „დარღვევა“; მე-**რედ...**-ე „დარღვეული, დაშლილი“...) (ვ. თოფურია). საერთოქართველურ ფუძედ აღდგენილია ***რედ...** || **რღ...** (გ. კლიმოვი).

ამ რიგში შეიძლება განვიხილოთ ლაზ. **ობღაფუ** (ო-ბღ-აფ-უ) || **ობღუ** (ო-ბღ-უ) „ყრა“.

სიმრავლის აღმნიშვნელი **რღ-** ძირის შემცველი უნდა იყოს მეგრ. **მორღაფი** (მო-რღ-აფ-ი) ***მო-რღვ-აფ-ი** „უხვსიტყვაობა, ლაყბობა“ (უმორღუან-ს „ლაყბობს, პირფერობს) (ა. ქობალია).

იზა ჩანტლაძე (თბილისი), ნანა ოდიშელიძე (იენა)

დაგვიანებული გამოხმაურება გერჰარდ დეეტერსის ერთ-ერთ თვალსაზრისთან დაკავშირებით ქართველური ზმნის შესახებ

თითქმის საუკუნის წინ წერდა არნოლდ ჩიქობავა: „ქართული ზმნის ხლართში მეცნიერული ანალიზის შუქმა ჯერაც ვერ შეატანა და, ალბათ, საკმაოდ დრო გავლის, სანამ მისი უჩინარი მექანიზმის პირველადი ბერკეტები გაშიშვლდებოდეს“ (ჟურნალი „ახალ სკოლისაკენ“, ტფილისი, 1929). იმავდროულად დაიბეჭდა გერჰარდ დეეტერსის მონოგრაფია: „Das kharthwelische Verbum“ (Leipzig, 1930), რომელშიც დასმული **(გადაწყვეტილი თუ გადასაწყვეტი) არაერთი პრობლემის თაობაზე დღესაც მსჯელობენ ქართველოლოგები როგორც ჩვენში, ისე უცხოეთში**; ამ ფონზე ძალზე დასანანია, რომ იმავე საკითხების კვლევისადმი მიძღვნილ ვარლამ თოფურის „სვანურ ზმნაში“ (ტფილისი, 1931) – ქართველოლოგთა სამაგიდო წიგნში არაფერია ნათქვამი ჩვენი შესანიშნავი გერმანელი კოლეგის ერთ-ერთი საუკეთესო ნაშრომის შესახებ. იგივე ვითარებაა „Das kharthwelische Verbum“-შიც (რაგინდ გასაოცარიც უნდა იყოს ეს ფაქტი!) – არსადაა ნახსენები „სვანური ზმნა“; ვფიქრობთ, ამგვარი უნებლიე უხერხულობა უნდა აიხსნას იმით, რომ ორივე მონოგრაფიის შექმნაზე მათი ავტორები ერთდროულად მუშაობდნენ.

ამჯერად ჩვენ შევეხებით მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხს – ქართველურ ზმნათა სპეციფიკური კატეგორიის – ქცევის გამომხატველ პრეფიქსთა რაობასა და წარმომავლობას. სხვადასხვა ეროვნების მეცნიერთა იმდენი მონოგრაფია თუ ცალკეული გამოკვლევა არსებობს ამასთან დაკავშირებით, რომ თითქოს ვერც ვერაფერს ვიტყვიტ ახალს, მაგრამ – არა!, გ. დეეტერსის საანალიზო წიგნში წარმოდგენილი ერთ-ერთი თვალსაზრისი, ვფიქრობთ, განხილვას საჭიროებს:

როგორც ცნობილია, ქართულსა და მეგრულ-ლაზურ ენებში საობიექტო ქცევას აწარმოებენ **ი-** (I-II პ.) და **უ-** (III პ.) პრეფიქსები, ხოლო **სვანურში უმნიშვნელო სხვაობას** (ვ. თოფურია, გ. მაჭავარია-

ნი, რ. ასათიანი) **ქმნის ო- პრეფიქსი**, რომელიც, ჩვეულებრივ, III პირის ფორმებთან გამოიყენება.

სპეციალურ ლიტერატურაში (ვ. თოფურია – 1947, ი. ქავთარაძე – 1954, ჰ. ფოგტი – 1971) **უ-** მაქცევრის გვიანდელი წარმომავლობის საკითხიცაა დასმული, რაკილა, ზოგი თვალსაზრისის მიხედვით, **ა-, ო-, ე-** პრეფიქსებთან შედარებით მისი გამოყენება გარკვეულწილად შეზღუდულია ქართველურ ენებში. მართალია, დღეს სვანურ სტატიკურ ზმნაში **უ-** ყველა პირში გვხვდება (**მ-უ-ღუ-ა/ე** „მაქვს“, **ჯ-უ-ღუ-ა/ე** „გაქვს“, **ხ-უ-ღუ-ა/ე** „აქვს“, შდრ. მეგრ.-ლაზ. **მ-ი-ღუ^ნ**, **გ-ი-ღუ^ნ**, **უ-ღუ^ნ**) და მას საობიექტო ქცევის გაგება არა აქვს, მაგრამ გ. დეეტერსი პარალელს ავლებს ლაშხურ პრევერბიან ფორმასთან **ოხღუა** („მოაქვს“), რომელიც მას მიაჩნია სავარაუდო ***ან-ხოღუა** სგან მომდინარედ¹. რამდენადმე განსხვავებული ვითარებაა ვ. თოფურიას „სვანურ ზმნაში“ (გვ. 251): „აწმყოს ჯგუფში **ხუღუა/ე**“სა („აქვს“) და სხვა ფორმებში მაქცევარი არა ჩანს – ლაშხურში იგი სასხვისო ქცევადაა გაგებული: **ოს-ღუა**, **ო-ხ-ღუა** (<***ან-ხო-უღუ-ა?**, შდრ. **ო-ხ-ყა**)².

სვანური ენის სხვა დიალექტებთან შედარებით ლენტეხური „ზმნების I პირში აშკარაა **ო > უ** ფონეტიკური პროცესი: **ხუშხი** < ***ხუ-ო-შხ-ი** „ვუწვავ“, შდრ. ზსვ./ლშხ. **ხ-ო-შხ-ი**, **ხუსკდი**, <***ხუ-ო-სკდ-ი** „ვუყურებ“, შდრ. ზსვ./ლშხ. **ხ-ო-სკდ-ი**,... თუმცა შევნიშნავთ, რომ ამოსავლად **-უ-** ხმოვანს ვივარაუდებთ თუ **-ო-**ს, შედეგად მაინც **-უ-** (<**უ+უ?**) მაქცევარი გვექნებოდა, მაგრამ დასაშვებია საანალიზო ენის რომელიმე დიალექტში **-ტუ-** ფონემათმომდევრობა?! სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ სვანურში ყველაზე უკეთ ფონეტიკა-ფონოლოგიის საკითხებია შესწავლილი (მარტო პალატალური თუ

¹ გულდასაწყვეტია, რომ გ. დეეტერსის მონოგრაფიაში წარმოდგენილი ანალიზი, ძირითადად, ლაშხურ მასალებს ემყარება, თორემ მას რომ ლენტეხური **ა-ხ-ო-ღუ-ა** გამოიყენებინა, ცხადია, ე. წ. ვარსკვლავიანი ფორმის აღდგენა აღარ დასჭირდებოდა.

² **ო > უ** ფონეტიკური პროცესი მსოფლიოს არაერთ ენაში გვხვდება – ამ მხრივ არც სვანურია გამონაკლისი, ოღონდ ამოსავალი (**ხ-უ-ღუ-ა/ე**) ფორმის თავდაპირველი სახის აღდგენა მისგან მომდინარე პრევერბიანი (თანაც ენაში არარსებული სავარაუდო) ვარიანტით, ვფიქრობთ, გაუმართლებელია; ალბათ, ამიტომაც კითხვის ნიშნით წარმოდგენილი ვ. თოფურიას „სვანურ ზმნაში“ **ო-ხ-ღუა** < ***ან-ხო-უღუ-ა?**

ველარული უმლაუტისა და ხმოვანთა თავდაპირველი თუ კომპენსატორული სიგრძისადმი მიძღვნილი ფუნდამენტური შრომები რად ღირს!), მაინც ძალიან მოვიკოჭლებთ ფონემათმიმდევრობისა და მორფემათა რანგის შესაძლო თუ შეუძლებელ პოზიციათა კვლევის თვალსაზრისით.

სპეციალურ ლიტერატურაში ქართველურ **ჟ-ო-** მაქცევართა გენეზისთან დაკავშირებით არაერთი მოსაზრება არსებობს:

1. **ჟ-** პარალელური ვარიანტია **ო-** პრეფიქსისა; **ჰუგო შუხარდტი**, 1895: 15);

2. რატომ იცვლება მახასიათებელი (**CV**) **ო-** ხმოვანი **ჟ-** ხმოვნით, **გერჰარდ დეეტერსი**, 1930: 87);

3. **ჟ-** პრეფიქსი თავდაპირველად არ უნდა ყოფილიყო ქცევის გამომხატველი – ეს ფუნქცია მას თანდათანობით შეუძენია (**გიორგი როგავა**, 1942: 207-211);

4. ალბათ, **ჟ-** პრეფიქსი სამივე პირის ფორმაში გვხვდებოდა (შდრ. სვანური **მ-ჟ-ღჟ-ა, ჯ-ჟ-ღჟ-ა, ხ-ჟ-ღჟ-ა**), მერე კი თანდათანობით მოხდა **ჟ > ო** პროცესი დანარჩენ პირებში (**ივანე ქავთარაძე**, 1954: 287-296);

5. **ჟ-** და **ო-** მორფოლოგიურად მონაცვლე პრეფიქსებია (**ქეთევან ლომთათიძე**, 1957: 317);

6. ზმნათა პრეფიქსული ხმოვნების (**ა-, ე-, ო-, ჟ-**) პირვანდელი ფუნქცია სამებარია (**არნოლდ ჩიქობავა**, 1959: 167);

7. სათავისო და სასხვისო ქცევისათვის დასაშვებია ერთი ამოსავალი სტრუქტურა (**ვინფრიდ ბოედერი**, 1968: 151);

8. **ჟ-** ფონეტიკურად შეპირობებული ვარიანტია **ო-** მაქცევრისა (**ჰანს ფოგტი**, 1974: 110);

9. სიღრმისეულ დონეზე არ გვექონდა განსხვავება სათავისო და სასხვისო ქცევის ფორმებს შორის, შემდეგ კი **/ო/ > /ჟ/** აბლაუტი გამოწვეულ იქნა ამ მონაცემთა მორფოლოგიური ომონიმიის თავიდან ასაცილებლად (**გივი ნებიერიძე**, 1976: 133-194);

10. **ჟ- < ჰ- + ო-** მორფოლოგიური პროცესია (**ალისა ჰარიონი**, 1981: 90);

11. კუთვნილებითი ურთიერთობის გამოხატვის ფუნქცია **ჟ-** პრეფიქსისათვის არც ამოსავალია და არც ძირითადი (ზოგიერთ ფორმაში ის თავისუფლად ენაცვლება სხვა პრეფიქსებს) – მისთვის მთავარია კონსტრუქციაში ირიბი ობიექტის პოვნოიერებაზე მითითე-

ბა (ბესარიონ ჯორბენაძე, 1983: 173-175);

12. ქართველურ ენათა უ-, თ- მაქცევრები მომდინარეობენ ი-მაქცევრისგან ობიექტის (ბ-/ჰ-) პრეფიქსებთან მეზობლობით წარმოქმნილი გარკვეული მორფოლოგიური პროცესების საფუძველზე (მაია მაჭავარიანი, 1987: 16-17);

13. მაქცევართა ფუნქციები ერთმანეთისაგან მკვეთრად გამოიხსნის არ უნდა ყოფილიყო საერთოქართველურ ენაში (გივი მაჭავარიანი, 2002: 98).

როგორც ვხედავთ, სპეციალისტთა უმრავლესობა საობიექტო ვერსიის აღმნიშვნელ ქართულ-ზანურ უ- პრეფიქსს მეორეულ მოვლენად მიიჩნევს, რომელსაც სვანურ ენაში თ- შეესატყვისება, სადაც, გერჰარდ დეეტერსის აზრით, რედუქციის საფუძველზე ისიც შეიძლება იქცეს უ- ხმოვნად. მაშინ წინარექართველურის ვითარება როგორ უნდა წარმოვიდგინოთ?!

გივი მაჭავარიანი, გერმანელი კოლეგის მოსაზრების განხილვის შემდეგ, კატეგორიულად აცხადებს თავის საკანდიდატო დისერტაციაში: „ეჭვი არაა, სვანური -ო- უ-სგან არის მიღებული“ (1953: 94), მაგრამ ეს რომ არ უთქვამს გ. დეეტერსს?! „Das kharthwelische Verbum“-ში საპირისპირო პროცესზეა მსჯელობა: „xuywa-er hat ist nicht als xaywa = *x-ywa zu deuten, sondern ist aus *xoywa reduziert“ (გვ. 81). როგორ?! – წინარექართველური უ- სვანურში თ- ხმოვნად იქცა იმიტომ, რომ ამავე ენაში ისევ უ-დ ქვეულისყოფა?! გ. დეეტერსის ამ ერთადერთ მაგალითს გ. მაჭავარიანი უმატებს სამ მონაცემს (ბ-უ-რდ-ა-ბ „ჰყავდათ“, ბ-უ-ცხ-ა „ურჩევნია“, ბ-უ-ძგარ-ბ „ემბერნენ“) აკაკი შანიძის მიერ 1921 წელს ბალს ზემოთ (სოფელ ლახირიში) ჩაწერილი ტექსტებიდან, რომელთაც იმავე დიალექტის წარმომადგენელი (ლახირიდან ერთ კილომეტრში – სოფელ ჭოლაში მცხოვრები მერი გუჯეჯიანი) სისტემატურად ასწორებდა თ- ხმოვნით. ამ ტექსტებში ანალოგიური მაგალითები კიდევ გვაქვს: ბ-უ-რი „ჰყავს“ (სვან. პროზ. ტ., 1939: 256. 21), ბ-უ-ფან-ე-ბ „საკურთხს უდგამენ“ (იქვე, 1225), ბ-უ-ჩდ-ა „ყოფილა“ (იქვე, 2579), ბ-უ-წუ-ა-ბ „უნახავთ“ (იქვე, 25714). საგულისხმოა, რომ ერთი და იმავე ზღაპრის მოყოლისას ერთი და იგივე მთქმელი ხან ბ-ო-რ-დ-ა-ბ („ჰყავდათ“ – 25627) ფორმას (საყოველთაოდ გავრცელებულს!) ხმარობს და ხანაც – ბ-უ-რ-დ-ა-ს („ჰყავდა“, 25633), მხოლოდ ალაგ-ალაგ შემორჩენილს, დიახ, შემორჩენილს – ალბათ,

საერთოქართველური ფუძეენიდან მომდინარე მაქცევრის ამსახველს, რაც სრულიადაც არ არის გასაკვირი არქაული გრამატიკული სტრუქტურით გამორჩეული ენისთვის.

მაშასადამე, საობიექტო ვერსიის სემანტიკის შემცველი უპრეფიქსი, აქა-იქ რომ გვხვდება 1939 წელს გამოცემულ ძველისძველ პროზაულ ტექსტებში, სვანური ენის განვითარების არქაული საფეხურის მაჩვენებელი ჩანს და არა რედუქციის ან სხვა რომელიმე მორფონოლოგიური პროცესის მოქმედების შედეგი. სრულიად ვეთანხმებით გივი მაჭავარიანს: „**მაქცევრების ერთნაირობა სამივე ქართველურ ენაში იმაზე მიუთითებს, რომ ეს მაწარმოებლები საერთოქართველურიდან მომდინარეობენ** (2002: 99). საჭიროა კვლევა-ძიება გაგრძელდეს ამ მიმართულებით როგორც ძველი სვანური ხალხური პოეზიის, ისე ანდაზების ენის მიხედვით; საგანგებოდ უნდა შევისწავლოთ ყველა დიალექტის მასალა, განსაკუთრებით კი ტრადიციული იდიომატური გამონათქვამები.

მ ა ნ ა ნ ა ჩ ა ჩ ა ნ ი ძ ე

შოთა ნიშნიანიძის უცნობი ბელეტრისტული პოემა „თაგვის წელიწადი“ – მისტიკურ-რეალური რეფლექსიის ლინგვისტური გაცხადება

შოთა ნიშნიანიძის შემოქმედებაში სრულიად განსაკუთრებული ადგილი უკავია ვერლიბრით შექმნილ ბელეტრისტულ პოემებს. ეს პოემები გასული საუკუნის 90-იან წლებში შეიქმნა და ფართო საზოგადოებისათვის ცნობილი და ხელმისაწვდომი დიდი შემოქმედის ეს ძვირფასი ქმნილებები მხოლოდ ახლახან – 2019 წელს – პოეტის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებულით გახდა (შოთა ნიშნიანიძე – 90 საიუბილეო კრებული. თბ., 2019. გამომცემლობა „მერანი“. პროექტის ავტორი და რედაქტორი მაცყვალა გონაშვილი. შემდგენლები: ბალათერ არაბული, ნათია ნიშნიანიძე).

საიუბილეო კრებულში დაბეჭდილია შოთა ნიშნიანიძის 13 უცნობი ბელეტრისტული პოემა:

I. აქა ამბავი აპოლონის ჩანგისა და სხვათა მრავალთა / ანტი-კური პროლოგი

II. ქვეშევრდომები

III. მუსიკის აპოლოგია

IV. ყვავები

V. ტიციანის პალტო

VI. კაფე „ოლიმპიური თავლა“

VII. წითელი და იისფერი

VIII. ფიჭვის გირჩები

IX. ვირის აპოლოგია

X. პროვოკატორი თხა

XI. კეისარო, გახსოვდეს!

XII. თავვის წელიწადი

XIII. „ინდოეთის აკლდამა“

ამ პოემათა ინტელექტუალური და ლინგვისტური სამყარო, შემოქმედებითი ფსიქოლოგიისა და ესთეტიკის საკითხები, მისტიკურ-რეალური ნაკადები, პოეტური ლექსიკოლოგია და ლექსიკოგრაფიული პორტრეტები, მეტალინგვისტური რეფლექსიის ბრწყინვალე ნიმუშები, „მეტაფორის ალქიმია“ და მრავალი სხვა მკვლევართა სერიოზულ ყურადღებას საჭიროებს და კვლევა-ძიების ახალ გზებს სახავს. დიდი შემოქმედის 13 ბელეტრისტულ პოემაში დავანებული მხატვრული სამყარო, ცხადია, პოეტური ენითა და ლინგვისტური ძიებებითაც იქცევეს ყურადღებას. ზოგი თავისებურების შესახებ ჩვენი რამდენიმე დაკვირვება გამოვაქვეყნეთ კიდეც (იხ. მაგ.: XL რესპუბლიკური დიალექტოლოგიური სესიის მასალები, თბ., 2020; არნ. ჩიქობავას საკითხავები, XXXI, თბ., 2020; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტი, სამეცნიერო კონფერენცია „ენა და კულტურა“, თბ., 2020).

ამჯერად წინამდებარე მოხსენებაში ჩვენი მსჯელობის საგანია პოემა „თავვის წელიწადი“. მასზე ყურადღება საგანგებოდ შევაჩერეთ, რადგან ვფიქრობთ, პოემა „თავვის წელიწადი“ დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარე საზოგადოებრივ პროცესებს საოცარი სიმძაფრითა და სიზუსტით ეხმიანება და იმ ურყევ კანონზომიერებასაც კარგად შეგვახსენებს, რომ კლასიკური ლიტერატურა მარადიული

თანამედროვეა. ვერლიბრით შექმნილ დღემდე უცნობ ამ პოემის ტექსტში ყოველგვარი პოეტური და ლინგვისტური ინვენტარი (მაგ., დიალოგები, შედარებები, მეტაფორები, დიალექტიზმები, კომპოზიტები, სინონიმები, ხმაბაძვითი სიტყვები და ა. შ.) ემსახურება ყველაზე მნიშვნელოვანის – ადამიანის ცნობიერების მისტიკურ-რეალურ ნაკადზე პოეტის დაკვირვების წარმოდგენას. არსი ამ დაკვირვებისა არის **შიშის ფენომენი**, რომლის გამოსახვასაც ემსახურება პოემის ძირითადი მეტაფორა **თაგვი** და თაგვთან დაკავშირებული ყველაფერი – კონკრეტული და აბსტრაქტული: ხაფანგი, კატა, ინფექცია, კატათაგვობანა; სიხარბე, მომხვეჭელობა, ცბიერება, პარაზიტობა და სხვ. ერთი ადამიანის ცხოვრების კონკრეტულ მაგალითზე ნაჩვენებია „თაგვის წელიწადის მაგნეტიზმით დამუხტული დედამიწის“ მისტიკურ-რეალური სურათი:

„დედამიწა ერთი უზარმაზარი სათაგურია,
პარალელებისა და განედების ბადით მოწნული.
შიგ ადამიანები თაგვებივით დაფხაკურობენ.
მათ შიათ ძალაუფლება,
შიათ სახელ-დიდება,
შიათ სიმდიდრე –
ერთმანეთს ჭამენ და ბოლოს ერთი მუჭა მიწით ძღვებიან.
ამ უზარმაზარ სათაგურში, ჩემო ძვირფასო,
არის სამყაროს დიდი კატაც – სიკვდილი! ანუ დრო!
კატასავით შემპარავი და ჩუმად მოცუნცულე...
არსებობაც კატა-თაგვობანას თამაშია...
მსხვერპლისა და ჯალათის ტრაგიკომედიაა“

(საიუბილეო კრებული, გვ. 179).

პოეტი რთული ფსიქოლოგიური ძიებებითა და წიაღსვლებით, პარალელებით სულიერ არსებათა შინაგანი ბუნების შტრიხებისა („ბოლოს და ბოლოს ბედ-იღბალი ერთმანეთს გვიგავს“, გვ. 171), შედარება-დაპირისპირებებით გადმოგვეცემს, თუ როგორ „გაითამაშა თავისი მისტიკური მიზანსცენა თაგვმა თაგვის წელიწადში“ (გვ. 173). ნაწარმოების ამ მისტიკური პლანის მიღმა რეალური ნაკადი პოემისა არის მეორე მსოფლიო ომის დროინდელ თბილისში მცხოვრები ერთი უბრალო ქალაქელი კაცის – მთაწმინდელი ცალ-

ყურა სპარტაკას – პიროვნული ტრაგედია. იგი – ხაფანგების ოსტატი, ბოლოს თვითონაც ხაფანგში გაება.

პოემაში შიშის ფენომენის აღწერისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მეტაფორაა **ჩიბუხი – ძალაუფლების სიმბოლო** („კვამლის ქულები დამფრთხალი წრუწუნებივით გამორბოდნენ ჩიბუხიდან“, გვ. 177). მისტიკურ-რეალური ნაკადების გადაკვეთის გზაზე „რელიგიური შიში ყველაზე ძლიერი შიშია“ (გვ. 171). შიშზეა დაფუძნებული ალკოჰოლის იმპერია, ჰალუცინაციებითა და სიზმრებით, სადაც

„ყველა მსმელი მეტ-ნაკლებად ტირანია
აბეზრობით და ფერებით ან სხვა უცნაური საქციელით.
საერთოდ, მთვრალი კაცი ცუდი მსახიობია,
რაკილა ალკოჰოლის – ამ ჭირვეული რეჟისორის – ბრმა
ტყვეობაშია.

კაცის ავ-კარგი სიმთვრალეში მჟღავნდება.
ღვინო მზის ენერგიითა და მიწის მარილით შეზავებული
სიცოცხლის ელექსირია.

ღვინის წყალობით ადამიანის ცნობიერება
ბუნებისეული ძალებით ივსება და მდიდრდება:
მორცხვი – თამამი ხდება,
ძუნწი – გულუხვი,
ავი – კეთილი,
მხდალი – მამაცი.

იქნებ სასმელი გენეტიკურ კოდს აღვიძებს?
სიმთვრალეში ზოგიერთები ტირიან (წუთისოფლის
სტუმრის ფსიქოლოგია!)
ქართველები – მღერიან (მარადისობის მკვიდრის
ფსიქოლოგია!)“ (გვ. 164).

დასასრულ აღვნიშნავთ, რომ დიდი პოეტის ეს უცნაური პოემა „თავის წელიწადი“ მრავალ მეცნიერულ და არამეცნიერულ (ზოგადადამიანურ) საფიქრალს აჩენს.

მერაბ ჩუხუა

კასიტური ენის ადგილისათვის იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახში

როგორც ბოლო პერიოდის სანდო კვლევები აჩვენებს [Arnaud Fournet, *The Kassite Language In a Comparative Perspective with Hurrian and Urartean*], კასიტური ენა გენეტიკურად უკავშირდება ჰური-ტულ-ურარტულს, თანაც, როგორც გენეტიკურად ახლომონათესავე ენის სტატუსით. როგორც მიუთითებენ, კასიტური იდიომი უფრო არქაული მახასიათებლებით გამოირჩევა, რასაც ჩვენც ვიზიარებთ, მაგრამ აქვე საყურადღებოდ გვეჩვენება იზოგლოსები, რომელიც ქართველური ენებიდან მხოლოდ სვანურშია დამოწმებული და აშკარად იმავე წრისაა, რასაც კასიტურ-ჰურიტულ-ურარტული ძირ-ფუძეები აჩვენებენ, შდრ.:

კასიტ. *[**burna**] ‘protégé, servant’, ასევე ჩაიწერება როგორც Bu-na- and Burra – ჰურიტ. **burami** ‘servant’ – სვან. **pamli** ‘მსახური, შინაყმა’

კასიტ. **marhu** “თავი” – ჰურიტ. **pahi** “თავი” – სვან. **ფხვნ**-/ნე-**ფხვნ**-ა “ცხვირი”...

ჩვენი თვალსაზრისით, ასეთ დამთხვევები არ შეიძლება განვიხილოთ როგორც შეუვალი მამტკიცებელი ღირებულების არგუმენტი, ვინაიდან სავარაუდოა, ისეთსავე შემთხვევით ხასიათს ატარებდეს როგორსაც ვხედავთ ქართველურ-ელამიტური ლექსიკური შეხვედრების დროს, შდრ. ქართ. **მეფე/ნეფე** (mepē/nepe), ზან. **მაფა/ნაფა** (mapa/napa), სვან. **ნეფ** (nep) “მეფე” – ელამიტური **nap** – “god” – **nap-ip** “gods”; თუმცა უკანასკნელში ლექსიკურ შეხვედრებთან ერთად ღირებულება გრამატიკული ინვენტარის იდენტურობაც, შდრ. ს.-ქართვ. **-ებ** (-eb)– ელამ. **-ip** „მრავლ. სუფ.“ და ა. შ.

როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ ვიზიარებთ Thomas Schneider [Kassitisch und Hurro-Urartäisch. Ein Diskussionsbeitrag zu möglichen lexikalischen Isoglossen, in: *Altorientalische Forschungen* 30(2003), 372-381] და Arnaud Fournet-ის ბოლო ჟამს გამოთქმულ თვალსაზრისს ჰურიტულ-კასიტური ენების ნათესაობის შესახებ, მაგრამ ამავდროულად მას ვთვლით დადესტნური ჯგუფის ენად, ისევე, როგორც

ჰურიტულ-ურარტული ენები შემოგვაქვს, ი. დიაკონოვის კვალდაკვალ, ნახურ ენათა ჯგუფში. ტერიტორიულადაც კასიტური ენის გავრცელების არეალი უფრო დაღესტურისკენ იხრება, ანუ გავრცელებული იყო უფრო სამხრეთით დაღესტნიდან თანამედროვე ირანში, ზაგროსის მთებში (მთიანეთში).

ჩვენი დებულების საილუსტრაციოდ დაღესტურ-კასიტური იზოგლოსებიდან მოვიხმობთ რამდენიმეს:

(1) კასიტ. miriy-ash “land” (-ash სუფიქსია, შდრ. and-ash – Hurit. end-an “prince”) : ჰუნზ. მარ-უ (mar-u) „სადოვარი“, რუთ. მგრ-ი „ველი“

(2) კასიტ. yashe “ადგილი, მიწა” : ლაკ. არში, ანდ. ონში, ჭამალ. უნსაი “მიწა”...

(3) კასიტ. yanzi “მეფე” : ბაგვ., ბოთლ. ანს//ანსე, ხვარშ. ასე „ექიმი“...

კასიტური ლექსიკური ნიმუშების სიმცირიდან გამომდინარე, ჩამოთვლილი ენობრივი შეხვედრები საკმაოდ დამაჯერებელი ჩანს.

ნინო ციხიშვილი

კიდევ ერთხელ ტმესის შესახებ ქართულში

სიტყვა „ტმესი“ ბერძნულიდან მომდინარეობს (τμήσις) და „დაჭრას“, „დაყოფას“ ნიშნავს. გრამატიკულ ლიტერატურაში იმ მოვლენის აღსანიშნად დამკვიდრდა, როცა ერთი რთული (ან შედგენილი) სიტყვა სხვა სიტყვის ან სიტყვათა ჯგუფის მიერ ნაწილებად იყოფა, ნაწევრდება. ასე განიმარტება იგი სხვადასხვა ლინგვისტურ ლექსიკონში.

ჩვეულებრივ, დანაწევრებული სიტყვა არის ზმნა. გამყოფ ელემენტებად (ენკლიტიკებად) უფრო ხშირად გვევლინებიან ნაცვალსახელები, კავშირები, ზმნიზედები, სხვადასხვა მოდალობის გამომხატველი ნაწილაკები და ზოგჯერ წინადადების სხვა წევრებიც.

ტმესი, როგორც გრამატიკული მოვლენა, დასტურდება ერთმანეთისაგან სრულიად გასხვავებულ ენობრივ ოჯახებში. ტმესი ახასიათებს ზოგ ინდოევროპულ ენას, მაგალითად, ბერძნულს, ლათინურს, გერმანულს, ძველირლანდიურს, ვედურს, ხეთურს, კელტურს. ტმესი გვხვდება ასევე იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ორ ჯგუფში, კერძოდ, ქართველურსა და აფხაზურ-ადიღურში. ქართველურ ენათაგან ეს მოვლენა ახასიათებდა ძველ ქართულს (ნაწილობრივ საშუალ ქართულსაც). ტმესი აღარ არის თანამედროვე ქართულში, თუმცა იგი ცოცხალია სვანურში. ქართულის ენობრივ მასალაში ტმესიანი ფორმების უმეტესი ნაწილი ნათარგმნ ძეგლებშია.

ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში ტმესის შესახებ რამდენიმე გამოკვლევა არსებობს (პ.იოსელიანი, ნ. მარი, ა. შანიძე, ა. ჭინჭარაული, გ. კარტოზია, თ. ცქიტიშვილი). გერმანელი მკვლევარი კ. შმიდტი შეეცადა, მოეძებნა ტმესთან დაკავშირებული მსგავსებები და განსხვავებები ქართველურსა და ინდოევროპულ ენებში.

რა ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს ორ სრულიად სხვა-სხვა ენობრივ ოჯახში ერთდროულად დადასტურებულ ერთსა და იმავე ენობრივ ფენომენს შორის? ერთი მხრივ, აშკარაა ქართველური ტმესის სიძველე და, მეორე მხრივ, უძველეს ქართულში მოქმედი სიტყვათგანლაგების კანონი, რომელიც იქ წინადადების წევრთა ურთირთიმიმართებას არეგულირებდა, არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ინდოევროპული ენებისათვის ფორმულირებულ ე. წ. ვაკერნაგელის კანონს.

ნ ი ნ ე ლ ი ჭ ო ხ ო ნ ე ლ ი ძ ე

დაბოლოებით განსხვავებული ზოგი ომონიმის ისტორია

ქართულში დასტურდება ომონიმები, რომელთა ცალები ფუძით ფონეტიკურად ერთნაირი, მხოლოდ ი და ა დაბოლოებით განსხვავებული სახელებია. მაგ.

გოჯ-ი:

I. გოჯი „თითის ნახევარი“– საბა. **II. გოჯი** ცუდი, უშვერი, ავი. **III. გოჯი** მარადმწვანე ბუჩქი.

გოჯა:

I. გოჯა იგივეა, რაც გოჯი. **II. გოჯა** ბალახი. **III. გოჯა** თევზია, ზუთხა ღორი. **IV. გოჯა** გოზა. **IV. გოჯა** ქოთანი – საბა.

ბერი-ი:

I. ბერი მოხუცებული; მონაზონი კაცი. **II. ბერი** გამოსხივების ეკვივალენტური დოზა. **III. ბერი** (ჭან.) ცხვრის საწველელი (არნ. ჩიქ.).

ბერა:

I ბერა კნინ. ბერი. **II. ბერა:** ◊ **ბერა** თითი ცერი. **III. ბერა** ბაკიდან ვიწრო გასასვლელი. **IV. ბერა** ზვინზე ზემოდან გარდიგარდმო დაწყობილი ძნები. **V. ბერა** ბავშვთა ზოგიერთ თამაშში – მონიშნული, ამორჩეული ადგილი .

არწივ-ი:

I. არწივი ყველაზე დიდი, ღონიერი, ნისკარტმოკაუჭებული მტაცებელი ფრინველი. **II. არწივი** ქართლური დარბაზის კოჭი. **III. არწივი** (ქიზ.) ავადმყოფობაა ერთგვარი.

არწივა:

I. არწივა საშუალო სიდიდის არწივი. **II. არწივა** ბალახი.

მოხსენებაში წარმოდგენილი იქნება ზემოდასახელებული სიტყვების ისტორია და სამეცნიერო ლიტერატურაში მათ შესახებ არსებული თვალსაზრისები.

ნ ი ნ ო ქ უ მ ბ უ რ ი ძ ე , მ ა ი ა ლ ო მ ი ა , ქ ე თ ე ვ ა ნ მ ა რ გ ი ა ნ ი

უარყოფითი ნაწილაკების ექსპრესიული ფუნქციით გამოყენების შემთხვევები ქართველურ ენებში

ქართველურ ენებში ზმნით გამოხატული მოქმედების შესრულების უარყოფა ხდება უკუთქმითი (უარყოფითი) ნაწილაკების საშუალებით, რაც ამ ნაწილაკების ძირითადი ფუნქციაა. როგორც ცნობილია, მოქმედების შესრულება ან მისი უარყოფა სხვადასხვა მოდალობით გამოიხატება. მთქმელის დამოკიდებულება ნათქვამის შინა-

არსისადმი მრავალ ნიუანსს მოიცავს: აღტაცებას, განცვიფრებას, აღშფოთებას, დამუქრებას, მტკიცება-დადასტურებას და სხვ.

მოხსენებაში განხილულია სხვადასხვა შემთხვევა, რომლებშიც უარყოფითი ნაწილაკი არა თავისი ძირითადი, არამედ ალტერნატიული ფუნქციით გამოიყენება, კერძოდ, ექსპრესიულობის გამოსახატავად.

უარყოფითი ნაწილაკის ალტერნატიული, დამატებითი ფუნქციით გამოყენების საფუძველს სხვადასხვა შემთხვევაში ქმნის: ამ ნაწილაკის პოზიცია, სხვა ნაწილაკთან დაწყვილება, ინტონაცია და სხვ.

ნ ა ნ ა ხ ო ჭ ო ლ ა ვ ა - მ ა ჭ ა ვ ა რ ი ა ნ ი, დ ა ვ ი თ ჭ ე ლ ი ძ ე

ხემცენარეთა გვარ *Celtis L.*-ის ქართული სამეცნიერო სახელების დაზუსტების აუცილებლობა

მცენარეთა ქართული სამეცნიერო სახელები ძირითადად ალექსანდრე მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონს“ (1949წ, 1961წ.) ემყარება, ამიტომ მათ მართებულობას, მკაფიოობას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. მასალაზე მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ აუცილებელია რიგ ქართულ სამეცნიერო სახელთა განახლება, თანამედროვე ლათინურ ნომენკლატურასთან მისადაგება, დაზუსტება.

საყოველთაოდ მიღებულია, რომ მცენარეთა კონკრეტულ სახეობებს, გვარებს საკუთარი სამეცნიერო სახელი (ე.წ. „პასპორტი“) უნდა მოეპოვებოდეს, ამიტომ აუცილებელია ამ სახელთა არა მხოლოდ სიზუსტე, არამედ მკაფიოობა და ერთადერთობა.

ამ მხრივ ალ. მაყაშვილის „ბოტანიკურ ლექსიკონში“ ყურადღებას იქცევს დენდრონიმ *Celtis*-ის სამეცნიერო სახელები: აკაკი და ბრინჯის ხე („აკაკი... საშუალო ტანის ხე, აქვს ნაცრისფერი გლუვი ქერქი, გატოტვილი ვარჯი, დაკბილული ფოთლები და წვრილი, კურკიანი მოტკბო ნაყოფი“- ქეგლ).

მიგვაჩნია, რომ ეს სამეცნიერო სახელები უნდა შეიცვალოს: აუცილებელი ცვლილებისათვის ვხედავთ შემდეგ მიზეზებს:

I. „აკაკი“. ა) „აკაკი“ არის აღნიშნული ხემცენარის ნაყოფის სახელი. საბა განმარტავს: „აკაკი - (ხე) ბრინჯის-ხის ხილი ZAC. (ხე) ხე, ბრინჯის ხილი B.“. აკაკი ბერძნული ნასესხობაა ქართულში, შდრ.: **ἀκάκος**, -ov - უბოროტო (გიორგობიანი, 2013); **ბ**) რ. ერისთავისა და დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონების მიხედვით, „აკაკი“ ორი სხვადასხვა მცენარის სახელია, ესენია: „**Каркас, Celtis caucasica Willd, Celtis australis L.**“ და „ბრინჯის ხე (груз.) хлебное дерево, Artocarpus incise L“ (რ.ე., დ.ჩ.). გაუგებრობას აძლიერებს ისიც, რომ ეს ლექსიკოგრაფები **ბრინჯის ხეს** მხოლოდ ამ სამხრეთ აღმოსავლეთ აზიის მცენარეს, **Artocarpus incise**-ს, უწოდებენ (რუსული სახელის კალკი); **გ**) დენდრონიმის გარდა ეს არის ადამიანის საკუთარი სახელიც, რაც ერთგვარ ბუნდოვანებას იწვევს (ირონიასაც კი);

ამგვარად, მეტი სიცხადისათვის უმჯობესია, სამეცნიერო სახელ აკაკის ნაცვლად გვქონდეს აკაკის ხე, რომელიც **Celtis**-ის სახელად დასტურდება ს.ს. ორბელიანის, ნ. ჩუბინაშვილის, დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებშიც;

II. „ბრინჯის ხე“. ბუნდოვანებას იწვევს ამ სახელის პირველი კომპონენტის ომონიმია ერთ-ერთი მარცვლოვანი მცენარის (**Oryza sativa**-ს) სამეცნიერო სახელთან (შდრ.: „**ბრინჯი** - (ბალ.) მარცვალი თეთრი ZA.“ (საბა); „**ბრინჯი** (ბრინჯისა) [*Oryza sativa*] პურეული მცენარე...“ (ქეგლ); „**ბრინჯი** Rus. рис, чалтык ; **Oryza sativa** L.; *ინგილ.* ჩალთუქი; *მეგრ.* ორზა; *ჭან.* ჩელთილ, ბრინჯი.“ (ალ.მ.).

ვფიქრობთ, ამას უნდა განაპირობებდეს ძველ ქართულ ენაში არსებული ის ომონიმია, რომელიც ასახულია „სიტყვის კონაში“ და, რომელსაც ახსნა სჭირდება, შდრ.: „**ბრინჯი** - 1. ბრინჯაო Z.;

2. (ბალ.) მარცვალი თეთრი ZA.; 3. (ხე) (+ ნინოს ცხ⁴. Z) აკაკის ხე ZE.“ (საბა). ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესო ისაა, რომ მეტალის სახელები: **ბრინჯაო** და **ბრინჯი**, სინონიმებია. თავად **ბრინჯაოს** განმარტება ლექსიკონში ასეა წარმოდგენილი: „**ბრინჯაო** (ბრინჯაო და ბრინჯი E) სპილენძსა და თუთია-აღრეულსა ბ რ ი ნ ჯ ა ო ეწოდების... ბრინჯი C...“ (საბა).

ჩვენი ახსნა ასეთია: **ბრინჯი** („მარცვლეული“) და **ბრინჯი/ბრინჯაო** („მეტალი“) სხვადასხვა წარმომავლობისა და დროის ნასესხობებია ქართულში, ხოლო ის, რომ ძველ ქართულ წერილობით ტექსტებში დასტურდება მხოლოდ **ბრინჯის ხე** („მუნ დგა ხეჭ

ბრინჯისადა “ (ქ.ცხ., 86,1), ასევე, არ ჩანს სახელები **ბრინჯი** („მარცვლეული“), **ბრინჯაო** („მეტალი“) და **ბრინჯაოს ხე (Celtis)**, გვავარაუდებინებს, რომ: 1. ა) მარცვლოვან **ბრინჯს** ძველ ქართულში სხვა სახელი მოეპოვებოდა; ბ) **„ბრინჯი** („მარცვალი“) ძველ ქართულ წერილობით ძეგლებში არ აისახა, ან კიდევ არ შემოგვენახა მისი ამსახველი ძეგლები“ (გიგინეიშვილი 2016); 2. მეტალის სახელი **ბრინჯაო** გვიან დამკვიდრებული ფორმა უნდა იყოს ქართულში მარცვლოვან **ბრინჯთან** ომონიმის თავიდან აცილებლების მიზნით.

ამგვარად, დენდრონიმი „ბრინჯის ხე“ იგივე „ბრინჯაოს ხეა“ და ამ ვარაუდს გვიმყარებს ისიც, რომ აღნიშნული ხის ერთ-ერთ სინონიმურ სახელად დ. ჩუბინაშვილის ლექსიკონში დადასტურებულია სწორედ ბრინჯაოს ხე. საყურადღებოა, რომ, საზოგადოდ, დ. ჩუბინაშვილის მცენარეთა სახელების ჩამონათვალი, მათი განმარტებები ძირითადად რ. ერისთავისა და ნ. ჩუბინაშვილის მონაცემების (რომლებიც, მეტწილად „სიტყვის კონას“ ემყარება) განმეორებაა, თუმცა ამჯერად დ. ჩუბინაშვილი არ ადასტურებს მათ მიერ მოწოდებულ ბრინჯის ხეს, არამედ მხოლოდ - ბრინჯაოს ხეს. (მკვლევარმა მანანა ჭირაქაძემ მოგვაწოდა საკუთარი დაკვირვება, რომლის მიხედვითაც დენდრონიმი ბრინჯაოს ხე ამ ხემცენარის უძველეს საკულტო დანიშნულებას უნდა გულისხმობდეს მეტალურგიის კულტურაში).

ვფიქრობთ, სახელისათვის **ბრინჯაოს ხე** ამოსავალია ამ ხემცენარის დომინანტური ნიშან-თვისებები: ა) **მერქნის სიმაგრე**, შდრ., მისი ქართლური სინონიმი **ძელქვა** (ალ.მ.) და რუსული სახელები: **каменное дерево, железное дерево, каркас** (რუს. **каркас** < ძვ. ბერძ. **κράτος** ; შდრ.: **κράτος** „ძალა“ (გიორგობიანი 2013), „крепость“ (დვორეკი 1958); ბ) **მერქნის ფერი** - მოყვითალო.

მსჯელობის გათვალისწინებით, აღნიშნული ხემცენარისათვის (*Celtis* გვარისათვის) მკაფიო სამეცნიერო სახელის დასამკვიდრებლად უნდა განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

აკაკი, ბრინჯის ხე (ალ.მ.) > აკაკის ხე, ბრინჯაოს ხე *Celtis L.*

ცირა ჯანჯღავა

მნიშვნელობის გადაწევის შესახებ შვიდ ნასესხებ მეგრულ სიტყვაში

1. **ბოთილ** -ი მეგრულში ქართული სალიტერატურო ენიდან არის შესული, თავად ქართული **ბოთლ**-ი კი ინგლისურიდან ნასესხებად მიიჩნევა.

ქართული **ბოთლ** -ი განიმარტება როგორც „მომცრო ვიწრო-ყელიანი ჭურჭელი შუშისა სითხისათვის“ (ქეგლი); **ბოთილ**-ს, ამ მნიშვნელობასთან ერთად, აქვს „ლიტრის“ მნიშვნელობაც (მაგ., ჟირ **ბოთილ** ღვინი გეშუ „ორი ბოთლი ღვინო დალია“). ეს მნიშვნელობა შეიძლება არც ქართულისათვის იყოს უცხო.

1 სარაზუნებრივი **თლ** კომპლექსის დასაძლევად აღნიშნულ თანხმოდენებს შორის მეგრულში ჩართულია ანაპტიქსური ხმოვანი **ი**.

2. ნასესხები **ბომ**- ი მეგრულში ნიშნავს „ბიჭს“, „ვაჟკაცს“ -- შდრ. სათანადო ქართული სიტყვა **ბავშვ**-ი „ადამიანის შვილი (ორივე სქესისა) ყრმობამდე“ (ქეგლი).

3. მეგრ. **კარე** ქართული **კარავ**-ის ადაპტირებული სახეობაა. აღნიშნულ მეგრულ სიტყვას, „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონში“ **კარავ**-ისათვის წარმოდგენილ მნიშვნელობასთან ერთად, მოეპოვება „მწყემსისათვის საზაფხულო სადგომად აგებული ნაგებობის“ მნიშვნელობა.

4. მეგრ. **კუნტა** „მოკლე, დაბალი“ ქართულიდან არის ნასესხები მნიშვნელობის გადაწევით, შესაბამისი ქართული „კუტი“ კი შეიძლება სომხურიდან იყოს ნასესხები (ზ. გიგინეიშვილი); - **ნ**- მეგრულში გაჩენელია.

5. მეგრ. **რუჩკა** „კალმისტარი“ რუსულიდან არის შეთვისებული, მაგრამ სათანადო რუსული სიტყვის სამი მნიშვნელობიდან მეგრულ **რუჩკა**-ს ორი მნიშვნელობა აქვს: 1. „კალმისტარი“ და 2. „სახელური“. რუსულში კი ამ სიტყვის კიდევ ერთ მნიშვნელობას გამოყოფენ: კნინ. „ხელი“.

6. მეგრ. **სარსოლ**-ი სასროლი ზადის აღსანიშნავად გამოიყენება და ქართული „სასროლ-ის“ ადაპტირების შედეგად არის მიღებული (რს<სრ) -- შდრ. ქართული **სასროლ** -ი საობ. მიმდღობა: „1. რაც

უნდა ისროლონ, -სატყორცნი, საგდები... 2. რასაც უნდა ესროლონ”... (ქეგლი).

7. მეგრ. **სტაქან**-ი რუსული ნასესხობაა და ის ქართულის შესატყვის **ჭირქა**-სთან ერთად იხმარება.

სათანადო რუსული სიტყვისაგან განსხვავებით, მეგრულში **სტაქან**-ი ნიშნავს მხოლოდ „ჭიქას” და მას არა აქვს „მასრის” მნიშვნელობა.

პროექტი „არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება კავკასიურ ენებში

(შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)“

(პროექტი (№FR-18-072) ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით)

ლ ე ვ ა ნ ა ზ მ ა ი ფ ა რ ა შ ვ ი ლ ი

ზოგი ნაწარმოები სიტყვის შედგენილობისათვის ხუნძური ენის დიალექტებში¹

კავკასიურ ენათა სიტყვაწარმოების შესახებ ამჟამად მოიპოვება არაერთი ნაშრომი, რომლებშიც საკმაოდ ვრცლად არის აღწერილი სათანადო მასალა. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ეს მასალა არსებულ ნაშრომებში უპირატესად მოხმობილია სალიტერატურო ენებიდან, ხოლო მრავალფეროვანი დიალექტებისა თუ კილოკავ-თქმების მონაცემები არ ყოფილა სპეციალური სისტემური კვლევის საგანი. ყურადღების მიღმა დარჩენილი სიტყვაწარმოების არაერთი მოვლენა, რაც დიალექტებში თავს იჩენს რიგ ფონეტიკურ და სემანტიკურ თავისებურებათა სახით.

მოხსენებაში განიხილება ხუნძური ენის დიალექტებში (ასევე კილოკავ-თქმებში) არსებული ზოგიერთი თავისებურება, რაც თავს იჩენს კომპოზიტურ და დერივაციულ სიტყვაწარმოებაში².

1. ხუნძური ენის დიალექტებში პოვნირია კომპოზიტური წარმოების არაერთი სიტყვა, რომელთა შემადგენელ კომპონენტთა რაობაც ამჟამად გაურკვეველია და მათი წარმომავლობის დადგენა ეტიმოლოგიურ მიებას საჭიროებს.

მაგალითად, ჰიდურ დიალექტში გაურკვეველი ჩანს -ლა ელემენტის რაობა სიტყვაში **ბუჰნა-ლა** „ბეჭის ძვალი“, შდრ. ლიტ.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072).

² საანალიზო მასალა მეტწილად მოხმობილია ფ. საიდოვას „ხუნძური ენის დიალექტოლოგიური ლექსიკონიდან“ (საიდოვა 2008).

ბუჰუნ „id.“; ჰიდურშივე – **რუზი-ლა** „მენჯის ძვალი“, ანწუხური დიალექტის ჭადაქოლოურ კილოკავში **ჰანდა-ლა** „ყბა“, ჩრდილოურ ხუნძურში (სალიტერატურო ხუნძურშიც) **ურჰისა-ლა** „თირკმელი“, მაგრამ სხვა დიალექტთა მონაცემებთან შედარება გვიჩვენებს, რომ ეს -**ლა** მომდინარეობს დამოუკიდებელი სიტყვისაგან **ლაგა** „სხეულის ნაწილი, ორგანო“, რომელსაც აღნიშნულ სიტყვებში მოკვეცია ბოლოკიდური მარცვალი; შდრ. ჩრდილოური ხუნძური **ბუჰ-ნა-ლაგა** „ბეჭი“ (→ ჰიდ. **ბუჰნა-ლა**), რაც წარმოადგენს განსაზღვრებით კომპოზიტს მნიშვნელობით „ბეჭის ორგანო“ (**ბუჰნა** ← ნათ. ბრ. ფორმა **ბუჰნ-ა-ლ** + **ლაგა** „ორგანო, სხეულის ნაწილი“); მსგავსადვე, ჰიდური **რუზი-ლა** „მენჯის ძვალი“ ← **რუზი-ლაგა**, შდრ. ანწუხური დიალექტის ანწროსუნჰადურ კილოკავში **რუზი-ლაგა** „id.“, ხოლო ყარახულში – **ნუზი-ლაგა** „id.“. **ნ** და **რ** ბგერათა ანალოგიური მონაცვლეობა გვაქვს, მაგალითად, სიტყვაშიც **რაჟი** „ნიორი“ (ჩრდ. ხუნძ.), შდრ. სამხრულ დიალექტთა **ნიჟი** „id.“. რაც შეეხება **რ-** თავსართს, იგი უნდა იყოს IV გრამატიკული კლასის ნაშთი, შდრ. ანდალალური **ბურზი-ლაგა** „მენჯის ძვალი“, რომელშიც თავსართად წარმოდგენილი **ბ-** III გრამატიკული კლასის ნიშანია.

მსგავსადვე, ჩრდ. ხუნძ. **ურჰისა-ლა** „თირკმელი“ არის **ურ-ჰისა** („შიგნიდან“) ზმნისართისაგან წარმოებული განსაზღვრებითი კომპოზიტი. მისთვის ამოსავალია ფორმა **ურჰისა-ლაგა** ზედმიწევნითი მნიშვნელობით „შიგნიდან ორგანო“. ანწუხური დიალექტის ჭადაქოლოურ დიალექტში **ჰანდა-ლა** („ყბა“) სიტყვისათვის ამოსავალი უნდა იყოს ფორმა **ჰანდა-ლაგა** მნიშვნელობით „დეჭვის ორგანო“, შდრ. **-რო** დერივატით ნაწარმოები იგივე სიტყვა ჩრდილოურ ხუნძურში: **ჰანდ-ი-რო** „ყბა“ ← ზმნა **ჰან-დ-ე-ზე** // **ჰამ-დ-ე-ზე** „ღეჭვა“.

სავარაუდოდ, ხუნძურ **ლაგა** სიტყვას კომპოზიტებში ისეთივე დამაკონკრეტებელი მნიშვნელობა უნდა ჰქონდეს, რაც ზოგიერთ შემთხვევაში აქვს ქართულ **თით-ი** სიტყვას, მაგ., **ცერა თითი** (შდრ. **ცერი**), **ნეკა თითი** (შდრ **ნეკი**).

-ლა ელემენტი პოვნიერია, აგრეთვე, ჰიდური დიალექტის სიტყვაში **რუჰ-ლა** „ნაცარი“, შდრ. ზმნა **ბ-უჰ-ი-ზე** „წვა“. **რ-** თავსართი (**რ-უჰ-ლა**) აქ წარმოადგენს მასუბსტანტივებელ პრეფიქსს, რომელიც ჩვეულებრივ გვხვდება ხოლმე ზმნათაგან წარმოებულ სახე-

ლებში, კლასის ცვალებად ნიშანთა ნაცვლად; მაგ., რ-ოტი „სიყვარული“ (← ბ-ოტ-ი-ზე „ყვარება“), რ-ოხ-ელ „სიხარული“ (← ბ-ოხ-ი-ზე „გახარება“). ეს -ლა დერივატი ჩანს და არ უკავშირდება არსებით სახელს ლაგა „სხეულის ნაწილი“, „ორგანო“.

ზოგიერთი სიტყვა სალიტერატურო ხუნძურში კომპოზიტურ-ი წარმოშობისაა, თუმცა ისეთი ცვლილება განუცდიათ, რომ კომპოზიტებად მათი აღქმა ამჟამად გამწვანებულია და სათანადო დიალექტურ მონაცემებთან შედარებით თუ ხერხდება მათი რაობის დადგენა.

მაგალითად, ჩრდილოურ ხუნძურში (სალიტერატურო ხუნძურშიც) გვაქვს სიტყვა **ბაჭაჩ** „გირჩი“, რომელიც თითქოს დაუშლელი ჩანს, მაგრამ დიალექტურ მონაცემებთან შედარება არკვევს, რომ ისტორიულად იგი კომპოზიტს წარმოადგენდა და მის შემადგენლობაში გამოსაყოფია კომპონენტი **ჭერ** „ვაშლი“. ასე, მაგალითად, ანდალალური დიალექტის კილოკავ-თქმებში მოიპოვება ფორმები **ბეჭე-ჭერ** „გირჩი“, **გუქუ-ჭერ** „id.“. ყარახული დიალექტის ზოგიერთ კილოკავ თქმაში დადასტურებულია **ბაჭა-ჭი** („გირჩი“), სადაც -ჭი-ელემენტი ასევე მიღებული უნდა უნდა იყოს „ვაშლის“ აღმნიშვნელი **ჭერ/ჭირ** ფუძის ფონეტიკური სახეცვლილების შედეგად. ნათელი არ არის პირველ კომპონენტთა (**ბაჭა-**, **ბეჭე-**, **გუქუ-**) წარმომავლობა, რომლებიც დამოუკიდებელ სიტყვებად ხუნძურ ენაში არ იხმარება, თუმცა დიალექტებში შეიძლება შეგვხვდეს დერივატივით გაფორმებულს, მაგ., ყაზბურში **ბეჭე-ქო** „გირჩი“, სადაც -ქო წარმოადგენს დერივატს, ხოლო ანწუხური დიალექტის თაშურ და ჭადაქოლოურ კილოკავებში გვხვდება ფორმა **ბაჭა-ნიც** („გირჩი“), სადაც -ნიც- ელემენტის წარმომავლობაც გაურკვეველია.

„ვაშლის“ აღმნიშვნელი **ჭერ** ფუძე, როგორც ჩანს, გამოყენებულია „მცენარეული ნაყოფის“ ზოგადი მნიშვნელობით, რომლის ანალოგიურ მაგალითადაც შეიძლება დავასახელოთ სხვა მცენარეთა აღმნიშვნელი დიალექტური კომპოზიტებიც: **წონო-ჭერ** „ქაცვი“ და **ღერწილ-ჭერ** „id.“ (ანდალალური დიალექტის ზოგიერთ კილოკავ-თქმაში), რომელთა შემადგენლობაშიც მეორე კომპონენტად აშკარად გამოიყოფა „ვაშლის“ აღმნიშვნელი იგივე ფუძე; შდრ. **წონო** „ღვია“ (შულანიბის ნარეკ კილოში), კომპოზიტი **წონო-ღვეტ** „ღვიის ბურქი“ (ანწუხური დიალექტის ანწროსუნჰადურსა და თაშურ კილოკა-

ვებში. აქ მეორე კომპონენტად წარმოდგენილია **ღუეტ** „ხე“), ლიტ. ხუნძ. **ღარწი** „ქაცვი“; „ვაშლის“ აღმნიშვნელი იგივე ფუძე გვაქვს კომპოზიტივც **ჭაჭა-ჭერ** „კომში“ (პირველი კომპონენტი აქ წარმოადგენს თურქულიდან ნასესხობას: თურქ. ajva „კომში“).

მეორე მხრივ, არც ის არის გამორიცხული, რომ „გირჩის“ აღმნიშვნელ დიალექტურ სიტყვებში „ვაშლის“ აღმნიშვნელი ფუძე მოგვიანებითაც შეიძლება გაჩენილიყო, ანუ შესაძლებელია ისიც ვიფიქროთ, რომ **ბაჭარ** („გირჩი“) სიტყვა იმთავითვე კომპოზიტს კი არ წარმოადგენდა, არამედ სულაც დაუშლელი სიტყვა იყო, ხოლო **ჭერ** („ვაშლი“) ფუძის გამოცალკეება დიალექტურ სიტყვებში მოხდა ხალხური ეტიმოლოგიის ნიადაგზე, რისთვისაც ხელი უნდა შეეწყოს ფონეტიკურ მსგავსებას (**ბა-ჭარ** → **ჭერ**).

კომპოზიტს წარმოადგენს, აგრეთვე, სიტყვა **ბაჭრა-გინ** „დაისის არილი“, ასევე – „აისი“, „განთიადი“. ამ სიტყვაში **-გინ** ელემენტის რობა გაურკვეველია, ხოლო ყარახული დიალექტის ტლესერუხულ თქმაში მის ნაცვლად გამოიყოფა **-ჟუ** ელემენტი: **ბაჭრა-ჟუ** „id.“. ამ შედგენილი სიტყვის პირველი კომპონენტი არის **ბაჭრა-**, **ბა-ჭა-**, რაც მომდინარე ჩანს ზედსართავი სახელისაგან **ბაჭარ-აბ** „წითელი“. ამდენად, დიალექტური **ბაჭრაჟუ** (← **ბაჭარ-ჟუ**) კომპოზიტის ზედმიწევნითი მნიშვნელობა უნდა იყოს „წითელი რამ“ (ჟუ ← ჟო „ნივთი“, „რამე“).

2. ხუნძურ ენაში საკმაოდ პროდუქტიულ დერივატთა რიგს განეკუთვნება სუფიქსი **-რო**. დიალექტურ თავისებურებას წარმოადგენს ამ დერივატის ფონეტიკური ვარიანტის არსებობა **-რუ** სუფიქსის სახით და, გარდა ამისა, დიალექტებში ამ სუფიქსის წინ თავს იჩენს ხოლმე გაურკვეველი წარმომავლობისა და დანიშნულების მორფოლოგიური ელემენტები. ზოგი მათგანი მოხსენიებული აქვს ყ. მიქაილოვს, მაგ., ჰიდურში **ჰან-აკ-რო** „დიდი ჩანგალი, რომლითაც ხორცს იღებენ ქვაბიდან; აქ **ჰან** ნიშნავს „ხორცს“, მაგრამ **-აკ-** ელემენტის დანიშნულება უცნობია. ასევე: **ქან-აკ-რო** „ლამპარი“, „ციცინათელა“, რომელიც შულანიზის ნარევ კილოში გვხვდება ასეთი სახით: **ქან-შიდ-რო**, შდრ. **ქან** „კვარი“, **ქან-ლი** „შუქი“, სინათლე“; გაურკვეველი ელემენტია **-შიდ-**. მსგავსადვე, **წუ-ბ-ა-რო** „სარწყავი“, შდრ. **წუ-ზე** „წურვა“; აქ **-ბ-** ელემენტის დანიშნულება არ არის ნათელი (მიქაილოვი 1965).

შესაძლებელია მოვიხმოთ ამავე რიგის სხვა ელემენტებიც, მაგ., -ქ სიტყვაში **შუნტ-ი-ქ-რუ** „სტვირი“ (ქვემო ყარახულში), შდრ. **შუნტ-იხ** „id.“ (ანდალალური დიალექტის კუიადურ კილოკავში). ნაწარმოები ჩანს არსებითი სახელისაგან **შუნტ** „თხაწველია“. აღსანიშნავია, რომ ეს ფრინველი გამოირჩევა თავისი განსაკუთრებული, სხვა ფრინველთაგან განსხვავებული ხმიანობით. ღირსსაცნობია ამ მხრივ „სტვირის“ კომპოზიტური სახელწოდება ქვემო ყარახულში **შუტლა-ჰინჭა**, რომელშიც მეორე კომპონენტად გვაქვს „ჩიტის“ აღმნიშვნელი სიტყვა **ჰინჭა**. მორფემა -(ი)ხ წარმოადგენს არაპროდუქტიულ და იშვიათ დერივატს, რომელიც პოვნიერია, აგრეთვე, სიტყვაში **ჰოლო-ხ** „მწვანე ცერცველა“ (ანწუხური დიალექტის ჭადაქოლოურ კილოკავში), შდრ. **ჰოლო** „ცერცვი“.

ჩუშ-ი-ქ-რუ „ნემსკავი“ (ანწუხური დიალექტის თაშურ კილოკავში), **ცუშ-ი-ქ-რუ** „id.“ (ანწუხურისავე ჭადაქოლოურ კილოკავში), შდრ. **ჩუშა** „თევზი“ (ჭადაქოლოურში **ცუშა**).

წა-დ-ა-ქ-რუ „თავყრილობა, დროსტარება, წვეულება“ (ანწუხური დიალექტის თაშურ კილოკავში). ნაწარმოები ჩანს არსებითი სახელისაგან **წა** „ცეცხლი“, კერძოდ, ამოსავალი უნდა იყოს ამ სახელის ირიბი ფუძე **წა-დ-** (შდრ. ერგ. წა-დ-უ-ცა „ცეცხლმა“).

ჭადა-ქ-რუ „ტილის კვერცხი, წილი“ (ზემო ყარახულში) ნაწარმოებია **ჭადა** ფუძისაგან, რომელიც ხუნძურ ენაში ცალკე სიტყვად ამჟამად არ იხმარება, მაგრამ გვხვდება რამდენსამე სიტყვაფორმასა და შესიტყვებაში „თავის“ მნიშვნელობით, მაგ., **ჭადა-ტა** „თავზე“, **ჭადა-** „თავში“ (მაგ., შესიტყვებაში **ჭადა- ბაზე** „თავში ჩარტყმა“), **ჭადა-ჯ** „თავთან“ (შესიტყვებაში **ჭადა-ჯ ბოსიზე** „ყურადღების მიპყრობა“, ზედმიწ. „თავთან აღება“); **ჭადა-ლ ნახ** „ტვინი“, ზედმიწ. „თავის ქონი“ (**ნახ** „ქონი, ცხიმი“); **ჭადა-ხაჲ** „თავბრუ“, ინფ. **ჭადა-ხაზე** „თავბრუს ხვევა“; კომპოზიტში **ჭადა-ხოჭ** „დაცინვა, აბუყად აგდება“, შდრ. **ხოჭ** „გართობა“, „ლყაფი“; **ჭადა-ჟო** „თავის ქალა“. აქ გაურკვეველი მორფემაა -**ჟო**. ფონეტიკურად მსგავსი ელემენტი -**ჟ** -ს სახით პოვნიერია სიტყვაში **წედ-ე-ჟ** „ციცინათელა“ (ანწუხური დიალექტის თაშურ კილოკავში) რომლისთვისაც ამოსავალი უნდა იყოს „ცეცხლის“ აღმნიშვნელი **წა** სიტყვის ირიბი ფუძე **წა-დ-** (→ წე-დ).

ჰიტ-ი-ქ-რო „უზანგი“ (ბაწადურ ნარევი კილოში) ← ფუძე **ჰატ-ი-**, შდრ. ჩრდ. ხუნდ. **ჰატ-ი-ლ** „ქუსლისა“, „ფეხისა“; **ჰეტე** „ქუსლი“, ფეხი“.

ყად-ა-ქ-რო „ბელურა“ (ანდალალური დიალექტის სოღრათლურ კილოკავში, ბაწადურ და შულანიზურ ნარევი კილოებში), შდრ. ჩრდ. ხუნდ. **ყად-ა-ქო** „ბელურა“ (← **ყად-ა-ლ** „კედლისა“, **ყედ** „კედელი“).

ჭეჭე-ქ-რუ „ჭკა“ (ანდალალური დიალექტის სოღრათლურ კილოკავში), შდრ. **ჭეჭერ-აბ** „შავი“.

ჭანდ-ი-ქ-რუ „მტირალა“ (ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში), შდრ. ანწუხ. **ჭანძი** „ტირილი“ (← **ჭანდ-ი-ზი**), ჩრდ. ხუნდ. **ჭოდ-ი-ზე** „ტირილი“.

დიალექტებში გამოიყოფა, აგრეთვე, **-ლ-** ელემენტი **-რო** (//-**რუ**) დერივატის წინ:

კალ-ა-ღ-რუ „ყბედი“ (ანწუხური დიალექტის თაშურ კილოკავში), შდრ. **კალ** „პირი“; სალიტერატურო ხუნძურსა და სხვა დიალექტებში ამ მნიშვნელობით იხმარება კომპოზიტი **კალ-ბაზარ** („ყბედი“), ზედმიწ. „პირი-ბაზარი“.

ღოტ-ო-ღ-რუ „კოდალა“ (ანწუხური დიალექტის ჭადაქოლოურ კილოკავში) ← ირიბი ფუძე **ღოტ-ო-** სიტყვისა **ღუეტ** „ხე“, შდრ. ნათ. ბრ. **ღოტ-ო-ლ** „ხისა“. ანდალალური დიალექტის სოღრათლურსა და ჭოხურ კილოკავებში **-ღ-** ელემენტის ადგილი უჭირავს **-ქ-** -ს: **ღოტ-ო-ქ-რო**, ხოლო ჰიდურსა და სამხრულ ხუნძურის ზოგიერთ კილო-თქმაში გვხვდება **-კ-**: **ღოტ-ო-კ-რო**, შდრ. ჩრდ. ხუნდ. **ღოტ-ო-რ-კო** „კოდალა“.

დიალექტებში ასევე გამოიყოფა **-აშ-** ელემენტი **-რო** (//-**რუ**) დერივატის წინ:

მად-აშ-რო „თავკომბალა“ (ბაწადურ ნარევი კილოში), **მად-აშ-რუ** „id.“ (ყარახული დიალექტის მუყრატლურ კილოკავში). იგი აშკარად ნაწარმოებია სიტყვისაგან **მად** „კუდი“, მაგრამ აღსანიშნავია, რომ შულანიზის ნარევი კილოში ამავე **მად-აშ-რუ** სიტყვას აქვს სხვაგვარი მნიშვნელობა – „ნეხვის ჭია“.

-ჩ-: **მიყ-ო-ჩ-რო** „მამლის საყურეები“ (ანდალალური დიალექტის სოღრათლურ კილოკავში), შდრ. **მუყ-ურ** „id.“ (ზემო ყარახულში), **მუყ-უნ** „id.“ (ანდალალური დიალექტის კუიადურ კილოკავში),

ლიტ. ხუნძ. **მუყ-ურ** „ჩიჩახვი“; **ჰიჩი-ჩ-რუ** „ფაფის ამოსარევი“ (ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში), შდრ. **ჰიჩი** „ფაფა“ .

-ჰ-, -ყ-, : **ღოდო-ჰ-რუ** „დაწული კალათა, რომლითაც პატივი მიაქვთ ყანაში“ (ანწუხური დიალექტის ბოჰნოდურ კილოკავში), შდრ. **ღოდო-ყ-რუ** „ხორბლის გასანიავებელი დიდი საცერი“ (ანწუხური დიალექტის ტომურულ კილოკავში).

-ჰ- : **მოწო-ჰ-რუ** „საწოვარა“ (ანწუხური დიალექტის თაშურ კილოკავში), შდრ. ლიტ. ხუნძ. **მოწო** „id.“, **მოწო-ბ** „id.“ (ანწუხური დიალექტის ჭადაქოლოურ კილოკავში), **მაწო** „id.“ (ანწუხურისავე ტომურულ კილოკავში).

-თ-, -დ-: **ღასი-თ-რუ** „საცეცხლე“, „ბუხარი“ (ყარახული დიალექტის რისიბულ კილოკავში), **ღუსუ-თ-რო** „id.“ (ქვემო ყარახულსა და მუყრატლურ კილოკავში), **ღუსუ-დ-რო** „id.“ (ჰიდურში), შდრ. ლიტ. ხუნძ. **ღასი-დო** „id.“ -**დო** ელემენტის ცალკე მორფემად გამოყოფა ხერხდება სიტყვაშიც **ტალა-დო** „საკვამური“, შდრ. ტალა „მილი“. ამავე აფიქსის შემცველი უნდა იყოს „ფანჯრის“ სახელწოდებაც: **გორ-დო**, შდრ. ანწუხური **გორ-სო** „ფანჯარა“, „სარკმელი“. შესაძლებელია -**დი** მორფემის გამოყოფაც: **ღაჰ-დი** „ჭვარტლი“ (ანწუხური დიალექტის ანწროსუნჰადურ კილოკავში), შდრ. ლიტ. ხუნძ. **ღაჰ** „ჭვარტლი“.

-ტ-: **ჰენქე-ტ-რო** „ციცინათელა“ (ჰიდურ დიალექტში). ამ დიალექტურ სიტყვაში მეტათეზისა მომხდარი: **ჰენქ** ← **ქენჭ**, შდრ. ჩრდ ხუნძ. ზმნა **ქენჭ-ე-ზე** „კაშკაში“, „ელვარება“ და სხვ.

სომატონიმებიანი კომპოზიტების სემანტიკური ანალიზი ქართულში დიდოურ და ბეჭიტურ ენებთან შედარებით¹

ამა თუ იმ ენის ძირითად ლექსიკურ ფონდში ადამიანის სხეულის აღმნიშვნელ სახელებს - სომატონიმებს გამორჩეული ადგილი უჭირავთ და, სულიერ-მატერიალური კულტურის ისტორიის გამო-მზეურების გარდა, განუზომელი მნიშვნელობა ენიჭებათ გარესამყაროს ენობრივი აღქმისა და აზროვნების ჩამოყალიბების გარკვევის თვალსაზრისით. ანატომიური ტერმინოლოგიის თემატური ჯგუფი ენის მთლიან სიტყვიერ საგანძურში ქმნის ძირითად ღერძს, რომლის გარშემო სხვა სემანტიკური ჯგუფები იყრიან თავს. ცხადია, ცალკე აღებული სომატური სახელები თავისთავად მრავალმხრივ საინტერესოა, თუმცა უფრო მეტად საყურადღებოა ამგვარ სახელთა შერწყმით წარმოქმნილი კომპოზიტები, რომელთა მოტივაციის-თვის, სემანტიკური განვითარებისა და სათანადო ცვლილებების-თვის თვალის გადევნება მნიშვნელოვანი დასკვნების გამოტანის საშუალებას იძლევა.

საკვლევ ენათა სომატურ სახელებთან დაკავშირებულ ლექსიკაში გამოიყოფა **კოორდინაციულ კომპოზიტები**, რომლებიც მიღებულია სხეულის ნაწილების ორ სრულმნიშვნელობიან და თანაბარფუნქციან სახელთა (resp. ფუძეთა) შეთხზვა-შეერთებით. ამ თემატურ ჯგუფში წამყვანი ადგილი „თავისა“ და „გულის“ შემცველ კომპოზიტებს უჭირავთ. ამასთანავე, „თავთან“ დაკავშირებული სომატური კომპოზიტების რიცხვი საგრძნობლად აღემატება „გულის“ („ასოთა ჯელმწიფის“) მონაწილეობით თხზულ სახელთა რაოდენობას.

სალიტერატურო ქართულში „თავ-“ ფუძის შემცველ კომპოზიტთა სიმრავლე თვალშისაცემია: **თავ-ბოლო, თავ-ზურგი, თავ-კისერი, თავ-კუდი, თავ-პირი, თავ-ტანი, თავ-ფეხი, თავ-ყელი, თავ-ყური, თავ-ცხვირი** და ა. შ.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072).

ქართულში „თავი“ რეალურადაც და მეტაფორულადაც კომპლექსური ორგანოა, რომელიც სხვადასხვა ქვეორგანოთა (ყურება-მხედველობის, სმენის, გემოს...) ერთიანობას წარმოადგენს. ქართულში „თავი“ ერთგვარად დაპირისპირებულად კია „ტანთან“, რაც ცნაურდება სემანტიკური კორელაციით „თავ-ტანი“. თავ- ძირი ძველსა და ახალ ქართულში გამოყენებულია სხვადასხვა ფუძეების საწარმოებლად, რომელთაც ძირითად მნიშვნელობებთან ერთად განსხვავებული დენოტატებიც აქვთ. იგი ბევრი კოორდინაციული კომპოზიტის ნაწილია და უმთავრესად თავისსავე შემადგენელ სომატონიმებთან შედის კომპოზიციაში, მაგ.: თავ-ყური, თავ-ცხვირი, თავ-ყბა, თავ-პირი, თავ-შუბლი და მისთ.

დიალექტები ანალოგიურ კომპოზიტებს მეტ-ნაკლები სისრულით წარმოგვიდგენენ, რომლებშიც საანალიზო ლექსემა კვლავ თავკიდურად გვხვდება, მაგ.: ხევს. თავ-გონი, თავ-ენა, თავ-თორპილი, თავ-რქა-ნ-ი...; თუშ. თავ-პირი, თავ-ბოლოდ და ა. შ.

საგულისხმოა, რომ კომპოზიტებში „თავი“ ჩვეულებრივ წინ დგას, რადგანაც პრეპოზიციურობა, ჩანს, პრიორიტეტს წარმოადგენდა იმ საზოგადოების წევრებისთვისაც, რომელთა ცნობიერება-აზროვნებამაც ჩამოაყალიბა ამგვარი კომპოზიტები.

დიდოურ (resp. დადესტნურ) ენებში, მართალია, „თავ-ფეხი“ ქართულის ანალოგიურია (საკ. დიდ. ყიმ-ჯოშო, ბეჟ. ყამ-ხამბა ზედმიწ. „თავ-ფეხი“) ისევე, როგორც „ჯიგარი, შიგნეული“ (საკ. დიდ. ახ-ბილ“ „კუჭ-ნაწლავი, შიგნეული“ ზედმიწ. „მუცელ-მაჭიკი“, შდრ. პირიქით: ინახუ-ახ ზედმიწ. „ნაწლავ-კუჭი“ – sic!), მაგრამ სხვა კომპოზიტები („თავ-ფეხი“, „ცხვირ-პირი“, „პირისახე“...) განსხვავებული წყობით დასტურდება: საკ. დიდ. კონჭუ-ყიმ „თავ-ფეხი“ (ზედმიწ. „წვივ-თავი“, შდრ. ყიმ-ჯოშო ზედმიწ. „თავ-ფეხი“), ჰუტ-მშალი „პირისახე“ (ზედმიწ. „პირ-ცხვირი“), ჰუტ-მალი „სახე“ (ზედმიწ. „ლოყა-ცხვირი“)...; ბეჟ. მუჭ-ყამ „თავ-თმა“ (ზედმიწ. „თმა-თავი“), მოტო-ყამ „თავ-პირი“ (ზედმიწ. „პირ-თავი“) და მისთ.

რაც შეეხება სომატონიმ „გულს“, მისი მონაწილეობით შექმნილი კომპოზიტებიც ქართულში ხელშესახებად არის წარმოდგენილი: გულ-გვამი, გულ-ღვიძლი, გულმკერდი, გულ-მუცელი, გულ-ყია („ყელის ყანყრატო“ – საბა), გულგულა და ა.შ.

სისხლის ფუნქციონირებასთან მჭიდროდ დაკავშირებული გულ-ღვიძლი კომპოზიტის წინა კომპონენტი ფუნქცია-სემანტიკით

მკვეთრად აღემატება მეორისას. ბეჟიტურ ენაში ზუსტად ქართულს ანალოგიური კომპოზიტი შეიმჩნევა: საკ. ბეჟ. **აკო-შებო** „გულ-ღვიძლი“. რაც შეეხება „**ღვიძლს**“ როგორც პირდაპირი მნიშვნელობით („ნაღვლის გამომყოფი შინაგანი სეკრეციის ორგანო“), ისე გადატანითი მნიშვნელობებითაც (1. „სისხლით მონათესავე“; 2. „მშობლიური, თავისიანი“) ჯერ კიდევ ძველ ქართულში დასტურდება, თუმცა მეორე მნიშვნელობით ძალიან იშვიათად გამოიყენება. ქართული ენის დიალექტებში საანალიზო ლექსემა, სემანტიკის მიხედვით, თვალსაჩინოდ შეცვლილა: იმერ. **ღვინჯა** (< ზან.) „ძალიან მწიფე ხილი“; ლეჩხ. **ყვინწლი** „ძლიერ მწიფე“; რაჭ. **ღვიძლი** „ღღონოშოს და მისთანათა ნაყოფის კანქვეშა რბილი ნაწილი“ და ა. შ.

ქართველურ ენებში **ღვიძლ** სახელს სემანტიკური ტრანსფორმაცია შემდეგნაირად განუცდია: **ღვიძლი** (ქართ., ზვან.) > **შავ-ყვითლად დამწიფებული** (მეგრ.) > **ძალიან მწიფე** (იმერ., ლეჩხ.) > **ნაყოფის კანქვეშა რბილი ნაწილი** (რაჭ.). ვარაუდობენ, რომ სომატურ ტერმინ „**ღვიძლს**“ ძირითადი მნიშვნელობა გადატანით მნიშვნელობად (ღვიძლი ძმა, ღვიძლი და...) შეცვლილი უჩანს უკვე „**ქილილა და დამანაში**“. საინტერესოა, რომ დიდოურ ენებში უფრო „**გული**“ გამოიყენება ამ ფუნქციით: ბეჟ. **აკო-ვაცცა** „გულითადი მეგობარი“ (ზედმიწ. „გულ-მეგობარი“).

რაც შეეხება „**გულყიას**“, ეს კომპოზიტი მეორე კომპონენტად **ყია**-ს გვიჩვენებს, რომელიც ორგვარად განიმარტება: 1) „სახმო სიმებს შორის გასწვრივ ნაპრალს ემახიან ყიას“ (გ. ახვლედიანი); 2) „ადგილი ისარზე, სადაც ფრთებია დაკრული“ (ალ. ჭინჭარაული). მეორე გადატანითი და მოტივირებული მნიშვნელობა აშკარად პირველი პირდაპირი მნიშვნელობის მსგავსებითი გადააზრიანება-გადაწევის შედეგია.

გარდა „**გულის**“ შემცველი კომპოზიტებისა, სალიტერატურო ქართულშიც და მის დიალექტებშიც დასტურდება „**თვალთან**“ დაკავშირებული თხზული სახელები, რომლებიც უფრო მეტად ვერ იგულებენ პოსტპოზიციას, მაგ.: **თვალ-გული**, **თვალ-ტანი**, **თვალ-წამწამი**, **თვალ-წარბი**, **თვალ-კამარა**, **თვალ-პირი** და მისთ.

საკუთრივ დიდოურ ენაში **ჰამორი** გამოხატავს „მკერდსაც“ და „ხველასაც“ (მეორე მნიშვნელობა პირველისგან არის განვითარებული: **მკერდი** > **ხველა**, **ნახველი**). იგი გამოიყენება კომპოზიტში **ჰამო-როკუ** „გულმკერდი“ (ზედმიწ. „მკერდ-გული“), რომლის პირ-

ველ კომპონენტს პირვანდელი მნიშვნელობა („მკერდი“) მოეპოვება. ბეჟიტურში, მართალია, „მკერდს“ რაიმე კონოტაცია არ უდასტურდება, მაგრამ „სურდოს“ აღმნიშვნელ კომპოზიტიში (**ღეიფა-ყმის ზედმიწ.** „მკერდ-თავის“ = „სურდო“, „გრიპი“) მისი სემანტიკური ველი, თავდაპირველ მნიშვნელობასთან შედარებით, აშკარად გადაწეულია. გარდა ამისა, საინტერესო ჩვენებას გვაძლევს კომპოზიტი **ხოტორი-ჟუბი** (საკ. დიდ.) „შიგნეული, ჯიგარი“ (ზედმიწ. „ფილტვ-ღვიძლი“, შდრ. **ახ-ბილ** „კუჭ-ნაწლავი, შიგნეული“, ზედმიწ. „მუცელ-მაჭიკი“), ე. ი. „შიგნეულის“ აღსანიშნავად, ერთი მხრივ, გამოყენებულია „ფილტვ-ღვიძლი“, მეორე მხრივ, ზედმიწ. „მუცელ-მაჭიკი“, ხოლო, მესამე მხრივ, ზედმიწ. „ნაწლავ-კუჭი“. ცხადია, ამ კომპოზიტებისა თუ მათში შემავალი კომპონენტების სემანტიკური ველები მეტ-ნაკლებად გადაწეული ჩანს და ისინი ერთმანეთს ვერ დამთხვევა.

სუბორდინაციული კომპოზიტები, მათი სტანდარტიზებულობის მიუხედავად, ავლენენ არაერთ საინტერესო ნიშან-თვისებას. კერძოდ, ქართულ ენაში ომონიმური „წელი“ (1. ანატომიური ორგანო; 2. წელიწადი; 3. სარტყლის ადგილი) საბასთან განმარტებულია „ნაწლევადაც“. ეს მნიშვნელობა ჩანს უწინარესი, ვინაიდან საანალიზო სახელი ზუსტ ფონემურ და სემანტიკურ შესატყვისობებს გვიჩვენებს ზანურში [არნ. ჩიქობავა]. ამ სომატონიმის სემანტიკური გარდასახვა-გარდაქმნა ფორმობრივადაც ნათელყოფილია: **წელი > *ნა-წელ-ევ-ი > ნაწლევი**.

საკვლევ ენათა შორის სტრუქტურული მოდულების მსგავსებისასაც შეიძლება გამოვლინდეს სემანტიკური სხვაობები. კერძოდ, ქართულში გვხვდება ძველი და პირდაპირი მნიშვნელობისაგან დაცილილი **გულისყური** „მოსწავლეთაგან სწრაფად სმენა, სწრაფად სწავლა, მიჯდომა და ქმნა“ (საბა). დიდოურ ენათა სათანადო ეკვივალენტთან შედარებისას სტრუქტურული მსგავსების პირობებში თვალსაჩინო სემანტიკური სხვაობა მჟღავნდება, მაგ.: ბეჟ. **აკის ჴღჴ** (საკ. ბეჟ.), **რაკის ჴღა** (ჰუნზ.), საკ. დიდ. **როკუს აჰიამბი** „აორტა“ (ზედმიწ. ბეჟ. „გულის ყური“, საკ. დიდ. „გულის ყურები“) და მისთ.

რედუპლიცირებული კომპოზიტების წარმოებისათვის აფხაზურ და ადიღურ ენებში¹

აფხაზურ რედუპლიცირებულ კომპოზიტებში რამდენიმე ჯგუფი გამოიყოფა:

ა. მარტივი რედუპლიკაცია – ფუძეები გაორმაგებულია, არ შეიმჩნევა ფონეტიკური პროცესები: აყაყა „ზურგი“; აყაყყა „ოჩოფეხი“; აშერშერ „სასტვენი“; აცგც „ბურბუმელა“, აწწწ „ზარი (პატარა)“; ხუსხუს „ხბო“ (ბავშვის ენაზე), აკკკკ „გუგული“, ა-ხაჩა-ხაჩა „შხაპუნი“, ა-ყერ-ყერ „ხარხარი“ ...

ბ. რედუპლიცირებული კომპოზიტის ერთ კომპონენტში შეცვლილია თანხმოვანი: ახაჰა-მაჰა „ჭიაღუა, მწერი“ (შდრ. ახაჰა „ხოჭო“), ა-ხგჰ-მგჰ „წვრილმანი“ (შდრ. მეგრ. ხაჰა-მაჰა „წვრილმანი, უვარგისი“), ა-მახა-შახა „კიდურები“.

გ. რედუპლიცირებულ ფუძეში იცვლება მარცვალი: ა-მათა-ჯვთა „ბარგი-ბარხანა“...

დ. რედუპლიცირებულ ფუძეში ჩართულია თანხმოვანი: ა-ჟმგჟ „ჯვალო, ძველმანი“...

ე. რედუპლიცირებულ ფუძეში ჩართულია მარცვალი: ა-რწ-მგრწ „მწილი“...

ხშირად რედუპლიცირებული ფუძე მრავალგზისობას გამოხატავს: აყგგ-ყგგ „მრავალგზის კაკუნი, ბრახუნი“, ა-ყგყგ :ზედი-ზედ გასროლის ხმა, ბათჰა-ბუთჰი“.

ადიღური რედუპლიცირებული კომპოზიტები სტრუქტურული თვალსაზრისით შეიძლება რამდენიმე მოდელად ჩამოყალიბდეს:

ა. მარტივი რედუპლიკაცია: ლერღერ „თამაშის სახეობა“ (შდრ. ლერ „ხის ბურთი“), ჯარჯარ „ნება, სურვილი“, ფსფსგ „მარლა“... ასეთი ფორმები შედარებით ნაკლებია. კომპოზიტთა ასეთი წარმოება დამახასიათებელია ხმაბადვითი სიტყვებისთვის: ქერქერ „ინდა-

¹ მოხსენება მომზადებულია შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დაფინანსებული FR 18-072 პროექტის ფარგლებში

ური“, **ტჯატჯა** „ფეხსაცმელი“ (ბავშვთა ენაში), **მაცმაც** „ცხვარი“ (ბავშვთა ენაში) (იქვე).

ბ. მარტივ რედუპლიცირებულ კომპოზიტებში ხშირად ხდება ა/წ ხმოვანთა მონაცვლეობა სემანტიკის ცვლილების გარეშე, მაგ. **ნან/წ** „დედა“, შდრ. **ნწწ დახწ** „ლამაზი დედა“, **მამ/წ** „მამა“, შდრ. **მწმწ ცქმწ** „ჭკვიანი მამა“. ა/წ მონაცვლე რედუპლიცირებული კომპოზიტები ხშირად გვხვდება საკუთარ სახელებში: **ცაც/წ** (< *ცწცწ) „ცაცა, ქაქწ (< *ქწქწ) „ქვაქვა“, **მამ/წ** (< *მწმწ) „მამა“, **ზაზ/წ** (< *ზწზწ) „ზაზა“.

გ. ხმოვნის ან თანხმოვნის ამოვარდნა რედუპლიცირებულ კომპოზიტში: **დწდწ** (< *დწდწ) „სათამაშო“ (ბავშვთა ენაში), **ლგლგუ** (< *ლგულგუ) საკუთარი სახელი.

დ. კომპოზიტის პირველი კომპონენტის ანლაუტის თანხმოვნის (ან თანხმოვანთკომპლექსის) შეცვლა მეორე კომპონენტში: ასეთი კომპოზიტები ძირითადად ზედსართავ სახელებში გვხვდება და აღმატებით ხარისხს გამოხატავს, მაგ. **დგჯგრჯგ** „ძალიან მწარე, უმწარესი“, შდრ. **დგჯგ** „მწარე“, **ჯაბზწლწაბზწ** „ძალიან სუფთა“, შდრ. **ჯაბზწ სუფთა**“... გვხვდება აგრეთვე კრებით სახელებში: **კალწლწალ/წ** „ახალგაზრდობა“, შდრ. **კალწ** „ახალგაზრდა“, **ჯაბზარწაბზარ** „სიახლეები, ახალი ამბები“, შდრ. **ჯაბარ** „ახალი ამბავი“ და სხვ.

ე. რედუპლიცირებულ კომპოზიტში პირველი კომპონენტის ბგერა მეორე კომპონენტში იცვლება ზ' თანხმოვნით და კრებითობას გამოხატავს: **მწქწწაქწქ** „თივა და მისთ.“, შდრ. **მწქწ** „თივა“, **ჰაქწგწწაქწქ** „ღუმელი და მისთ.“, **ცაფცწწაფცწ** „ნივთები, ხარახურა“, შდრ. **ცაფცწ** „ნივთი“, **ცაჭტობუსწავეტობუს** „ავტობუსი და მისთ. ტრანსპორტი“, შდრ. **ცაჭტობუს** „ავტობუსი“, **შწმსწთწაშმსწთ** „შამსათი და მისი ხალხი, შამსათიანნი“, შდრ. **შწმსწთ** – საკუთარი სახელი.

ადილენურ სახელურ რედუპლიცირებულ კომპოზიტებში ასევე გამოიყოფა ჯგუფი, სადაც რთული სიტყვის კომპონენტი სემანტიკისაგან დაცლილია და ძირითადად ფონოსემანტიკური ერთეულია: **ქგმსგმ** „სიჩუმე“, **ქგრღსგრღ** „ჭრიალი“, **წგრწგრ** „ჭიკჭიკი“.

დიანა კაკაშვილი

ეგზოცენტრული კომპოზიტები ქართულ და ნახურ ენებში¹

ეგზოცენტრული ეწოდება ისეთ კომპოზიტებს, რომლებსაც არ გააჩნიათ მეთაური სიტყვა და საბოლოო შინაარსიც არ წარმოადგენს კომპონეტა მნიშვნელობების ჯამს. შემადგენელი ნაწილები არავითარ გასაღებს, მინიშნებას არ გვაძლევენ საბოლოო სემანტიკაზე. ხშირ შემთხვევაში, წინასწარი ცოდნის გარეშე ძალიან ჭირს მნიშვნელობის დადგენა, ანუ გვაქვს ერთგვარი მეტაფორიზაცია, რაც არის ერთ-ერთი გავრცელებული საშუალება ახალი ლექსიკური ერთეულების შესაქმნელად.

საზოგადოდ, მიჩნეულია, რომ ენათა უმეტესობაში ენდოცენტრული სახელები უფრო მეტია, ვიდრე ეგზოცენტრული. ჩვენთვის საინტერესო ენებიდან ყველაზე უხვად ამგვარი თხზული სახელები წარმოდენილია ქართული ენის დიალექტებში, უფრო ნაკლებად - სალიტერატურო ენაში. ნახურ ენებში მეტაფორიზაცია ნაკლებად პროდუქტიულია, უფრო მკვეთრადაა გამოხატული კომპოზიტურ ზედსართავ სახელებში, არსებით სახელებში კი - იშვიათად.

დედაბრიკონკა/ზებრისკონკა - მინდვრის ფხალი (იმერული); **ათისთავი** - სამაშვლო ფული (იმერული); **დაბალთავი** - უჩიხტაკოპოდ, მხოლოდ ლეჩაქ-ბაღდადი რომ ხურავთ (კახური); **თავგისკვილაი** - ძირმაგარას მსგავსი, მტკივნეული მუწუკი (გურული); **თავგადასახურავი** - მიცვალებულის ჭირისუფლისათვის ფულადი შემწეობა მოტირალთაგან (ზ. იმერული); **ფარსმისთაობაი** - ჩხუბი, დავი-დარაბა (თუშური); **ძალაფუა** - წვნიანი საჭმელი (მოხეური); **ძუაძალა** - ბუსუსი, მრავალფეხა (მოხეური); **ცხრაპატარძალა** - მცობნავი საქონლის კუჭის ერთ-ერთი განყოფილება (რაჭული).

წოვათუშური: ეშშმა^ნდო^ნ „ნემსიყლაპია“ (სიტყვასიტყვით - ეშმაკის ცხენი); **ლეიბგამ^ნზე^ნ** „აკაცია“ (სიტყვასიტყვით - ლობიოს ხე); **კატ^ნ ჩუვ** „ფერდი“ (სიტყვასიტყვით - რბილი მუცელი); **ნიტბოტარ**

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (№FR-18-072, არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)).

„ოჯახის ამოწყვეტა“ (ჭინჭრის მოდება); **ფსიკეპ ქოჯო** მთის გვირილა (სიტყვასიტყვით - რწყილის ცოცხი);

ჩენური: ვოქუოგ - ხმალი (სიტყვასიტყვით - სამფეხი); **ბიესა** მარგალიტი, ბრილიანტი (სიტყვასიტყვით - ბიეს - ოთხი, სა - ზღვა-რი, კიდე);

ინგუშური: დილბაზგოვრ ჭრიჭინა (სიტყვასიტყვით - ეშმაკის ცხენი); **სთიელაზა სთიიგ** - ელვა (სიტყვასიტყვით - ცხელი მორი, შე-შა); **სთიელა'ად** - ცისარტყელა (სიტყვასიტყვით - ღმერთის თალი, კა-მარა); **დგნბარგ/გოვრბარგ** - მრავალძარღვა (სიტყვასიტყვით - ცხენის ჩლიქი); **დგნჯალ** - მჟაუნა

მოხსენებაში, აგრეთვე, მოცემული იქნება ქართულ და ნახურ ენათა ეგზოცენტრული კომპოზიტების შედარებითი სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება.

რო მ ა ნ ლ ო ლ უ ა

შეერთებითი კომპოზიტები (composita copulativa) ლეზგიურ ენაში¹

ლეზგიური ენისათვის დამახასიათებელია არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება. კომპოზიტთა შორის ჭარბობს **შეერთებითი კომპოზიტები**, რომელიც ორი (ან მეტი) დამოუკიდებელი, თანაბარუფლებიანი სიტყვისაგან შედგება. შეერთებითი კომპოზიტების კლასიფიკაციის საფუძველს წარმოადგენს ა) კომპოზიტისა და კომპონენტების ლექსიკური მნიშვნელობა და ბ) კომპოზიტის სტრუქტურა (აგებულება).

შეერთებითი კომპოზიტების უმრავლესობის ლექსიკური მნიშვნელობა წარმოადგენს მისი კომპონენტების ლექსიკურ მნიშვნელობათა ჯამს, მაგ., **დიდე-ბუბა** „დედ-მამა“, „მშობლები“ (**დიდე** „დედა“ + **ბუბა** „მამა“).

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-072 „არსებით სახელთა კომპოზიტური წარმოება კავკასიურ ენებში (შედარებით-შეპირისპირებითი ანალიზი)“).

კომპონენტთა ლექსიკურ-სემანტიკური ურთიერთობების თვალსაზრისით შეგვიძლია გამოვყოთ შემდეგი მოდელები:

1) სინონიმური (სრული სინონიმები ან მსგავსი მნიშვნელობის მქონე სიტყვები): **жегъил-жаван** „ახალგაზრდა“ (პოეტ.) (**жегъил** „ახალგაზრდა“ + **жаван** (პოეტ.) „ახალგაზრდა“)...

2) ანტონიმური: **чилер-цавар** „მსოფლიო“, „სამყარო“ (**чилер** „მიწა“ (მრ. რ.) + **цавар** „ცა“ (მრ. რ.)...)...

ასოციაციური: **хва-стха** „ნათესავი“ (**хва** „შვილი“ + **стха** ძმა)...

ერთნებიანი კომპოზიტების გარდა ამ ტიპს მიეკუთვნება ორნებიანი კომპოზიტებიც, მაგ., **чан-тан** „სული და ხორცი“ (ზედმიწ. სული და სხეული, ტანი)...

შეერთებითი კომპოზიტების კომპონენტებად შეიძლება მოგვევლინოს არსებითი სახელი, ზედსართავი სახელი და ზმნა. ამ კომპოზიტს ერთნაირი კომპონენტები შეადგენს. დასტურდება შემდეგი მოდელები: 1) არსებითი სახელი + არსებითი სახელი; 2) ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი; 3) ზმნა + ზმნა. შესაბამისად, ხშირია შემთხვევები, როდესაც ორივე კომპონენტი სხვა მეტველების ნაწილს წარმოადგენს, ვიდრე მათგან ნაწარმოები კომპოზიტი, მაგ., **къецил-циийи** „ახალი ტანსაცმელი“ (**къецил** „შიშველი“ + **циийи** „ახალი“); **тIуьн-хьун** „საჭმელი“, „სუფრა“, „ნადიმი“ (**тIуьн** „ჭამა“ + **хьун** „სმა“) და ა. შ.

პირველი ტიპი (არსებითი სახელი + არსებითი სახელი) ყველაზე პროდუქტიულია შეერთებით კომპოზიტთა შორის. აქ გამოსარჩევია სამი მოდელი:

ა) ორი არსებითი სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმით მხოლოდობით რიცხვში: **тIвар-ван** „დიდება“, „ცნობადობა“ (**тIвар** „სახელი“ + **ван** „ხმა“, „ხმაური“)...

ბ) ორი არსებითი სახელი სახელობითი ბრუნვის ფორმით მრავლობით რიცხვში: **векьер-къалар** „ბალახები“, „მცენერები“ (**векьер** „ბალახები“, „თივა“ + **къалар** „ღეროები“);

გ) რთული არსებითი სახელი + სუფიქსი **-вал**: **яр-дуствал** „მეგობრობა“ (**яр-дуств** „მეგობარი“)...

აქ ყველაზე პროდუქტიულია პირველი მოდელი.

2) ზედსართავი სახელი + ზედსართავი სახელი. ლეზიკურ ენაში შეერთებითი კომპოზიტების წარმოების ეს ტიპი არ არის პროდუქტიული და აქ ერთი მოდელი დასტურდება – ორი

ზედსართავი სახელის ფუძე, მაგ., **кѣцѣил-цѣи** „ახალი ტანსაცმელი“ (**кѣцѣил** „შიშველი“ + **цѣи** „ახალი“)...

3) ზმნა + ზმნა. ამ ტიპის შეერთებითი კომპოზიტები სამი მოდელის მიხედვით იწარმოება:

ა) მასდარი + მასდარი: **тѣун-хѣун** „საჭმელი“, „სუფრა“, „ნადიმი“ (**тѣун** „ჭამა“ + **хѣун** „სმა“)...

ბ) იმპერატივი + იმპერატივი: **алад-хѣша** „სირბილი“, „სიარული“ (უმიზეზო); „ლაქია“ (**алад** „იარე!“ + **хѣша** „დაბრუნდი!“)...

გ) მიმღეობა + მიმღეობა: **атай-хѣфей** „სტუმარი“, „ჩამოსული“ (**атай** „მოსული“ + **хѣфей** „წასული“)...

პროექტი „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II.“

(პროექტი **NFR -18-3659** ხორციელდება შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით)

ნოდარ არდოტელი

სესხების მიმართულებისა და ლექსიკურ ნასესხობათა წარმომავლობისათვის ქართულ და დიდოურ ენებში¹

1. ქართველებსა და მათ მოსაზღვრე დიდოელებს შორის მრავალსაუკუნოვანმა მეზობლობამ და ისტორიულმა კონტაქტებმა სათანადო ენობრივი ასახვა ჰპოვა ამ ხალხთა ლექსიკურ საგანძურში. მეტადრე ეს ითქმის კახურ და თუშურ დიალექტებზე, რომლებიც უშუალოდ ეკვროდნენ დიდოური ენის გავრცელების არეალს და შე-

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი: FR-18-3659).

საბამისი ენობრივი სისტემები ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე თანაარსებობდნენ. საყურადღებოა როგორც დომინანტური ქართული წყარო-ენიდან, ისე დიდოური მსესხებელი ენიდან შეთვისებულ სახელთა გავრცელების, ნასესხობათა მიმართულების, ფონეტიკური ადაპტაციისა და სემანტიკური გადააზრიანების თავისებურებანი, რომლებიც თავს სწორედ ზემოხსენებულ დიალექტებში იჩენენ.

2. ჩვენ ერთ-ერთ ადრეულ ნაშრომში შევეხეთ „წილის“ აღმნიშვნელ სახელს ქართული ენის მთის დიალექტებში (ხევს. ჭაჭი, თუმ. ჭიჭი, ფშ. ჭაჭა, ჭაღა...) და გამოვავლინეთ მისი ნასესხობა უშუალოდ დიდოური ენებიდან. სწორედ ამ სახელის სესხების ფონოლოგიური კანონზომიერების (დიდ. ქ : ქართ. ჯ) ანალოგიით, გაკვრით შევეხეთ და ერთ-ერთი ადრეული ნაშრომის სქოლიოში გამოთქვით ვარაუდი ხევს. **ჯუმბურა** („ხვიმირი“) და **ლოჯი** („ჭუჭყი“) ლექსემების დიდოური ენისაგან შესაძლო ნასესხობის შესახებ, თუმცა ეს ვარაუდი შემდგომმა სიღრმისეულმა კვლევა-ძიებამ არ დაადასტურა.

3. ზემომოყვანილი ლექსემები გვხვდება ძველსა (**ჯუმირი**) და ახალ ქართულში (**ხვიმირი**) სათანადო მნიშვნელობით „წისქვილის ქვის ზემოთ დაკიდებული ძირვიწრო ფიცრის ყუთი, საიდანაც მარცვლეული კრიჭაში ჩადის“.

მეტ-ნაკლებად მსგავსი ფორმები თუ განმარტებები დასტურდება ძველი ქართულისა და დიალექტების ლექსიკონებში: **ჯვმირი** „წისქვილის ნაწილი, სადაც მარცვლეულს ყრიან დასაფქვადად; საწყაო“ (ზ. სარჯველაძე). „დასაფარავი, გინა წისქვილის ხვარბლის ჩასაყარი“ (საბა). „**ხვიმირი**-ი (ქართლ., რაჭ., ზ. აჭარ.) წისქვილის ნაწილია: პირამიდისებურად შეკრული ყუთი, რომელშიც დასაფქვავე მარცვალს ყრიან...“, ანდა: „**ხვიმირა** (ლექს.) მარცვლის ჩასაყრელი წისქვილში“ (ალ. ლლონტი); „**ჯუმბურ-ი/ ჯუმბურა** კნინ. ხვიმირი“ (ალ. ჭინჭარაული); „**ჯვიმბურ-ი/ჯუმბურ-ი** ხვიმირა“ (გ. ცოცანიძე)...

დიალექტური ფორმების შედარება ძველი და ახალი ქართულის მონაცემებთან ფუძისეულ მორფემად გამოგვაცოფინებს **ჯუმი-** // **ჯუმ-** ოდენობას, **ხ** ფონეტიკური დანართი ჩანს, **-ირ** სუფიქსს

წარმოდგენს (შდრ. გზ-ირ-ი...). ფუძისეული მორფემებიდან ამოსავლად **ჭტიმ-** მიიჩნევა, ხოლო **ჭუმ-** მეორეული (**ჭი>უ**) უნდა იყოს.

ჩვენი ვარაუდით, ძველი ქართული **ჭტიმირი** შეიძლება დაუკავშირდეს ადეკვატური მნიშვნელობის სვან. **ქტიბილ-**ს („id.“), რომელიც სვანურში დიალექტურ სახესხვაობებს გვიჩვენებს: ბზ. **ქტირანფ**, ლშხ. **ქტირანფ** („id.“). სვანურში ამ ლექსემას გარკვეული პოზიციური ფონეტიკური ცვლილებები განუცდია: **მ>ზ** (შდრ. ***მარწყუტ** > სვან. **ბასყ-** „მარწყვი“), **რ>ლ** (ლაბიალური თანხმოვნის შემცველ ძირ-ფუძეებთან). ამ დაკავშირებას სვანურში სიმნელეს უქმნის ანლაუტური **ქ**, რომელიც **ჭ**-ს რეფლექსად მიიჩნევა. ცნობილია, რომ საერთო-ქართველური ***ჭ** წარმოდგენილია შემდეგი ბგერათმესატყვისობის ფორმულით: ქართ. **ჭ** : ზან. **ხ** : სვან. **ჭ**. **ჭ>ქ** სვანურისავე ნიადაგზე განხორციელებული ჩანს, რაც შეიძლება გამოწვეული ყოფილიყო პალატალიზაციით.

4. მეორე საანალიზო ლექსემის (**ლოჯი** „ჭუჭყი“) ანალიზისას ძველ ქართულში აღდგება **ლოჯ-** არქექტიპი, რაც ფაქტობრივ დაცულიც არის არქაული ტიპის კილოებში: **ლოჯი>ლოხი**. **ლოჯ-** ფუძე ქართულ და ზანურ ენათა ერთობის დონეზე ბგერათმესატყვისობით არის წარმოდგენილი: ს/ქ. ***ლოჯ-**: ქართ. **ლოხ**//<**ლოჯ-** : ზან. **ლოხ-** „ჭუჭყი“, „ზუნზლი“.

5. რაც შეეხება დიდოურ ენათა მონაცემებს, საკუთრივ დიდოურში დასტურდება **ქობორა**, **ქობორო**, **ქობორუ** „ხვიმირი“ (დიალ. ვარ.), რომელიც დიდოურ ენებში ძირეულ ლექსიკას არ უნდა განეკუთვნებოდეს, რადგანაც ამ მნიშვნელობით სათანადო ბგერათმესატყვისობის მქონე სხვა სამეურნეო ტერმინი მოგვეპოვება: საკ. დიდ. **ჟეკდა** : ჰინ. **ზოკდო** : ბეჟ. **ზუკლა** „ხვიმირი“. ეს კი დამატებითი არგუმენტია იმის სამტკიცებლად, რომ **ქობორა** („ხვიმირი“) ქართული ენიდან, კერძოდ კი, მთის კილოებიდან (ხევს. **ჭუმბურა**, თუშ. **ჭუმბურნ...**) ჩანს შეთვისებული დიდოურში. ანალოგიურადვე განიხილება დიდოური **ლოქი**¹ („ნაკელი“), რომელიც განყენებულად დგას

¹ ჰინ. **ტოპოლოქო** („ნაკელიანი ჭუჭყი“) კომპოზიტი ჩანს: **ტოპო+ლოქო** „ტლაპონაკელი, ჭუჭყი“.

და დიდოურ ენათა სინამდვილეში ბგერათმესატყვისობას მოკლებულია.

6. ნასესხობათა ტრანსლიტერაციისა და პოზიციური ბგერათ-ცვლილების თვალსაზრისით, ყურადღებას იქცევს: ა) ფარინგალური ჯ-ს ნასესხობაში ველარული ქ-ს სახით რეალიზაცია (შდრ. სვან. **ქტიბილ** „id.“), რაც დიდოური ჯ-ს უფრო უკანა წარმოებაზე მიგვანიშნებს; ბ) **უაო** გაფართოების პროცესი, რაც ნიშანდობლივია დიდოურ ენათა ვოკალური სისტემისთვის (**ქობორო>ქობორუ**); გ) აუსლაუტში ა-ს დისტანციური ასიმილაცია (**ქობორა>ქობორო**), შემდეგ კი ბოლოკიდური **ო-ს უ-დ** გარდაქმნა (**ქობორო>ქობორუ**); დ) დიდოურისათვის არაბუნებრივი **მზ** თანხმოვანთკომპლექსის (შდრ. ხევს. **კუმზურა**) სუპერაცია (**მზ>ზ**).

დი ა ნ ა კ ა კ ა შ ვ ი ლ ი

ქართულ-ნახური ლექსიკური პარალელები¹

I

ქართული და ნახური ენების კონტაქტი საუკუნეებს ითვლის. განსაკუთრებით ინტენსიური სახე მან წოვათუშურისა და ქართულის შემთხვევაში შეიძინა, რაც განპირობებულია ისტორიულ-პოლიტიკური, კულტურული და გეოგრაფიული ფაქტორებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში განარჩევენ ენათა ცალმხრივსა და საურთიერთო გავლენას. როგორც ჩანს, მოცემულ შემთხვევაშიც ეს პროცესი საურთიერთო იყო გარკვეულ ეტაპამდე, ამას მოწმობს ნახური სუპერსტრატი თუშურ და ხევსურულ დიალექტებში. მეორე მხრივ კი, წოვათუშურში ქართულის ძლიერი გავლენა გვაქვს ენობრივი იერარქიის ყველა დონეზე.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II №FR-18-3659).

მოხსენებაში განხილული იქნება ნახურ ენებში, უმთავრესად წოვათუშურში, დადასტურებული ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც წარმოდგენილია აღმოსავლეთ საქართველოს მთის კილოებშიც - ხევსურულში, ფშაურსა და თუშურში.

წოვათუშური: ბუნაგ - ჭურჭელი; **ფშაური:** ბუნაგი - ჭურჭელი საზოგადოდ (თუნგი, კოდი, კოდორი და სხვ.); **ხევსურული:** ბუნაგი - საოჯახო ჭურჭელი (ხისა, სპილენძისა); **თუშური:** ბუნაგბ „საჭმლის შესანახი ადგილი“;

წოვათუშური: კაპრაშ - ყვითელი; **ხევსურული:** კაპრაშა - ღია წითელი; **თუშური:** კაპრაშაყბ - ელვარე ყვითელი; კაპრაში გვხვდება სულხან-საბასთანაც და განმარტებულია როგორც ყვითელმოწითალო.

წოვათუშური: დაბოყრინებული - დაობებული (დაბოყრინებული ხაჭო - დათხურის მოსამზადებელი, სპეციალურად გამოყვანილი, დაობებული ხაჭო); **ფშაური:** ბოყვი - რაიმე ამჟავებულის ობი; **ხევსურული:** დაბოყვება - გაფუჭება, დაობება; **აბოყვება** - ბოყვს, პკვს, ობს უჩენს; **ბოყვი** - ცხიმულის, რძის ნაწარმის ობი.

წოვათუშური: აბიკ - კოვზი; **ჩეჩნური:** ყაფგ „კოვზი“; **ხევსურული:** აფიკა „ხის ღრმა კოვზი“.

წოვათუშური: ბაყრ - კვიცი; **ჩეჩნური:** ბეყა - კვიცი; **ხევსურული:** ბაყალიკა - ჩოჩორი.

მოხსენებაში უფრო ფართოდ იქნება მსჯელობა ამგვარ ლექსიკურ შეხვედრებზე, მათ სტრუქტურულ და სემანტიკურ მახასიათებლებზე, ასევე, შევეცდებით მათი წარმომავლობის გარკვევას.

რ ო მ ა ნ ლ ო ლ უ ა

ძირეული და ნასესხები ლექსიკა ლეზგიურ ენაში¹

ლეზგიურ ენაში ძირეულ ლექსიკურ ფონდში შედის როგორც წინარეენისეული, ასევე საკუთრივ ლეზგიურ ენაში თავჩენილი

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით (საგრანტო პროექტი №FR-18-3659 „კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II“).

ლექსიკა. წინარეენისეულ ლექსიკის ყველაზე დიდი პლასტებია საერთოდადლესტნური და საერთოლეზგიური, შეზღუდული რაოდენობით დასტურდება საერთო-ნახურ-დადლესტნური და საერთო-იბერიულ-კავკასიური ლექსიკაც.

საერთოდადლესტნურ ლექსიკას მიეკუთვნება დროისა და რიცხვის აღმნიშვნელი ლექსემები, საკვების, ტანისამოსის, ფლორისა და ფაუნის, შინაგანი ორგანოებისა და ნათესაობის აღმნიშვნელი სიტყვები, მაგ., ძღეფ „თხა“, სიკი „მელია“, სვაც „რძალი“, „პატარძალი“ და სხვ. საერთოდადლესტნური ლექსიკის მორფოლოგიური სტრუქტურა მარტივია – მასში არ დასტურდება დერივაციული აფიქსები, თუმცა გვხვდება გრამატიკული კლასის გაქვავებული ექსპონენტები.

საერთოლეზგიურ ლექსიკას (რომელშიც გამოსარჩევია საერთოსამურული და საერთო-აღმოსავლეთ-სამურული პლასტები) განეკუთვნება შინაური ცხოველებისა და ფრინველების სახელები, საყოფაცხოვრებო ნივთები, ძირითადი ზედსართავები და ზმნები, მაგ., ხვარ „ფაშათი“, ტურ „კოვზი“, ლაყ „თეთრი“, რუგუნ „დუღება“ და სხვ.

ლეზგიური ენის ძირეულ ლექსიკურ ფონდში ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილია საკუთრივ ლეზგიურის ლექსემები, რომლებსაც გარე პარალელები არ მოეძევებათ. მათ შორისაა, მაგ., საკვების, კერძების აღმნიშვნელი სახელები (ტიუნუტი „პურ-ფუნთუშეული“, ყირგინტი „მწვანე სუპი“, ტუყათაყარ „პელმენის სახეობა“...), პროფესიის, საქმიანობის აღმნიშვნელი (დანარბან „მეზბორე, ხბორების მწყემსი“, სალარბან „მეზაღე“...), აბსტრაქტული სახელები (გუყრეგვალ „სილამაზე“, აკყულსუვალ „უჭკუობა“...), პეიორატიული ლექსიკა (ფუკყირან „მუქთახორა“, ფურსუხან „კუდაბზიკა“, ნერეყი „ცხვირმოუხოცავი“...) და სხვ.

ნასესხები ლექსიკა ჭარბად გვხვდება ლეზგიური ენაში. შესამჩნევია არაბული, ირანული და თურქული ენებიდან ნასესხობების სიმრავლე. ბოლო პერიოდში ლეზგიური ენა აქტიურად ივსება რუსული ენიდან, ანდა რუსული ენის მეშვეობით ნასესხები ლექსემებით. ლექსიკური სესხების მაგალითები იქნება წარმოდგენილი მოხსენების დროს. ყურადღება გამახვილდება აგრეთვე ნასესხები სიტყვების ფონეტიკურ ადაპტაციაზე.

ვაჟა შენგელია

ნასესხებ სიტყვათა ფონეტიკური ადაპტაციისათვის ყაზარდოულ ენაში¹

სიტყვათა სესხება ჩვეულებრივი პროცესია ენათა ურთიერთობაში. ბუნებრივია, ამ მხრივ არც ყაზარდოულია გამონაკლისი. ნასესხები სიტყვები წარმოდგენილია ყაზარდოული ლექსიკის სხვადასხვა თემატურ ჯგუფში და ასახულია ყაზარდოული ენის ლექსიკონებში, აგრეთვე, გამოკვლევებში, რომლებიც ყაზარდოულ ლექსიკასა და სიტყვაწარმოებას ეძღვნება. მათზე დამყარებით შევხებით ძირითად მომენტებს, რომლებიც ნასესხებ სიტყვათა ფონეტიკურ ადაპტაციასთან არის დაკავშირებული.

ყაზარდოულში დასტურდება როგორც მონათესავე იბერიულ-კავკასიურ ენათაგან, ისე აღმოსავლურ (არაბულ, სპარსულ, თურქულ...) და ინდო-ევროპულ ენათაგან ნასესხები ლექსიკური ერთეულები, ამასთან, ხშირად ეს სესხება არის არა უშუალო, არამედ განხორციელებულია სხვა ენის (რუსულის ან თურქულის) მეშვეობით. ნასესხებ ლექსიკაში ყველაზე დიდია რუსულის წვლილი.

ყაზარდოული ენა თანხმოვანთა სიმრავლით არის გამორჩეული (დაახლ. 47 თანხმოვან ფონემას გამოყოფენ), თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მათი რაოდენობით ის ჩამორჩება სხვა აფხაზურ-ჩერქეზულ ენებს. სხვა ენათა თანხმოვნების გადმოცემა ყაზარდოულში ხდება შემდეგი ძირითადი პრინციპებით:

1. ხშულთა სამწევრა სისტემის მქონე ენათაგან სესხებისას არსებითი ხასიათის სიმწვლეებს არ ვაწყდებით, რადგან ასეთი სისტემა ყაზარდოულსაც მოეპოვება (უკანაენისმიერ ხშულთა გარდა). სიტყვათა იმ ენათაგან სესხებისას, რომელთაც ხშულთა ორწევრა სისტემა (მჟღერი+ყრუ) ახასიათებს, მჟღერი მჟღერადვე გადმოდის, ყრუ თანხმოვანი კი ხან მკვეთრით გადმოიცემა, ხან – ფშვინვიერით.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით („კავკასიურ-ქართული ლექსიკონები. II“ N FR-18-3659).

2. სონორი ლ ყაბარდოულს არ მოეპოვება, ამიტომ სხვა ენათა სიტყვებში დადასტურებული ლ ყაბარდოულში გადმოიცემა ლატერალური სპირანტებით, უმთავრესად – მჟღერი ლატერალით, ზოგჯერ – ფშვინვიერით (განსაკუთრებით – ფშვინვიერი თანხმოვნის შემდეგ).

3. სამი სონორი თანხმოვნის (მ, ნ, რ) გადმოცემას ყაბარდოულში დაბრკოლება არ ახლავს, ოღონდ, თუ სიტყვა რ თანხმოვნით იწყება, მის წინ შეიძლება ხმოვანი გაჩნდეს (ყაბარდოული ფონოტაქტიკის შესაბამისად).

4. სხვა ენათა ლაბიალიზებული (თანხმოვანი+უ) კომპლექსები ყაბარდოულში გრაფიკულად უცვლელად გადმოდის, მაგრამ ზეპირ მეტყველებაში ხდება უკანაენისმიერი თანხმოვნების ლაბიალიზაცია და ვიღებთ კომპლექსს ლაბიალიზებული თანხმოვანი + ყველაზე ნაკლებ დია (ე. წ. „ირაციონალური“) ხმოვანი.

5. უკანაენისმიერი ხშული ფონემების უქონლობის პირობებში სხვა ენათა აღნიშნული ფონემები ახალ ნასესხობებში გრაფიკულად ანალოგიურად გადმოიცემა, უფრო ძველ ნასესხობებში კი ხდება მათი აფრიკატიზაცია (ზეპირ მეტყველებაში უკანაენისმიერი ხშული მჟღერი თანხმოვანი წარმოითქმის როგორც შუაენისმიერი მჟღერი სპირანტი).

6. კბილბაგისმიერი f-ს გადმოცემას რაიმე დაბრკოლება არ ახლავს.

7. ნასესხებ სიტყვებში ლარინგალური თანხმოვნები, როგორც წესი, შენარჩუნებულია.

ყაბარდოულ ენას ხმოვანთა სამწევრა სისტემა და მათი თავისებური ფუნქციონირება ახასიათებს და ამის შესაბამისად ხდება სხვა ენათაგან ნასესხები სიტყვების ადაპტაცია. სიტყვის თავში ხმოვნები წარმოითქმის მაგარი შემართვით, რაც გრაფიკულად არ არის ასახული. ჩერქეზულ ენებში სიტყვის ბოლოს არ გვხვდება ა (თუ მხედველობაში არ მივიღებთ სუფიქსურ ელემენტებს), ხოლო სხვა ენებიდან ნასესხებ სიტყვებში აღნიშნული ხმოვანი გადმოიცემა როგორც საშუალო აწეულობის ხმოვანი.

თანხმოვანფუძიან სახელთა ბრუნებისას ყაბარდოულში ფუძესა და ბრუნვის ნიშანს შორის ჩნდება ანაპტიქსური ხმოვანი.